


F 61  
1899 1-4

BRITISH MUSEUM  
LONDON




3 17



საქართველო

თ ვ ი უ რ ი



წელიწადი მეორე

164

№ 1



თ ა ნ ვ ა რ ი, 1899

ქუთაისი

ლაშვაშიძის სტამბა \* Типография Гамбашидзе

1899

# უინარსი.

## შარველა განყოფილება.



83.

|      |  |         |
|------|--|---------|
| I    | საგულისხმოდ—ლექსი აკაკის . . . . .                               | 1       |
| II   | უბრალო საუბარი, მისივე . . . . .                                 | 3—12    |
| III  | თავ. გიორგი მუსხან-ბატონის სა-<br>ხეს—ლექსი კალსიდედის . . . . . | 13      |
| IV   | „კალეოგრაფიული მინუშები“-ს გა-<br>მოდ—მისე ჯანაშვილის . . . . .  | 14—21   |
| V    | „სისულელა!“-- ეტოდი) შ. არაგვისშირელ. . . . .                    | 22—27   |
| VI   | კრიტიკული შენიშვნები, ხომლედას . . . . .                         | 28—48   |
| VII  | ჭუთათური ავშიები: ხრიკა და ღრი-<br>კა—აკაკის . . . . .           | 49—53   |
| VIII | ბუთიობა—ვოდევ. მისივე . . . . .                                  | 54—82   |
| IX   | ზვიდ-ფარობა, ახალ-წელი და გე-<br>ლობა—ვინეჟე შესხას . . . . .    | 83—91   |
| X    | ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი. ვ.ისა. . . . .                       | 92--104 |

## ქორე განყოფილება.

|    |  |           |
|----|--|-----------|
| I  | სოფელი ჭურთა და იმის მიდამო-<br>ები—ა. მახაბდის . . . . .  | 1—9       |
| II | სხვა-და-სხვა თქმულებანი: არაკები,<br>ხალხური ლექსები, სოლომონ ბრძნის<br>ამბები, ზოგიერთი ჩვეულება, იქვე ჩაწე-<br>რილი—მისივე . . . . . | 10—32, 40 |
| I  | ცხენის ლეჰნი და ანბანზედ თქმუ-<br>ლი ლეჰნები. გუბში ჩაწერილი ი. მთ-<br>სეჰვიდის შერ . . . . .  | 33—39     |

განცხადება.

მოულოდნელ შემთხვევას გამო „კრებულა“-ს ზარველმა №-მა დააგვიანა. შემდეგასათვის ვერცდებით მასა გამოსვლა თან-და-თან თვის ზარველ რაცხვს შავუხსლავით.

ის სამინუშო ფურცელი „ზაღვოტრაფაუა აღბომა“-სა, რომელიც ამ პირველ №-ს უნდა დართოდა, ვერ მოგვისწრეს დროზე, რის გამოც იძულებული ვართ მეორე №-თან გავუგზავნოთ იგი ჩვენ ხელისმომწერლებს.

გასასწორებელი შეცდამები:


| გვ. | სტრ. | დაბეჭდილია:                                 | უნდა იყოს:                        |
|-----|------|---|-----------------------------------|
| 5   | 5    | ქვ. თითქოს ზ ვარდია.                        | თითქოს აა და ვარდიაო.             |
| 7   | 14   | ზ. მონლოლობამ                               | მანლოლობამ                        |
| 7   | 21   | — მაშინ კიდევ                               | მაშინაც კიდევ                     |
| 10  | 5    | კუჭის მიმდევარი                             | ძაგრამ სამაგაეროდ კუჭის მიმდევარი |
| 13  |      | „კაღხაღელი“-ს ლექსის ბოლოზედ აკლავ: 1866 წ. | თბილისა.                          |
| 18  | 8    | საბერძნეთი აღადგინა                         | საბერძნეთი მორალურად აღადგინა.    |
| 50  | 16   | ელიშალამ                                    | ელიშალამ.                         |

Handwritten text in Georgian script at the top of the page, including the name 'მთავარი' (Chief) and other illegible words.

1-4

თ ვ ი უ რ ი


Handwritten text in Georgian script on the right side of the page.



წელიწადი მეორე

№ 1

თ ა ნ ჯ ა რ ი, 1899



ქუთაისი

დამბაშიძის სტამბა \* Типография Гамбашидзе

1899

ს ა მ ე რ ი

Дозволено И. Сурго. Тифлисе 21 Декабря 1898 г.



საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

# შინაარსი.



## შარველა განყოფილება.

|      |  |         |    |
|------|--|---------|----|
| I    | საბულისხმოდ—ლექსი აკაკის . . . . .                               | 33-1    | ✓  |
| II   | უბრალოდ საუბარი, მისივე . . . . .                                | 3—12    | უ. |
| III  | თავ. გიორგი მუსხან-ბატონის სა-<br>ხმს—ლექსი კოლხიდელის . . . . . | 13      |    |
| IV   | „კალმობრაფიული მინუფები“—ს ბა-<br>მოდ—მოსე ჭანაშვილის . . . . .  | 14—21   |    |
| V    | „სისულელა!“—(ეტიუდი) შ. არაგვისშირელ .                           | 22—27   |    |
| VI   | კრიტიკული შენიშვნები, ხომლელის .                                 | 28—48   |    |
| VII  | ჭუთათური ავჟიები: ხრიკა და ღრი-<br>კა—აკაკის . . . . .           | 49—53   | }  |
| VIII | ბუთიარბა—ვოდვე. მისივე . . . . .                                 | 54—82   |    |
| IX   | ფვიდ-ფარობა, ახალ-წელი და ბე-<br>დობა—ვინჟე მესხის . . . . .     | 83—91   |    |
| X    | ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი. ვ-ისა.                               | 92--104 |    |

## შეორე განყოფილება.

|     |  |           |
|-----|--|-----------|
| I   | სოფელი ჭურთა და იმის მიდამო-<br>ები—ა. მახაბლის . . . . .  | 1—9       |
| II  | სხვა-და-სხვა თქმულეზანი: არაკები,<br>ხალხური ლექსები, სოლომონ ბრძნის<br>ამბები, ზოგიერთი ჩვეულება, იქვე ჩაწე-<br>რილი—მისივე . . . . . | 10—32, 40 |
| III | ცხენის ლეჟსი და ანბანზედ თქმუ-<br>ლი ლეჟსები. გუბში ჩაწერილი ა. შო-<br>სეშვილის შაერ . . . . .   | 33—39     |

განცხადება.

## საგულისხმოდ.

(არჩევნების გამო)

აშბობენ: მეცხვარის ძაღლებს  
როცა მოუვთ ჩხუბიო,  
ვერ კანაზვებთ ვერაფრით,  
კინდა აძვეროთ შუბიო!

---

ღრენენ და ჭეეფენ!.. სოწსოწში,  
აღარ აქვსთ ეურთა სძენაო!..  
ვეღარც არჩევენ ერთმანეთს,  
კბენა!.. კბენა და კბენაო!..

---

მაგრამ მეცხვარე, რომ სედავს,  
არ არის სხვა საძველიო,  
კანგე იძახის: „ჭკა ძავან!  
სსსი! სსსი! მოვიდა ძველიო!“

---



ეს ხმა აფხაზებს მოხსუბრებს,  
თავდება ელფიფერიო!  
და ერთად ჰქეფენ, კარეში  
რომ მოიკერონ მტერიო.

ეს რომ უაძბეს მკონხანსაც,  
სინაბზე შემოეზარა,  
და ქართველთ სავადრებელად  
ლოცვა დასწერა ზატარა:

„რადგანაც ქართველობაზე  
ჩვენში დღეს ეველა სტეუაო,  
დმერთო მიეცი ქართველებს  
ძაღლის გრძნობა და ჰეუაო“.

ბაკო



## უბრალო საუბარი.

«ჩემო წალკოტის შეენებავ! რატომ აღრინდულად აღარა ჰყვავი? ან ნაყოფს არ იძლევი? და თუ იძლევი, იმასაც უვარგის?» — დაეკითხა მებაღე ხილის-ხეს.

— მიტომ რომ დავჭიანდი! — უპასუხა დამკვნარმა ხემ. — მას შემდეგ რაღაი კი დედა-მიწამ მილალატა, ცამ დამსეტყვა, ქარმა შემარხია — რაღა ძალი უნდა შემრჩენოდა?...

— ეგ კი, მაგრამ განა ცოტა მიწამლია შენთვის?

— გიწამლია? ჰმ!.. შენ რომ საცყაპელით გარედან მიშხაპუნო, ის შინაგან სატკივარს რას არგებს? აბა დააკვირდი ჩემ შტოებს!.. ზოგი გამხმარია, ზოგიც ახლა ჭკნება; თვითონაც უნაყოფოა და სხვებსაც უშლის! — შენ კი პირი დაგიღია და შემომყურებ. რატომ არ მოიტან ცუღს და არ გადამსხეპავ იმ უსაშველო ტოტებს, რომ მათ აღგიღზე ახალმა ამოიყაროს? მაშინ ნახავ თუ რა ნაყოფს გამოვიღებ!

— განა ეგ კიდევ შესაძლებელია?

— ჯერ კიდევ, სანამ ძირი მაგარი მაქვს. აბა ნახე ერთი როგორა მაქვს ფესვები გაბაჯაჯგინებული. შენ მხოლოდ ხელი შემიწყვე და სხვა მე ვიციო!»

დაიჯერა მებაღემ, აასრულა რჩევა და ხემაც გაიხარა.

ლიახ!.. ხემ გაიხარა, მაგრამ შენ რა გაგახარებს, კოტის მსგავსო, ჩემო პატარა ქვეყანავ? უმეცრება შენი შინაგანი წყლულია და უგუნურება გტორავს!.. ვინ არიან და სად დღეს შენი მებაღეები, რომ სულზე მოვასწრონ და გამოგაბრუნონ? მართალია, გარს გეხვევიან, სიყვარულსა და ერთგულებასაც ჩემულობენ შენსას, მაგრამ ეს ყოლიფერი მათივე თავმოყვარეობის ნაყოფია, საპირადო ჩარჩოებში ჩასმული. დღევანდელი ჩვენი წარამარა ღრიალი: „გაუმარჯოს საქართველოსო!“ და „მრავალ-ჟამიერო!“ რა არის, თუ არ საქყაპელათი შაბიამანის გარედან შეშხაუნება? თავ-მომწონედ რომ დამქენარ შტოებს ვებოტინებით და ფესვები კი ლამის ამოვადლოთ, ნუ თუ ეს ჭრის გონივრული ქირისუფლობა? „მრავლის მეტყველებით ვერავინ ცხონდებაო“, ბრძანებს უფალი, და ჩვენ კი ცარიელ სიტყვებათა ვართ გადაქცეული... აბა ვის უჭირავს ხელში ის ცული. ის მახვილი, რომლითაც უნდა ჩვენს დღევანდელი ცხოვრებას გამხმარი შტოები მოაცალოს, ღვარძლსა და ეკალს ძირი უგდას, ხორცმეტი მოჰკვეთოს, რომ დამქენარი გაანდლოს? ეს ცული და მახვილი არის ის შეგნებული სიყვარული და ერთგულება ქვეყნისა, რომელსაც თავდადება ჰქვია და სიმართლით გაღესილი, უსასყიდლოდ, უშიშრად, პირდაპირა სკრის და ჰკვეთავს... ბრალი ვის უნდა დავსდვათ? ვინ უნდა გავამტყუნოთ? ხალხი თუ მისი მეთაურები? რასაკვირველია, მეთაურები!.. სვანების დეკანოზსა ჰკითხეს: როგორი მღვდელი ხარ, რომ არც კითხვა იცი და არც წერა და საზეპიროებიც გადაგისხვაფერებიან?

— ეგ ყოლიფერი მართალიაო, მაგრამ, ხალხს რომ სჯერა, მეც დარწმუნებული ვარ ჩემ დეკანოზობაზეო... — იტქვა და ჩამოისვა წვერებზე ხელი. ვინც ამ სვანის აზრზე

დადგება, ის, რასაკვირველია, დაიჯერებს, რომ ჩვენ შე-  
თაურებიცა გვეყვანან და მოწინავე დასიც, მაგრამ ჩვენ  
კი ჩვენდა თავად უარსა ვჰყოფთ მათ, რომელთაც, მარ-  
თლა და სვანების დეკანოზებისავეთ უჯგროდ ჩაუგდიათ  
ხელში წინამძღვრობა და ღირსეულებს წინ ელობებიან...  
(ჩვენ აქ საზოგადოდ უმეტესობაზე ვამბობთ და არა იმ  
თვითო-ოროლაზე, რომელთაც არ შეეხებათ ეს ზემო  
თქმული). ხშირად ნახავთ ჩვენში რომელიმე საერო და-  
წესებულებაში მისთანა მეთაურსა და წინამძღვარს, რო-  
მელსაც არც წარსულში გამოუჩენია თავი და ვერც  
მომავალში გამოიჩენს!.. გიკვირს და ეკითხები შენს თავს:  
ამ კაცს წინ რა მიუძღვის?— არაფერი!— უკან? არაფერი!  
მაშ საზოგადო სარბიელის ქანდარაზე რომ ფარშავანგის  
ნაცვლად წამოუსკუპებიათ და გაფულულ ინდაურივით  
იქიდან გადმოიშორებიან, რა მიზეზია? რა მიზეზია და  
ის პირადი ეგოისტობა, ის „ჩემიან-შენიანობა“ და ის  
„კუჭიაობა“, რომელიც ჩვენ ცხოვრებას დღეს სახადივით  
მოსდებია და სულსა ჰხდის... ჩვენი წინამძღვრების  
უმეტესობა ბოდბელის აღსარების მიმდევარია:  
„თუ მე აღარ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნულა  
ყოფილაო“. და ამ გვარ რწმუნების კაცს განა შე-  
უძლია, რომ კუჭს გარეშე სხვა რამეზედაც იფიქროს?!  
მიტომაც არის, რომ ჩვენი მოწინავეები შორს ვერასა  
ჰხედვენ, ავსა და კარგს, თუ მათი სასარგებლო არ არის, არ  
არჩევენ ზე როცა ღვარძლი და ეკალი ითესება, გულ-გრილად  
შეჰყურებენ, თითქოს და ვარდიაო. ხშირად გამიგონია  
მათგან: „სადა გვცალია რომ წვრილმანებს გამოუდგე-  
თო?!“ მართალია, ყოველი თესლი ნაყოფზე უფრო პა-  
ტარაა; შედარებით წვრილმანია, მაგრამ იმ წვრილმანს  
რა შედეგი მოჰყვება, იმას აღარ უყურებენ. ჯერ კიდევ

ვერ შეუგნიათ, რომ თავის თავად, არც წვრილმანი და სეზობს და არც სხვილმანი!.. არც დიღია რამ და არც პატარა! ეს ყოლიფერი შედარებითი წარმოდგენაა... შედარებით ოთხფეხი მხეცები უფრო დიდები არიან მორიელ ასპიტებზე, მაგრამ ეს პატარა მტრები უფრო საშიში და საფრთხილო არიან ადამიანისათვის. ლომი იმდენს რას დააკლებს კაცს, თუ გაფრთხილებულია, რამოდენასაც უძლიური და უჩინარი პატარა მიკრობი, ანუ „ჭირის-ჭია“, რომელიც, რაღაი კი ჩაძვრება და დაიბუდებს ადამიანის გვამში, საშველს აღარ იძლევა. ბევრჯელ დაუცინიათ ჩვენთვის და ყბათაც აუღივართ, რომ წვრილმან რამეებს გამოდგომია და რა საკადრისიაო? ჩვენც დაგვიჯერებია; შემკრთალვართ და შევჩერებულვართ, მაგრამ ის წვლილმანები გაზდილან და დღეს ტვირთად გვაწევან ზურგზე. რომ ეს ძველი შეცდომები აღარ გავიმეოროთ, ჩვენ გადავსწყვიტეთ, ყოველ-დღიურ მოვლენას მივაქციოთ ყურადღება და ჩვენი ცხოვრების ავ-კარგი, გინდ წვრილმანიც იყოს, ავნიშნოთ ხოლმე ჩვენს „კრებულში“. ეს იქნება „შიდა მარგვლა“ ანუ როგორც საზოგადოდ მიღებულია „შინაური მიმოხილვა“. ნურავინ ელის ჩვენგან ნურც მიდგომასა და ნურც უმიზეზო გადაკიდებას. „კრებული“ ყოველივე საპირადოზე ხელ აღებულია! ხშირად შეგვხვდება, რომ მოსაწონი ჩვენ პირად-მტერსაც მოვუწონოთ და დასაგმობზე და საძრახზე, მოყვარესაც ვუკიჟინოთ!.. რასაც საზოგადო მნიშვნელობა არ ექნება, იმას „კრებული“ ყურადღებას არ მიაქცევს. ეს არის ჩვენი რწმენა და ვინც თანავგიგრძნობს, მასთან ერთობა ჩვენთვისაც სასურველია და ჩვენი რედაქციის კარიც ღია იქნება მათთვის!.. და ვინც არა და... შორს და მშვიდობით! ჩვენ მიინც ჩვენსას არ მოვიშლით და ვიტყვიოთ რაც

სათქმელია!.. დღეს ჩვენში იმდენი რამ არის წუნსადგენი, რომ ყველას ერთად ვერ მოვერევით და ავიღებთ ცალ-ცალკე, თვე და თვე ასანუსხავად.

ამ პირველ ნომერში, ყველაზე უმალ უნდა ვილაპარაკოთ „მეგრელობაზე“, რომელიც ამ ბოლო დროს ზოგიერთებს საპირადო იარაღად გაუხდიათ და ლამის მტრობა და შური ჩამოაგდონ ძმათა შორის...

თუ არ მზაკვარება და უგუნურება, გონიერება და სიმართლე იმას ვერ იტყვის, რომ მეგრელები ქართველები არ იყონ და მეგრულიც ძირითადი ქართული!.. ძველთა „კოლხეთი“ ანუ ბერძნების კოლხიდა, ეს დღევანდელი სამეგრელო, უმტკიცესი და უკეთესი ნაწილი იყო მთლიან საქართველოსი მაშინ, როდესაც ამერ-იმერთა მეფეები, აფხაზთა მეფეებათ იწოდებოდნენ. როდესაც მონღოლობამ საქართველო დასცარა და ერთიანი საქართველო ორ-სამეფოდ, ამერ-იმერად გაჰყო, მაშინ პატარ-პატარა საერისთვოებმაც დაუმოკიდებელი მთავრობა მოინდომეს და მათ უგნურს და ქვეყნისთვის მავნებელ პირადობას გარეშე პოლიტიკამ ხელი შეუწყო. ამან გამოიწვია შინაური კინკლაობა. ძმები ერთმანეთს ჩამოაშორა, მაგრამ მაშინ კიდევ არც ერთს სამთავროს, არც გურიას, არც აფხაზეთს, არც სვანეთსა და არც სამეგრელოს, არ დავიწყებიათ, რომ ქართველები იყვნენ!.. წირვა-ლოცვა, მწიგნობრობა და სადარბაისლო საუბარი მათი, ყველასი, იყო ქართული და ქართული. თავის თავის სხვა ვინმედ წარმოდგენა არ შეეძლოთ, და სხვებს რომ ეთქვათ შეურაცყოფათა და გაკიცხვად მიიღებდნენ. მართალია, ერთმანეთში, შინაურობაში ხშირად ჰქონდათ კინკლაობა, მაგრამ გარეშეებთან არ ავიწყდებოდათ თავისი ერთტომობა, სისხლ-ხორცობა და კავშირის გაუწყვეტლობა.



ამ ოცდაათის წლის წინეთ, რომ სამეგრელო იმერეთის  
შემოუერთეს, სიხარულითა და ლიტანიობით მიეგება  
შეგნებული ნაწილი ორივე მხრისა!. განსვენებულმა  
ალექსანდრე მიქელაძემ, მაშინდელმა თავად-აზნაურობის  
წინა-მძღოლმა, ლხინი გადიხადა და უნდა გენახათ თუ  
რა ლხინი იყო ის ლხინი?!. დღევანდელ ალაპის მსგავს  
სტუმრობასა და წვეულებას კი არ ჰგავდა, რომელსაც  
დიდი და პატარა ზარის ხმით „მრავალ-ჟამიერს“ დაბლა-  
ვის და ღვინით იწუმებდა!.. სძლის პირები, საერო და  
სასულიერო სხვა და სხვა გვარი „მრავალ-ჟამიერები“,  
გურული კრიმანჭულები, მეგრული ტკბილი ღვინი და  
მრავალ-გვარი სუფრული, ყველა ერთად, სხვა-და-სხვა  
გვარად მაგრამ საერთოდ კი ნამდვილ ქართული გრძო-  
ბა-გონების გამომეტყველ-გამომხატველი, აშვენებდა სუფ-  
რას და აღიადებდა ლხინს. უნდა გაგეგონათ იქ, მეგრე-  
ლების მქერმეტყველება და მათი გამტკიცული, გაწმენ-  
დილი ქართული და მაშინ იტყოდით: აი, სად ყოფილან  
ნამდვილი ქართველებია!

მას შემდეგ დიდმა ხანმა გაიარა და აბა თუ ვინმე  
იმას იტყვის, რომ მეგრელებს ან სიტყვით და ან საქმით  
მოეცესთ რამ საბუთი, რომ ჩვენ ვსთქვათ: ისინი აღარ  
ქართველობენო!.. პირიქით... ქართველობა დღეს იმათ  
უფროც ეტყობათ: ჩვენ საზოგადო საქმეებში მეტს მო-  
ნაწილეობას ისინი იღებენ. ქართულ ჟურნალ-გაზეთს ისინი  
მეტს იწერენ, წიგნებს სამეგრელოში უფრო მეტი  
გასავალი აქვს, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეებში,  
გარდა გურიისა; საერო საქმის თანამგრძობი არიან და  
მაშ რალაში მდგომარეობს მათი ჩვენგან განცალკევების  
სურვილი?.. თუ იმას ვიტყვით, რომ იმათ შინაურობაში  
(განსაკუთრებით დაბალ წოდების ხალხს) მეგრულ კი-

ლოზე ლაპარაკი უფრო ეხერხებათო, ამითი რა დაშავდება? სამწერლო და სადარბაისლო ქართული იმათ ჩვენზე ნაკლებ არ იციან?! მართალია, მეგრული კილო ჩამორჩენილი ქართულია, მაგრამ მიუხედავად ამისა, სამაგიეროდ იგივე მეგრული დღეს საღაროა ნამდვილ ქართული სიტყვების. აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად სომხურ-სპარსულ-თათრული შემოვლია, რომელიც ქართველის ყურს ცუდათ ეჩხირება და გულსა სწყინს.. და მეგრულ ენაში კი შენახულან ობოლ მარგალიტებად ის ძველი სიტყვები.. ჩვენ ვურჩევთ ჩვენ მწერლებ-მწიგნობრებს მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრებილ სიტყვებით შეივსონ დღეს მათი შელახული ქართული ლექსიკონი.— ეს რომ ასეა, ეს ყველამ ვიცით, მაგრამ, წარმოიდგინეთ, რომ ერთმა უბრალო ახირებულობამ, იძულებული გვყო დღეს, რომ „მეგრელობაზე“ ვისაუბროთ: ტყვილა კი არ არის ნათქვამი: „თავდაპირველად მუნი ქვეყნად ერთმა თავგმა გააჩინაო“. ამ რამოდენიმე წლის წინეთ ერთმა ვილაც წინდაუხედავმა კაცმა აიხირა, რომ ჩვენ მეგრელები ქართველები არა ვართ და ჩვენი ენაც სულ სხვა ენა არისო. . . ეს არ მოეწონათ მეგრელებს!.. იტკიცეს!.. ვინ ამბობს, რომ ჩვენ ქართველები არა ვართო?.. მეგრელები რომ ვართ, ეს მართალია და ზურც მოგვიშალოს ღმერთმა ჩვენი მეგრელობა, ისე როგორც გურულს გურულობა, ქართველს ქართველობა, კახელს კახელობა, რაჭველს რაჭველობაო და სხვანია!.. მაგრამ იმავე დროს ნუ თუ საერთოდ ქართველები არა ვართო? და როდის აგვიღია ხელი იმ ღედაენახედ, რომლითაც ღმერთს ვადიდებდით მრავალ საუკუნოების განმავლობაში და სამშობლოს ვემსახურებო-





დითო!.. დაუცაცხანეს იმ ახირებულ ფილოსოფოსს და მოსვენებას აღარ აძლევდენ...

მეგრელების შორს-მჭვრეტელობამ და წინ-დახედულობამ კუდი აღარ მოაქნევია უჯერობასა და უსამართლობას... კუქის მიმდევარი, ინტელიგენტები გამოდიან დღეს ასპარეზზე და შფოთს აგდებენ მოძმეთა შორის. ეს სულ არჩევანების ბრალია!.. კაცს რომ სიმღერის ნება მისცე, მაგრამ იმ პირობით კი რომ პირზე ხელი დააფარო, რაღას იმღერებს?.. უხეიროდ შემოღებულმა არჩევანებმა როგორც ბანკისამ, ისე ქალაქისამ დიდი ვნება მოუტანეს ჩვენ ცხოვრებას.— გაუღვიძეს საკუქო სურვილები, გაუხსნეს მაღა ზოგიერთ ინტელიგენტებს და ის ჩაადენიეს, რაც საკადრისი არ არის და რაც წინეთ ფიქრადაც არ მოუვიდოდათ. ყოველ-გვარ საშუალებასა ხმარობენ ოღონდ კი თავისი გაიტანონ და გაიმარჯვონ!.. მარტო გამარჯვებითაც რომ აღარ თავდება უსიამოვნება?! ბრძოლის დროს, ერთმანეთის პირდაპირობასა და შეხლა-შამოხლის დროს გამოწვეული უსიამოვნება; რჩებათ გულში და კერძო ცხოვრებაში შეაქვსთ იერიში... ეს კიდევ არაფერი, რომ ამ კერძო უსიამოვნების დროს, ვნებათა ღელვა არ აბრმავებდეს მეტოქეებს!.. თავისს პაწაწინა თავმოყვარეობას, წვრილმან კერძობას უფრო მაღლა აყენებენ საქვეყნოზე და თითქმის ღალატს ჩადიან. მაგალითად: მეთაურობის ხელში ჩასაგდებად გამოდიან მეტოქეები საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებიდან; ერთი მეგრელია, მეორე გურული, მესამე რაჭველი მეოთხე ზემოური, მეხუთე ქვემოური და ამ გვარად. სხვა რომ არა მიუძღვისთ-რა, ხრიკებს მიმართვენ ხოლმე და ბრბოს აბრიყვებენ: მეგრელებო! მე მეგრელი ვარ და ჩემი დამარცხება თქვენი შეურაცხყოფა იქნებაო!.. გურულებო!

მეგრელებმა რომ გვაჯობონ, და მე გურული გავმადდე, თქვენი შერცხვენა იქნებაო!.. იმერლებო! — გაიძახის იმერელი მეტოქე — მოგვადგენ მეგრელ-გურულები და აღარ გვზოგვენ... ბუჯათაც აღარ გვაგდებენ და ჰკა მაგათ!.. დავანახოთ, რომ ჩვენც კაცები ვართ, ქუდი გვხურავსო!.. შავი მაგათო! და სხვანი. ამ გვარის ტყუილებითა და უკადრისობით ლამის სხვა-და-სხვა კუთხეს ქართველობა ერთმანეთს გადაჰკიდონ და საშვილიშვილო მტრობა ჩამოაგდონ!.. საჭიროა, ყურადღების მიქცევა... იმას ნურავინ იტყვის, რომ წვრილმანი რამეა და აღარ ღირს გამოკიდებაო. ეს ის ეკალია, რომელიც ეშმაკის ხელით ითესება და შემდეგში გვიჩხვლეტს და დაგვაწყლულებს!.. ძველათ, ბურთაობისა, ჯირითობისა და სხვა სავარჯიშო შექცევების დროს ორათ რომ გაიყოფოდენ ხოლმე მოთამაშეები, „არჩევანი“ და „არა-დანი“ იცოდენ... არეული იყვენ ერთმანეთში და არა დასდასად დაყოფილი: გურული ცალკე, მეგრელი ცალკე, სვანი კიდევ ცალკე და სხვანი. ამას მიტომ შერებოდენ, რომ გაცალცალკევებას ცუდი შედეგი არა მოჰყოლოდა რა... და ჩვენ კი დღეს ჭანძრახ ვცდილობთ, რომ ერთმანეთს დავაშოროთ და მტრობა ჩამოვაგდოთ როგორმე!.. ოჰ! ეს დიდი სენია!.. და ამ თავითვე უნდა წამლობა!.. ამ საერო ფილოქსერას, ჯერ კიდევ სანამ გარედან აზის დღევანდელ ჩვენ ცხოვრებას და ფესვებში არ გაჯდომია, შესაფერი საქვაველა ეპირვება. დრო არის, რომ თავი დავანებოთ უაზროთა

და უადგილოდ წარა-მარა „მრავალ-ჟამიერის“ ბლავილს და საჭირო, სწორ-გზას დავადგეთ... შინაურობაში მივიხედ-მოვიხედოთ, „ჩემიან-შენიანობაზე“ ხელი ავილოთ და საიდანაც უნდა იყოს, ვინც უნდა იყოს, მოყვარეს მოყვრულად მივეგებოთ და მტერს მტრულად დავუხვდეთ!.. აი, ამ აზრზე დგას „კრებულის“ რედაქცია და იმედია, რომ თანამოაზრეებიც მხარს მოგვეცემენ!..

აკაკი





თავ. ბიორგანი მუხრან-ბათონის სახეს.

კსტვრეტ სულ-შეფრთხინებით შეხსა სახეს,  
რომელსა ვხედვე მშვიდსა, დიდებულს...  
ქაბუკ მხარხედა მოხუცებულს თავს,  
მშვენიერებას, ზედ დაძვეოდრებულს,  
შუბლსა, მოწამეს ზატოცხების,  
საბრძნის ღამპრისგან სინათლე ფაქეულს, —  
სამშობლოს შეხსა, მზის შუქის მხარეს,  
მადლობით ვეტუვი ამა შემცნეულს.

კალხიდელო.



## „ზღვოვარბიული მინუსები“-ს გამო.

ფარნაოზმა შეჰქმნა მწერლობა ქართულიო. ქართველები სცხოვრობდენ არარატის მთების არემარეზეო და აქ, კლდეებზე, გამოჰკვეთეს თვისი ისტორია ლურსმებრივ წარწერითაო. ქართველ მეფეებს მიწერ-მოწერა ჰქონდათ რომის იმპერატორებთანაო...

ამის შემდეგ რალა დასაჯერებელია ის აზრი, რომ, ვითომ ქართული ანბანი შემოეღოთ მეხუთე საუკუნეში ქრ. შ. და ისიც იმისთანა კაცის დახმარებით, რომელმაც ქართული ენა არ იცოდა!

ამ აზრის გამავრცელებლად ითვლება ვილაც „ცრუხორენელი“, რომელიც თურმე სცხოვრებდა არა მეხუთე საუკუნეში, არამედ მერვე საუკუნის დასაწყისში. მისმა „ისტორიამ“, რომელიც ითარგმნა მრავალს ევროპიულს ენებზე, უკვე დაჰკარგა თვისი წინანდელი მნიშვნელობა და ფასი.

გარნა, ეს ასრეც რომ არ მომხდარიყო, ე. ი. სიყალბე ხორენელის მატთანისა არ დამტკიცებულიყო, მაშინაც დასაჯერებელი არ იქნებოდა მის მიერ გავრცელებული აზრი შესახებ ქართულის ანბანის მოგონებისა მესროფისაგან. ამას, ვგონებ, ამტკიცებს შემდეგი კატეხისმური საუბარი.

**კითხვა.** რა დროს სცხოვრობდა მესროფი?

**პასუხი.** მეხუთე საუკუნეში.

**ბ.** ამ დროს სამწერლო ნაშთები გვაქვს თუ არა?

**პ.** გვაქვს: ფულები და წიგნები.

**ბ.** ვისი ანბანით არის დაწერილი ეს მე V—VI საუკ. სამწერლო ნაშთები?

**პ.** ქართულის ანბანით.

**ბ.** სრულია ეს ანბანი, თუ ნაკლული?

**პ.** სრული (სულ. 38 ასოა, ე. ი. იმდენი, რამდენიც დღევანდელს ანბანშია).

**ბ.** ხელი წერისა როგორია?

**პ.** უზენაესად განვითარებული.

**ბ.** ამ „ხელს“ რამდენ საუკუნეში უნდა ემუშავნა, რომ მაგ განვითარებას მისწლომოდა?

**პ.** სულ ცოტა 5—6 საუკუნეს მაინც.

**ბ.** სომხური ანბანიც ისევე სრულია, როგორც ქართული?

**პ.** არა, ქართული ანბანისთანა სრული არა თუ სომხური, ევროპიულებიც არ არის!

**ბ.** ეგ შენი აზრია, თუ სხვისა ჭისიმე სანდო მეცნიერისა?

**პ.** ბარონ უსლარის სიტყვას მოგახსენებთ: „ქართული ანბანიო—ამბობს ეს მეცნიერი,—უნდა გამოვტყდეთ, აკმაყოფილებს ყოველ გვარ მოთხოვნილებას: კინალამ ეს ანბანი უუსრულებსი არ არის ყველა არსებულ ანბანთა შორის“...

**ბ.** ვითარი მიზეზი დაიდვა საფუძვლად, რომ მესროფმა ჩვენთვის უუსრულებსი მოიგონა და თავიანთთვის არა სრული?

**პ.** მაგ კითხვის გადასაწყვეტად ახალგორულ თქმუ-

ლებას მოვიღებდით, თუ თვითონვე ცრუ-ქორენელი შორსმხედველი არ ყოფილიყო და არ ეუწყა ჩვენთვის, რომ „მესროფი“, წარვიდა-რა ივერიაში, ქართველთათვისა ც შექმნა ანბანი მაღლითა უფლისათაო“.

ძ. მრწამს და აღვიარებ, რომ ვისთანაც არის მაღლი ღვთისა, მას შეუძლია, თუ მოინდომა, დააშროს ოკიანე და მისი ფსკერი ყანობირად აქციოს, გარნა ვერ გამიგია, რაისა მიზეზისათვის იგივე მაღლი უფლისა არ შეეწია მესროფს ანბანისა მის სომხურისა მოგონებაშიაც?..

აღარ გავაგრძელებ ამ კატეხისმოს. დღევანდლომდის ბევრი ცრუ აზრები ვრცელდებოდა შესახებ ქართული ისტორიისა, ანბანისა და, წარმოიდგინეთ, ნიქისაც კი! ბრალი ისევ ჩვენ გვედება.

ისტორია გვაქვს და ვერ გამოგვიყენებია!

სამწერლო ნაშთები მრავალია და ვერ შეგვისწავლია!

სიგელ-გუჯარი გვაბადია და ვერ შეგვიკრებია!

დიდ-დიდი მწერლები გყავს და დავიწყების კოშკში

ჩაგვიხრჩვია!

მივსცემივართ სიძაბუნეს და გვძინავს! რის ისტორია,

რაა მწერლობა, რაია სიგელ-გუჯარი, თუნდაც იგი

ხელმოწერილი იყოს თვით თამარ დედოფლისაგან!

— ვარხალალო!

— ალავერდი!

— იახშიოლ!

— შესვი!

— გაამოს და გაუმარჯოს საქართველოს!..

აი, ეს არის ჩვენი საქმე! ვკამთ, ვსვამთ და გვძინავს, ხოლო ოდეს გავიღვიძებთ, ვიკანკურებთ ხანჯლებს და თუ მოყვასმა თუნდაც ერთი ძირი ქინძი არ გაიმეტა ჩვენი სუფრისათვის, თავსა ვსჭრით!



ტყუილა-უბრალოდ იფლანგება ჩვენი ქონება და ფუჭად იღვევა ჩვენი ცხოვრება, ხოლო წასსუღა კი, დასახამი აწმყოსი და მეოხადისა, შთება უპატრონოდ და უპატიოდ.

დრო კია, რომ ჩვენც გამოვიღვიძოთ. „საქმე მრავალ არს და მუშაკ ყოვლად არა!“ ვიმუშაოთ ერთად, ზოგმა გონებრივ საუნჯით და ზოგმა ქონებრივით.

საჭიროა დაიბეჭდოს:

ა) „ქართლის ცხოვრება“ კარგის რედაქციით, რომ მასში აღარ იყოს აზრის დამბნელობითი სიტყვები და ფრაზები, ვითარცა ზემონი ზეხანას მაგიერ და ანუ ასე: ხელებით (უნდა ყოფილიყო მსგავსებით, როგორც ვარიანტებშია), ვაცთა — კაცთა, სიმწაველეთა — სამთავრანდეთა, უაზროსა — უხანოსა, სხვანნი — სხვანსი, მოწამეთა — მოწაფეთა, მსგავსი — მსგავსი, არმონებისა — არმონისა, ფონონისა — ფილანისა, მოიხადეს — მისხადეს (— მიუახლოვდეს), ძისა — ძალისა, ეახლნეს — იხილეს, გაკვეთელ — გაქცეულ, თავისთა — თავისითა, წლისა — წყლისა და მრ. სხ.

ბ) „მამათა ცხოვრება“

გ) სიგელ-გუჯარნი

დ) აღწერა ეკკლესიებისა და ძველის ნაშთებისა მათის სახე-სურათებით;

ა) გამოიცეს ცალკე მეფეთა და წარჩინებულთა სახეები და სხ. და სხ.

დიდი ხანი არ არის, რაც ტფილისის საეკკლესიო მუზეუმში შემოვიდა ერთი ევროპიელი და, სხვათა შორის, ჩვენ მიერ შედგენილ „პალეოგრაფიულ მინუსებში“ ნახა ხელწერილი უკვდავის თამარ დედოფლისა. ამ ევროპიელმა ფრიად გაიკვირვა და წამოიძახა: „სიხანს, თამარ მეფე მითიური არსება არ ყოფილაო!“





ამ თქმაზედ მე მხოლოდ მხრები ავიჩეჩე  
დიხს, საჭიროა გამოიცეს და გამოქვეყნდეს ყოვე-  
ლივე „კერძო“ ჩვენის წარსულისა და, შეძლებისამებრ,  
დაიბეჭდოს იგი (თუნდა მოკლედაც) რუსულსა და ევრო-  
პიულს ენებზე, და მაშინ „მითიურ არსებათ“ ყოფილ  
მოღვაწეებად ჩაგვითვლიან და ჩვენც პატივით მოგვე-  
პყრობიან.

იგულისხმეთ: აწინდელი საბერძნეთი აღადგინა სხვამ  
არაფინ, გარდა სოკრატისა, არისტოტელისა და პლატო-  
ნისა. ღვაწლი წარსულისა მალამოდ გამოადგა აწმყო  
სიძაბუნეს!

ქართული „პალეოგრაფიული მინუშები“ შედგენი-  
ლია იმ წყაროების შემწეობით, რომელიც დაკულია  
საეკკლესიო მუზეუმში და წერა-კითხვის გამავრცელებელ  
საზოგადოების სამწიგნობროში. მთელს ამ შრომაში არის  
ათასამდე მინუში ხელ-წერილობისა, დაწყებული მე-VI  
საუკ. დასასრულიდან მე XIX საუკუნემდე. მინუშები მე  
VI-X საუკუნისა ვადმოღებულია ტყავზედ ნაწერ წიგნე-  
ბიდან, ხოლო დანაშთენნი სიგელ-გუჯრებიდან და აგ-  
რეთვე ტყავსა თუ ქალღებზე ნაწერ წიგნებიდან. იმავე  
შრომაში მოვაქციეთ სახეები ქართველ მეფეთა ფულებისა  
(V—XIX-საუკ.). ფულთა კოლექციაში არის სახეები ფუ-  
ლებისა, რომელნიც (ოუქრიათ ვახტანგ გორგასლანს,  
ჯუანშერს, სტეფანოზს, ბაგრატებს, დავით აღმაშენებელს,  
გიორგი III, თამარ დედოფალს, ლაშა გიორგის, რუსუ-  
დანს და სხ.

ხელწერილობათა განყოფილებაში არის: „ხელი“  
მეფეებისა, კათალიკოზებისა, დიდ გვაროვან კაცთა და წარ-  
ჩინებულ მწერალთა.

ცალ-ცალკე მოყვანილია აგრეთვე ანბანები სხვა და

სხვა საუკუნოებისა (მე-640 წლისა, X საუკუნისა) აგრეთვე ნაწერები ხვეულად და გადაბმულად (ასომთავრული და მხედრული).

ამ „პალეოგრაფიულ მინუსებს“, თუ დაიბეჭდა, მრავალ ნაირი მნიშვნელობა ექნება, ჩვენის აზრით:

ა) იგი გააადვილებს წაკითხვას ძველის-ძველ წიგნებისა, ტაძარ-მონასტერთა ზედ-წარწერებისა და სიგელ-გუჯართა, და მით გაადიდებს საქართველოს წარსულის შემსწავლელთა გუნდს.

ბ) გადასწყვეტს იმ კითხვას, თუ რომელი ანბანი უბუცესია: ასომთავრული თუ მხედრული.

გ) მეცნიერთ მისცემს მასალას გადასაწყვეტად იმ კითხვისა, წმ. კირილემ სლავიანურის ანბანის შესავსებათ ისარგებლა ქართულის ანბანით თუ არა? (მეცნიერი აბიხტი ამტკიცებს, ისარგებლაო. იხ. მისი „Ist die Ähnlichkeit der glagolischen mit dem grusinischen Alphabet in zufall“, Leipzig. 1895 წლ.).

დ) გამოარკვევს იმ კითხვასაც, მართლა ხვეული ასომთავრული მე XV-XVI საუკუნეზედ წანად არა გვხვდება! (ჩვენს „მინუსებში“ ხვეული ასომთავრული მე-IX საუკ. ჩნდება).

ე) მრავალ-ნაირი ღახატული ასოები, უეჭველია, წახალისებს ჩვენს მანდილოსნებს, რომელნიც ამ ასოებს მოიხმარებენ ქარგვაში. ეს მხატვრობა დაამტკიცებს ბერძენ-რომაელთა მწერლობის თქმულებასაც, რომ ივერთში იციან ისეთი წამლები, რომელთა ფერადები არას დროს არ ხუნდებაო“. მართლაც, უყურებ ქართულს ნახატებს ტყავზედ და ნება-უნებლიედ ეკითხების შენს თავს: ეს საოცარი ხელოვნება გუშინდელია, თუ უწინარეს ათასის წლისა! სად სწავლობდენ ქართველები ამ გვარს თვალ-



წარმტაც ხელოვნებას? სად და სად იყო ის ჩინური სკოლები, რომელნიც ზრდიდნენ ამ მხატვრებს?

ვ) „გააცოცხლებს“ და მკითხველს თვალ-წინ დაუყენებს მრავალს მოღვაწეს, რომლის არსება აქამომდე არავის ახსოვდა. და ამ ნაირად აღსრულდება ხვეწნა ხუთასისა თუ ათასის წლის ამის უწინარეს დროის მწერლისა, რომ იგი არ დაივიწყოს მომავალმა თაობამ: „ძმანო და მამანო, რაჯოდენიცა მიემთხვნეთ წმიდასა ამას წიგნსა ლოცვა ყავთ“ (იოანე ტატენელისათვის (640 წლ.), სვიმონ კათალიკოზისთვის (786 წ.). ეფთჳესთვის (1028 წ.) ბანაელ მამად-მთავრის სვანგელოზისთვის (XI საუკ.). იოანე მტბევარისთვის (X ს.).

„კურთხეულნო ერნო მომავალნო, რომელნი ჩუენსა შემდგომად ყოფად ხართ... ჳირნი დიდნი მინახიან, ღმერთმან დაგაჯგროს, სული გრიგოლ პატარაისა მოიკსენეთ წმიდითა ლოცვითა თქუენთა“ (ოპიზისა და ტბეთის მწერალი მე-X საუკუნისა).

„გაბრიელ ხორგაი დიად დამიდგეს თანა, ღმერთმან შეუნდვენ ცოდვანი! ოდეს მიმჳირდის, მათ მივჳმართი, ჰურაი მციან, იოვანე გაცუეთილმან კუტალითა ღვნოჲ მომართვა“ (X საუკ.).

აი ამ ყოფაში ამ საწყალ მწერალს გადაუწერია 1300 დიდ ფურცლოვანი ტყავის წიგნი და ისიც როგორ? წმინდად, ფაქიზად და ულაქოდ!

ნუ თუ ამათთვის შეგვშურდება სიტყვა კურთხევისა და ცხონებისა!

დიად, ვიმეორებ, ჩვენი „პალეოგრაფიული მინუ-



## „სისულელეა!“

(ეტიუდი).

...გუგუნებს ბუხარი, გუგუნებს და მალხაზას მოუთხრობს წარსულს—ბავშვობის ამბავს:

„გახსოვს მალხაზ?!—ეკითხება ბუხარი: რა ალტაცებით მოელოდი ამ ღამეს; რა მოუსვენრად, უდარდელად ჰკისკისებდი, როდესაც დედაშენი გოზინაყს კეთებას დაუწყებდა?... შენც ჰშველოდი; გინდოდა, ჩქარა გაეკეთებინა, საკვლეო ხონჩა დაემზადებინა, რომ დილით, ძალიან დილით, სავსე ხონჩით შემოჰსულიყავ და მიგელოცნა შენი ჭერისთვის, მშობლებისთვის. ცოტათი რაკი მოიზარდე, მეკვლეობას აღარავის ანებებდი. მეკვლეობა დიდ ბედნიერებად მიგაჩნდა...“

„...ხა, ხა, ხა!.. ისიც ხომ გახსოვს, ხონჩიდგან ერთხელ მოხარშული დედალი გადაგივარდა და ძაღლმა მოგტაცა?!... დაგავიწყდა მეკვლეობა. ხონჩა ძირს დასდგი და ღრიალით ძაღლს გამოეკიდე, ხა, ხა, ხა!.. გეგონა, დიდი უბედურება რამ დაგატყდა თავზედ...“

ამ მოგონებაზედ პირზედ ღიმილი მოუვიდა, სიამოვნებით შეიშმუნა, და კვლავ ბუხრის გუგუნს ყური დაუგდო:

„...მაშინ, ჩემო კარგო,—გუგუნებს ისევ ბუხარი—“

გწამდა ყველაფერი: გეგონა ახალი წელიწადი მარტლად ახალი იყო; შენც ყოველ ახალ წელიწადის დღეს გააბლებულად ჰგრძნობდი, გეგონა, სულ ჰხალისდებოდი და ამისთვის შენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა... ეხლა?!

«წწ... ფუუუ!.. უეცრივ ერთი ღერო წინ წამოვარდა; ჯერ მოუწვავი თავიდან წამოცრემლა და შიშინი დაიწყო...

— ეხლა?!. ეხლა?!. აი, ეხლა! .— წინ წამოვარდნილ ღეროს ფეხი გაჯავრებით წაჰკრა და აჩქარებით ოთახში გაიარ-გამოიარა.

— შენ თუ არ ჩამეკითხე, მე კი არ ვიცი, — ლაპარაკობს სიარულის დროს მალხაზა: რანაირად გულს მიწამლავს ყოველ გვარი სიმხიარულე...

ჰო!.. ჰო!.. ჰო!.. — ამშვიდებს ბუხარი და ისევ მხიარულად გუგუნებს.

— რა ნაირად მქენჯნის, გულს მისერავს ჩემი არსებობა, ურწმუნობა და...

— ჰო!.. ჰო!.. ჰო!.. — ძალა-უნებურად იზიდავს ბუხარი თავისკენ, ეალერსება მალხაზას და აშლილ ფიქრებს უქარწყლებს.

ისიც აჩქარებულ სიარულს თან და თან უკლებს, თავის და უნებურად ბუხარს უახლოვდება და ჩქარა ისევ სავარძელში გადაწოლილი სიამოვნებით ყურს უგდებს ბუხარის გუგუნს...

«ღმერთო, ეს სადა ვარ?!. სიზმარია თუ ცხადი?!. არა მჯერა, გენაცვა, არა!.. ნუ თუ ჩემი ნატვრა, ჩემი ოცნება გამართლდა?!. ხშირად შითქვამს, ჩემო კარგო: «ოღონდ დამარწმუნეთ, რომ გულ-წრფელად გიყვარვარ

და მაშინ... მაშინ სააკაოს ტანჯვას თუნდ საიქიოს,  
თუ კი არსებობს, ჯოჯოხეთის ტანჯვაც ზედ და-  
ურთეთ, მაშინ მე მაინც ბედნიერი ვიქნები; მაშინ  
თუნდ ყოველ-გვარ საზიზღრობას, ცას, ხმელეთს, ზღვას  
შევებრძოლები; მაშინ კირი და ლხინი გაერთებული  
მექნება, სიკვდილიც კი ლხინად მიმაჩნდება მეთქი“. და,  
აი, თითქო მართლდება ჩემი ოცნება!.. მე მჯერა, გულ-  
წრფელია შენი სიყვარული!.. არ ვიცი კი, და მჯერა..

—ტყუილად გჯერა, ტყუილად!.. მე არ მიყვარხარ!..  
—პასუხს აძლევს ჯერ ისევ შეუბღალავი, უმანკო არსება  
და თან თავის პასუხისავე ჰრცხვენიან, მის მიერ მკრთალ  
სახეს ალ-მული ასდის.

—ჩაუკვირდი შენს გულს, ჩაუკვირდი და ისე მიპა-  
სუხე! აბა, რაღა სტყუი, რაღა? ხომ ეგ არ უნდა  
გეთქვა?!

—მართალს გეუბნები, მალხაზ, მართალს!

—რად ჰცბიერობ, ჩემო ელეონორა, რაღა?! მე მჯე-  
რა, შენ გიყვარვარ; გიყვარვარ გულ-წრფელად და ამას  
შენ ვერ უარჰყოფ!.. ელეონორა, სარკე მაინც გედგას  
წინ; ის დავარწმუნებდა შენი სიტყვების უშინაარსობას!..

—რა ვქნა, არ მიყვარხარ!..

—შეუძლებელია!.. შენ ხომ ქალი ხარ, ადამიანის  
შთამომავალი!.. მაშ ნუ თუ შენზედ გრძნობა გულ-  
წრფელი არ მოქმედებს?! კლდეს ააცრემლებს, ლითონს  
დაადნობს და...

—არა, სტყუი, გიყვარვარ!.. გიყვარვარ, ჩემო ელე-  
ონორა!..

—შენ არ მიყვარხარ, სხვა მიყვარს!.. —წაიღულღულა  
ელეონორამ და თავი ძირს ჩაჰკიდა.

—ვინ სხვა?!.

—მასაც ვუყვარვარ!..

—სიცრუვეა!.. მე გეუბნები, შენ მე გიყვარვარ... გიყვარვარ მისთვის, რომ მე გულ-წრფელად მიყვარხარ. საკმარისია, მგონი, ამის თქმა, რომ ყოველი ეჭვი გა-  
ვაქარწყლოთ.

— მისი სიყვარულიც გულ-წრფელია!..

მაშ უპირატესობას მის სიყვარულს რად აძლევ?!.

— მე ეგ არ ვიცი!..

მალხაზა ჩაფიქრიანდა. სახე მიეღრუბლა. ძნელი იყო მისთვის, დაეთმო ვისთვისმე ეს განხორციელებული სინაზე, მაგრამ...

— ელეონორა!.. — სასოწარკვეთილებით წამოიძახა: მე არ მჯეროდა, ვითომ შენ სხვა გიყვარდა. ეხლაც მრწამს: ჩემი გულ-წრფელი სიყვარული შენში თანაგრძნობას იწვევს... მაგრამ... რა მეთქმის, როდესაც შენ პირდაპირ ამბობ... იქნება, გგონია, მე ის გავკიცხო?! ეს!.. ჩემი მეტოქე. არა და არა!.. მე შემეძლო მეთქვა: მას მოვკ-  
ლავ, შევმუსრავე, მაგრამ არ ვამბობ, რადგანაც გულ-  
წრფელად მიყვარხარ. ვამბობ კი არა, არც მართლა მოვ-  
კლავ... იცოცხლოს...

ნუ კი იფიქრებ, ვითომ მე არ შემეძლოს იმასთან ბრძოლა?!. შენის გულისთვის ჩემ ძარღვებში ერთი წვეთი სისხლის მეტიც რომ არ ნაკადულობდეს, იმასაც გავ-  
წირავ; მაგრამ მხოლოდ შენის სიყვარულით უკუ  
ვსდგები. მე არ მინდა პირუტყვთ დაგადარო...

— რას მეუბნები?!.

— ყური დამიგდვი: ხომ გინახავს ყოჩი ბრძოლა დედალი ცხვრისთვის?! მე ყოველთვის ყოჩი ბრძოლას მაგონებს მამა-კაცთა სიტყვით, თუ საქმით შებრძოლება



ქალის წინაშე. ორი მებრძოლი მამაკაცი სცდილობს ერთი მეორის გამასხარავებას, რომ ქალის ყურადღება დაიმსახუროს. ყოჩითა შეჰხედვ: მაგასვე არ სცდილობენ?! თავ პირს იმტვრევენ, ტვინს ილახავენ, რომ ერთმა მეორე შორს გააძეოს და თითონ ხელთ იგდოს დედალი. დედალი ცხვარიც გულის ფანცქალით, ტუჩითა ცმაკუნით და ენის სავსავით გამარჯვებულ ყოჩს ქვეშ ეფინება. ქალი?!. განა ქალიც მაგავე გრძნობით არ ეგებება მამაკაცსა?!.

— გაჩუნდი, მალხაზ!..

— მე არ მინდა ცხოველს შეგადარო და ამისთვის ჩემს მეტოქეს არ ვებრძვი...

მშვილობით იყავ და გისურვებ ყოველ გვარ ბედნიერებას!.. — ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ მალხაზა გატრიალდა და გული კი ელფონორასთან ჰრჩებოდა.

— მალხაზ, მიყვარხარ!..

— ელფონორა, შენ ამბობ მაგას?!. ჩემო, ჩემო, გამაგონე კიდევ ეგ სიტყვა!..

— მიყვარხარ, მალხაზ!..

— ელფონორა, მრწამდა, შენ აღამიანი იყავ და...

— არ გეყურება, რამდენი ხანია ვაბრაგუნებ, მალხაზ!.. — შემოესმა ხმაურობა და კედლის ბრაგუნი მეორე ოთახიდგან...

— ჰა!.. — დაბნევით წამოიძახა, აქეთ-იქით მიიხედა და...

სანთლის მკრთალი ნათელი, თავის ოთახის კედლები თვალთ წაეჩხირა. ბუხარიც კი აღარ გუგუნებდა, ჩანაფლებულიყო. ელფონორა?!.

ელფონორას სიტყვები ისევ ყურში ესმოდა...

ამის მნახველს გული მოელაფნა და მწარის ღიმი-



ლით წამოიძახა: „სისულელეა!.. წრფელ გრძნობას მხოლოდ ოცნება აჯილდოვებსო“...

— არ გეყურება მალხაზ!..

— ეხლავე!.. განა დრო არის?!

— საცაა ახალი წელი ჩემსავით კარებს შეგვიძინრევს... შენს მეტი ყველა აქ არის...

— მეც ეხლავ მოვალ და ვიყოჩაოთ!..— უკანასკნელი სიტყვა თითონაც არ იცოდა რად წარმოსთქვა, თუმცა კი თავისდა უნებურად საყოჩაოდ მზადებას შეუდგა...

შ. არაგვისპირელი.

დ. სურამი.

## კრიტიკული შენიშვნები.

(ზანდვილის ლექსები, 1898 წ.).

ამ უკანასკნელ დროს ჩვენმა ახალგაზდა «პოეტებმა» ძალიან დაუხშირეს თავიანთ «ხელის-ხელ საგოგმანებელ» ლექსთა თაიგულების ბეჭდვას და წიგნებად გამოაცემას. ეს ამბავი, თუ გნებავთ, ერაგვარ ახალ-მოდათაც გადაიქცა და ამის მსგავსი ჯერ ჩვენს ლიტერატურაში არაფერი ყოფილა. ეს, ალბად, დროის ნიშანია და ერთის მხრით სანუგეშოც... მე დარწმუნებული ვარ, რომ ჭეშმარიტი პოეზიის ზოგიერთს მოტრფიალეს ბევრს მწუხარებასაც მოჰგვრის ეს ამბავი, რადგან ახლად დასტამბულს ლექსთა კონას ბევრჯერ აღტაცებით მიეგვებებიან ხოლმე, მაგრამ თითქმის ყოველთვის იმედ-გაცრუებულნი და მწარედ მოტყუებულნიც რჩებიან. ამდენი ლექსთა თაიგულები გამოცდილს და დახელოვნებულს კრიტიკოსსაც კი აუბნევენ დავთარს, თორემ ზერე-ქვერედ აღზრდილს, გემო-გაუხსნელს და ჩვეულებრივს მკითხველს ხომ თავ-ბრუს დაასხავენ და გრძნობა-გონებას დაუბნევენ. მაგრამ, როგორც ყოველგან მოხდება ხოლმე, ისე აქაც ბევრჯელ მწუხარებას მოსდევს იმედი და სიამოვნებაც. პროზულად და



უნჩოდ დაწერილს ლექსთა ამ ათას გროვაში, შესაძლებელია, ჩვენშიაც წააწყდეთ მართლაც ნამდვილი, ქეშმარიტი ნიჭის მადლიანს ნაწარმოებს და ვერ წარმოიდგენთ, რა დიდ სიამოვნებას და სიტკბოებას გრძნობს კაცი, როდესაც ლექსებში იხატება ცოცხალი ნიჭი და მღუღარებასავით მღვლევარე გრძნობა, ზეცის ასულის — პოეზიის ცეცხლი. ჩვენ ყოველთვის სიამოვნებით მოვკიდებთ ხელს ასეთს სანუგეშო სალიტერატურო მოვლინებას და ვეცდებით მისი შინაარსი და სამკაულის ღირსება გადავცეთ მკითხველებსაც. ასეთს იშვიათს ლექსთა კონას წარმოადგენს ქ-ნ განდევლის ლექსებიც, რომელნიც ავტორმა ცალკე წიგნად დასტამბა წელს. მაგრამ, ვიდრე ამ ლექსების განხილვას შევუდგებოდე, საჭიროდ მიმაჩნია ორი-ოდე სიტყვით ვუამბო მკითხველს ქართველ ქალთა სალიტერატურო მოღვაწეობის მოკლე ისტორიაც.

ჩვენი ლიტერატურის ახალს გზაზე დადგომისა და აღორძინებისათანავე ქართველი ქალებიც იღებენ მხურვალე მონაწილეობას ლიტერატურაში და კაცებთან ერთად შეაქვთ მცირე წვლილი საერთო შრომის და მოღვაწეობის საღაროში. ჩვენი მხცოვანი პოეტის, რაფიელ ერისთავის დაე კნ. ბარბარე ჯორჯაძისა, მგონია, პირველი ქალი იყო, რომელიც 1858 წელს გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე და დაიწყო ლექსებისა და მოთხრობების წერა ჟურნალ «ცისკარში». დრამა „შური“ და კომედია „რა დავკარგე და რა ვნახე!“ ავტორის მიერ ამ ვნ წლის წინად დაწერილი, არა ერთხელ წარმოუდგენიათ ქართულს თეატრში. ამას თან მოჰყვა 70-ან წლებში ევროპულად განათლებულ ქართველ ქალებსგან საამო საკითხავ თხზულებათა თარგმანები, რომელნიც ჟურნალ «კრებულის» შესანიშნავის კრიტიკოსის სიტყვით, „სწო-

რედ საამო და ბედნიერი მოვლენა იყო ჩვენ ბედ-მავ მწერლობაში“. ქალების იმ ახალ შრომას მაშინ მიზნად ქართველი საზოგადოების და ლიტერატურის სიკეთე ჰქონდა წინ წამოყენებული და, ამიტომაც, ზემოდ დასახელებული კრიტიკოსიც დიდის სიამოვნებით და აღტაცებით მიეგება ქართველ ქალების სასარგებლო შრომას და, სხვათა შორის, გამოსთქვა ეს შემდეგი სიტყვებიც, რომელნიც ბევრთათვის საგულისხმოა დღესაც: «თუ ჩვენ მართლა გვწამს ჩვენი მომავალის ღირსება და სიკეთე, ჩვენ ისე მჩატედ და უზრუნველად კი არ უნდა მოვეპყრათ «ქართველი ქალების» შრომას, როგორც ჩვენი სკეპტიკები (სკეპტიკების აზრი ამ სიტყვების ზევით აქვს გარკვეული ავტორს) და ზოგიერთი სხვა პირებიც შვრებიან. ჩვენ არც იმ შემცდარის აზრით უნდა მივადგეთ ამ შრომას, როგორც სკეპტიკებს ნიადაგ თავში უძევთ, და არ უნდა დავიწუნოთ ეს შრომა მარტო იმ საფუძველით, რომ ის უნაკლოლოვანო არ არის, არც იმგვარად უნდა მოვეპყრათ იმას, როგორც კაცი ბავშის პირველ ნაბიჯის გადგმას, ან პირველი სიტყვის გამოთქმას აფასებს, და არ უნდა გვქონდეს, ის დაფარული აზრი, რომ «თქვენგან, ბავშებიდან, ესეც კარგიაო“. ჩვენი აზრით, როგორც ჩვენი მადლობა შესრულებული შრომისთვის, ისე ჩვენი იმედი მომავალი საქმისთვის იმიტ უნდა გამოითქმოდეს, რომ ჩვენ ნამდვილ გულწრფელობით დავაფასოთ ეს ნაწარმოები და მოვეპყრათ «ქართველ ქალებს» როგორც ტოლი ტოლს, კაცურად, პირუთვნელათ და გულგაშლილად. ჩვენ იმათ როდი უნდა ვაკადროთ არც ბავშური თავზე ხელის დასმა, არც ყმაწვილური მაღალ-კილოია-ნობა. ერთის სიტყვით, ჩვენ მწერლობას მარტო პირდაპირი

და სინდისიერი სჯით შეუძლია ნამდვილი მადლის და-  
დახდა ჩვენი საზოგადოების მხრით“...

ამ დაწინაურებული მწერალის სიტყვებით გამხნევე-  
ბული «ქართველი ქალები» შემდეგში უფრო წინ მიდიან,  
კეიხოს და სასარგებლო საქმეს ჰკიდებენ ხელს და ჩვენს  
ლიტერატურაში პირველად იწყებენ დიდს საქმეს. ქარ-  
თველი ქალები პირველად აარსებენ საქართველოში 80-იან  
წლებში საკუთარ ჟურნალ „ქართულ ბიბლიოთეკას“,  
სადაც ბევრი პატივცემული და ნიჭიერი მანდილოსანი  
მუშაობს მხნედ და გატაცებით. ამ ხანებში, განსაკუთ-  
რებით ორმა ქალმა გამოიჩინა თავი: ეკატერინე გაბა-  
შვილისამ და პოეტის მიხეილ თუმანიშვილის ასულმა,  
ანასტასიამ. პირველი არის ნიჭიერი ბელეტრისტი-ქალი,  
მეორე — ნიჭიერი მთარგმნელი და რედაქტორი საყმაწვი-  
ლო ჟურნალ «ჯეჯილისა» და საკვირაო გაზეთის „კვა-  
ლისა“. ამავე დროს ლექსებს სწერს და სტამბავს კნ. ნინო  
ორბელიანისა და რამდენიმე სხვა ქალიშვილებიც მუშა-  
ბენ 90-იან წლებმაც არ დაგეტოვებს ხელცალიერი და  
მცირე რაზმს ქართველი ქალებისას მიემატა: ნინო ყიფი-  
ანისა, ანასტასია ერისთვის ასული და ჩვენი ნიჭიერი  
ბელეტრისტი და პოეტი — ლირიკოსი — ქალი განდე-  
გილი.

აგერ ექვსი წელიწადია მას აქეთ, რაც განდეგილი  
სწერს თავის ლექსებს „ივერიაში“ და „კვალში“. პოეზიის  
მოტრფილენი დიდის სიამოვნებით ჰკითხულობდნ ხოლმე  
განდეგილის ლექსებს, მაგრამ საზოგადოება მაინც საკმაოდ



ვერ იცნობდა ავტორს, რადგან ლექსებს ძალიან და-  
თად ჰბეჭდავდა. მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს მან და-  
იწყო პატარ-პატარა მოთხრობებისა და სურათების თხზვა  
და საზოგადოებაშიც მიაქცია ყურადღება მის სიმპატიურ  
ნიქს. თავის ლექსების ცალკე გამოცემის შემდეგ, იმედია,  
უფრო დიდს ყურადღებას დაიმსახურებს ავტორი... ჩვენ  
კი, პირადად არ გვსურს და არც ვაკადრებთ, არც ჩვენ  
თავს, არც პატივცემულს ავტორს, რომ ზოგიერთი ვაჟ-  
ბატონივით «ყმაწვილოური მაღალ-კილოიანობით» მოვეპ-  
ყრათ განდევნილს, და აქვე აღვიარებთ, რომ იმისი  
ლექსთა თაიგული წარმოადგენს უკანასკნელი დროის  
ქართულს პოეტურს ლიტერატურაში მართლაც ერთს  
სასიამოვნო მოვლინებას.

ქ-ნ განდევნილის ლექსებს, თითქმის ყველას გარეგ-  
ნული მორთულობა და ღირსება ძალიან კარგი აქვს და  
ალაგ-ალაგ შევნიერიც. მართალია, ის ლექსები, რომელ-  
ნიც მას 1893 წელში დაუწერია და ორიოდე სხვაც  
კიდევ, როგორც მაგალითად, «მეგობარს» და «არვარგა!»  
სხვა მის მიერვე დაწერილ ლექსებს ვერ შეედრებიან,  
რადგან აზრის სიღარიბესთან დასახელებულს ლექსებს  
აკლიათ ის ცხოველს-მყოფელი ძალა და ენტუზიაზმი,  
რომლითაც გამსჭვალულია დანარჩენი ყველა იმისი ლექ-  
სები... ამ ლექსების სისუსტე, ჩემის აზრით, იმით უნდა  
აიხსნას, რომ ეს ლექსები დაწერილია სულ წინაპირვე-  
ლად, თითქმის ახლად კალმის ხელში აღებისათნავე; შემ-  
დეგში კი ჩვენს ავტორს დიდი წარმატება და ნიქის  
ცხოველ-მყოფელი ზრდა ეტყობა. ლექსები რითმებით  
თან და თან მშვენიერდებიან, მდიდრდებიან და, ბოლოს,  
ისეთს მომხიბვლელს და შესანიშნავს ლექსებსაც სწერს,



რომელთაც შეუძლია თვალ-საჩინო ადგილიც დაიჭიროს ჩვენს ახალს ლირიკაში. განდევილის ლექსები თან და თან წარმატებაში შედიან ფორმითაც და შინაარსითაც, თან და თან პოეზიის ცეცხლს იმატებენ და მკითხველზე ძლიერად მოქმედებენ თავის უბრალო და გულწრფელად გრძნობათა გამოთქმით.

განდევილი მომეტებულად ცუდ გუნებაზე და მოწყენილი. იმის გრძნობათა გამოთქმის, პოეზიის მოტივები ტურთა სამშობლოს მთა-ბარის, ბუნების ჩაფიქრებული, ჩუმი სიყვარული და აღერსია და ამ აღერსის დროს იგი გრძნობს მარტო ხელობას, ოდესღაც ბედნიერი, მაგრამ დაკარგულის წარსულის მოგონებით იბრუნებს სულს და ისე მოთქვამს თავის დარდებსა და გულის ნადებს. მართალია ისიც, რომ ეს მოტივები ყველა პოეტებისათვის საერთო და საზოგადოა და აქ განდევილის ნიქს არ ეტყობა ორიგინალობა, დამოუკიდებელი ფეხის გადადგმა. ამ მოტივებს, ჭეშმარიტი ლირიკოსების გარდა, ბევრი ამ დროის გულ-აჩვილებული და სანტიმენტალური გრძნობით აღძრული ვითომ და პოეტებიც დამღერიან და სოფლად თავის მარტოხელობაზე, დაკარგულ ბედნიერებაზე და უიმედო სიყვარულზე ლექსების წერით და ბეჭდვით თავს გვაბეზრებენ. და, ასე გასინჯეთ, ეს ვითომ და პოეტებიც ბაზარსაც ჰპოულობენ, სახელსაც იძენენ და მკითხველების გულსაც იგებენ და იზიდავენ!..

ქ-ნი განდევილი ასეთს გაცვეთილს ფაქტებს როდი ეტანება. იმისი პოეზია მის საკუთარს სულშია, მის ამღელვარებულს გრძნობათა ტრიალშია ბუნებრივად, ძალდაუტანებლად გამოკვერილი და ამ ცოცხალი მთის წყაროს წყალიდან ჩხრიალით გადმოდის ცხოველ-მყოფელი, წმინდა გრძნობანი და აზრები. . ეს გრძნობანი და აზრები



იქნება თავში სახეთქს, დიდ-დიდ ფილოსოფიას ბრძნეს არ წარმოადგენენ, მაგრამ ჩვენი პოეტისათვის თვისი აზრები მეტად უძვირფასესი და ყველაზე უსაყვარლესი არიან ამ ქვეყანაზე. განდევილი არავის ძალას არ ატანს, არავის იდეალად არ უსახავს ამ თვის აზრებსა და ფიქრთ. არა, იგი მარტო თვით ეტრფის და მოწონებით ეტანება თავის საკუთარ აზრებს, თავის შეხედულებას, თავის გრძნობათა გამოთქმას, იმიტომ რომ ეს აზრები და გულის ნადებნი მარტო და მხოლოდ ჩვენი ავტორისათვის არიან უძვირფასესნი და მკვდრეთით აღმდგენელნი...

გადაშალეთ განდევილის ლექსები და, აბა, ნახეთ, თუ პირველი გვერდიდან ბოლომდე ზედი-ზედ სიამოვნებით არ ჩაიკითხოთ სულ მთელი წიგნი. იქ თქვენ ერთს ლექსსაც ვერ გამოტოვებთ, რადგან პირველი ლექსივე იწვევს თქვენში სასიამო შთაბეჭდილებას, რომლის გამოწვევა შეუძლია მხოლოდ ნამდვილი და ქეშმარიტი ნიჭიერი მწერლის ნაწარმოებს...

წაიკითხეთ, მაგალითად, ლექსი „სააღდგომო“, სადაც დილის სურათი ლამაზად არის ჩამოსხმული; დახატულია ის წამი, როდესაც აღდგომა დილას ცის კიდურეთს გადაჰკვრია მთელი გუნდი თეთრის გედის და საერთო ნხიარულებას ბანს აძლევს:

„ცა, ქვესკნელი, ზღვა, ხმელეთი...“

„მოცქრიალდა გაზაფხული“

„სატრფიალო, საყვარელი,“

„მრავალ-ფერად იმოსება“

„მთა, მინდორი, ტყე და ველი.“

„მწვანე ბალახს დილის ნამი“

„მარგალიტებრ ზე აყრია,

„პატარძლურად თავ-დახრილი  
„ველს აშვენებს ნაზი ია...  
„მზემ კაშკაში იწყო მკვირცხლად,  
„მოეფინა ზღვა და ხმელთა,  
„შეთამაშდა და ჩინჩხლები  
„სტყორცნა ციაგს— შეუერთა...  
„მთას ბუმბერაზს ნისლით მოსილს,  
„მსწრაფლ მოეხსნა შავი ფარდა, —  
„ლაჟვარდ ცაზე გედის გუნდიც  
„შეტრიალდა, შენავარდდა!..“

სულის ამგვარი მდგომარეობა, რომელიც გამოუწვევია მართლაც მხიარულად გაბრწყინვალებულს აღდგომის იშვიათს დილას, შეადგენს ნიშნობლივს თვისებას განდევილის ლექსებისას. განდევილი ნამდვილი ლირიკოსია. იმისი ლირა არ არის უშინაარსო, უშნო, გაცვეთილ ოხვრათა და ყალბი ფრაზების უგანაჩენო რახა-რუხი, არც უმნიშვნელო, უაზრო და მშრალი აღწერა მზისა და ლაჟვარდი ცისა. მართალია, ბუნების საიდუმლოებისა და პროცესის დიადს სურათს იგი ისე გასაოცრად ვერ ჰხატავს, როგორც ნ. ბარათაშვილი და გრ. ორბელიანი, მაგრამ, სამაგიეროდ, იგი ეხება უბრალო, ჩვეულებრივს ბუნების სურათთა რეალობას, როგორც მაგალითად, აღდგომის დილით გამხიარულებულს არე-მარეს, კაცის გულს, მის აღტაცებას და სიყვარულს და შემდეგ სევდა-კაემანსაც, რომელიც მუდამ წმინდა, ქალწულოვანსა და მდიდარს მოტივებს შეადგენენ ჩვენს ლიტერატურაში უკვდავის ნ. ბარათაშვილის შემდეგ...

სწორედ ამავე საგანზე კიდევ ერთი ლექსია დაწე-

რილი, სადაც საკმაო ხელოვნებით, მარტივად და ალ-  
ტაცებითვე გამოთქმულია იგივე გრძნობა:

„ღილა არის. ცა ლაქვარდი

„მზისა სხივით იფერება

„და ქურდულად მიმალულა

„თვით მთვარე ღ ვარსკვლავთ კრება.

„მობიბინე ვარდ-ყვავილი

„გულ-მკერდს იშლის, იფურჩქნება,

„გაიღვიძა მთა და ბარმაც,

„სამეჯლისოდ ემზადება.

„ველს გაჰკივის იადონი,

„ია კრთება, მორცხვობს, ნაზობს,

„მას ნამს აფრქვევს კლდის ჩანჩქარი,

„მოცელქობს და მოკისკასობს.

„მიჯნურივით გაულიმა

„ქვეყანამ ცას, ცამ ქვეყანას

„და ორივე მწყობრად ჰგალობს

„საამქვეყნო გამოცანას:

„დღით მზე ნათობს, ღამით მთვარე,

„დღე ღამეს სდევს, ღამე დღესო,

„თუ წყვილია არ გინახავს,

„ფასს ვერ დასდებ სინათლესო.

„ვინც წარსულს დროს სტირს და მოსთქვამს,

„ის აწყოსაც ინანებსო,

„მკვდარს ტირილი ვერ აღადგენს,

„მოვლა უნდა საღს და მრთელსო.

„მშვიდობის გზა მთვარე-ვარსკვლავთ

„ქებათ-ქება მნათობ მზესო;

„ვაშა, ვაშა ბუნების წესს,

„რომ ნათელი მოსდევს ბნელსო!..“

აქაც, ამ დილის სურათის აღწერაც ნაზი, მყუდრო და ტკბილი გულის მღვდვარებით აქვს პოეტს დახატული, რომელიც მოქმედებს მკითხველზე და არწმუნებს მას, რომ

„თუ წყვილი არ უნახავს,

„ფასს ვერ დასდებს სინათლესო...

„მკვდარს ტირილი ვერ აღადგენს,

„მოვლა უნდა საღს და მრთელსო“... და

შეჰხარის ბუნების წესს, „რომ ნათელი მოსდევს ბნელსო!..“

მეტად ლამაზია მესამე ლექსიც პოეტისა:

„დილა არის... ტყე და ველი

„იზმორება, იფშვნეტს თვალებს...“

პოეტი ხშირად მიუბრუნდება თავისს საკუთარს გულს, რომლის სიცოცხლე მოუშხამავს სიკვდილის მწარე წარმოდგენას და აჩრდილს და ეუბნება:

„დამშვიდდი! შენსა სატრფოსა

„გაუბრწყინდება გონება

„და, უიმედოდ მძგერალსა,

„ისევ ის ჩაგეკონება...“

ან კიდევ: „ბევრჯერ მინახავს შავი ღღე

„და ბევრი ცრემლიც მდენია...“

ამ ცელქს, მხიარულს, ხან კი სევდიანს ხმებში თქვენ არ გესმისთ ჩვეულებრივი უსაქმო, მოწყენილი ადამიანის მწუხარება, ან უდარდელობა. აქ არის ცოცხალის სიტყვებით დახატული გატრუებული სიყვარულის გრძნობა ლამაზად და შნოიანად, რომელიც აძლევს განდევგილის ღირიკას ძლიერებას, მხნეობას და სიცოცხლეს. სიმართლეს რომ არ ვუმტყუნოთ, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ განდევგილი სიყვარულის დიადს



გრძნობას ღრმად ვერ ხატავს; მხოლოდ იმის ზედმეტად ეხება, მაგრამ ამ ლექსებშიაც მკაფიოდ არის დასურათებული შეყვარებული გულის მწუხარებანი. ასეთი ლექსები ბევრიც არა აქვს განდევილს და, ამიტომაც, ადვილი შესაძლებელია, ზოგმა ვერც დაათვას მათი შედარებითი ღირსება.

ლექსნი: „ჰა, შენთვის გული,

ტახტად დადგმული...“

და აგრეთვე „ვნახე ლამაზი

„ნარნარი, ნაზი...“

„ჩემს მტანჯველად გაჩენილო

„ხარ შევნიერი...“

ან კიდევ: „ნუ მეჩვენები, ველარ ვუძღვებ შენსა  
სიტურფეს...“

და: „ერთხელ კიდევ გამიღიმე ტკბილად...“ შევნიერი  
ლექსებია.

სიყვარულის ცეცხლით აღზნებულს პოეტს დიდი იმედი აქვს თვისი თავისა, თვისი ნიჭის აღმაფრენისა. მაგრამ ეს ვიწრო თავმოყვარეობის, ან გაამპარტავნებული გულის კაპრიზები როდია. არა; ეს გრძნობა წმინდა გულწრფელება, ნამდვილი, ანგელოსური სურვილებია პოეტის გულის უანგარო სიყვარულისა:

„გავნასკვავ სიმსა გაწყვეტილს,

„ავამკვნესარებ ძალადა,

„გავკრავ-გამოვკრავ თითებსა,

„ჩავუხმატკბილებ წყნარადა.

„გულს ტალად ვიქცევ, სულს კვესად,

„გრძნობას—მწველ ნაპერწკალადა,

„აბედათ — მთელსა არსებას,

„გარდაქმნილს ყინულ-სალადა.

„ცეცხლს მოვიკიდებ, მის გუგუნს

„ვიხმარ ტკბილ მოძახილადა;

„ავაფრთოვანებ ოცნებას,

„ასე მივარდნილს ძილადა.

„გავანავარდებ ცისაკენ,

„შეფუკამათებ მთვარესა,

„მივურაყიფებ ალიონს,

„კეკლუცად მონარნარესა.

„მზე რომ ცას ისარს შესტყორცნის,

„შეუთამაშებს სხივებსა, —

„მეც ჩემს ფერფლს იმის ციმციმში

„ჩავქარგავ, როგორც მძივებსა“.

სამშობლო ქვეყნის დიდი სიყვარულიც ღრმად აქვს ჩვენს პოეტს გულში ჩამარხული. ეს ის დიდი საგანია, რომელსაც გარეშემო უტრიალებს და ეალერსება განდევილი, რაც იწვევს მასში, ხან ალტაცებულს მხიარულებასა და იმედს, ხან კი ჩაწყვდიადებულს გამწარების ხმებს. ყოველს ლექსში, სადაც იგი ეხება ამ საგანს, მართლად არის გატარებული ქვეყნის უბედურებით ერთხელვე დატანჯული გულის გოდება. და ეს გოდების და მოთქმის ხმები იმ წამსვე გაგრძობინებთ, რომ თვითოეული ხმა მოსიყვარულე გულის სიღრმიდან არის წარმომსკდარი, და ეს გრძობაც ძლიერადა განუცდია ჩვენს პატიოსანს მშრომელს მამულიშვილს. აქ, ასე გასინჯეთ, ისეთი ლამაზის და ტკბილი რითმების პატრონიც, როგორიც არის განდევილი, ყურადღებასაც არ აქცევს სიტყვებს, რომ მომხიბვლელად, დიდის ეშხით, დიდად დამარგალიტებულის დახატვით გამოსთქვას თავისი გულის ნადები. ავტორი ცდილობს, რაც შეიძლება მალე, დაჩქარებით გამოხატოს გულზე

მოწოლილი გრძნობა—სამშობლოს სიყვარული, გულს თავისუფლად მოეშვას და განიცადოს სიტკბოება... და ლამაზი, თვალის მომკრელი იქნება ლექსი, თუ არა—ამაზე იგი თითქმის არც კი ფიქრობს. მაგრამ ეს გულგრილობა, ასეთი დიდი საგნის გარეგნული ღირსებით მოურთველობა და მოუკაზმელობა, დამერწმუნეთ, არც კი დასტყობია განდევგელის ჩინებულს ლექსებს. და ეს იმიტომ, რომ ქ-ნი განდევგელი შვენიერად ფლობს და ხმარობს ქართული სიტყვიერების, ჩვენი სალიტერატურო ენის მდიდარს ფორმას, რომელიც შოთა რუსთველის, ნ. ბარათაშვილის და აკაკის ლირიკის წყალობით აღვიდა უაღრეს წერტილამდე... განდევგელისათვის საჭირო იყო მხოლოდ, რომ თვისი საკუთარი წმინდა გრძნობებისა და აზრებისათვის, ფიქრთა და განზრახულებისათვის მიეცა მეტი ძლიერება, მეტი გულწრფელობა და იგი, ვით ბუნებისგან საკმაოდ ნიჭით დაჯილდოებული მწერალი, სწორედ ქეშმარიტს პოეტურს სურათს ჩამოასხამდა ყოველთვის. წაიკითხეთ, რა ტკბილი ლექსებით ამკობს თავის სამშობლო ქვეყანას, „ივერთა მხარეს“ ჩვენი პოეტი:

„მთა-ბარს მოეხსნა შავი მანტია,

„ნათლით მოირთო ტურფა ბუნება,

„აჰყვავდა ველი, ვარდს გადაშლილსა

„გრილი ნიავი ესაღბუნება...

„...მძღავერი, ამაყი კავკასიონი

„მტრის თვალის ეკლად ამართულია,

„ვით პატარძალი, სპეტაკს სამოსში

„თავით ბოლომდე გახვეულია!“...

„თავზე ადგია თეთრი გვირგვინი

„დრო-ჟამისაგან დაურღვეველი,

„მტერთა გამგმირი, სასიქადულო,  
„შეუბლალავი, შეურყვევლი!  
„და ძველის-ძველი ივერთა რუქა  
„გულში აქვს კავკასს ღრმად ჩამარხული,  
„მას ვერ ამოჰგლეჯს ვერა-რა მტერი,  
„იქ არის ჩვენი სული და გული!..“

ხან კი ამ ტურფა მხარეს ედემად წარმოიდგენს  
ოგი და იმას შეჰყევს, ეალერსება:

„...გადაიქცევა წალკოტად  
„კუნძული, სალი კლდიანი,  
„დაუშვენებენ ხეივნებს  
„ვარდ-ყაყაჩონი, იანი.  
„კლდის ნაპრალიდან ანკარა  
„წყარო დაიწყებს დენასა,  
„ბულბული, ვარდის ტრფიალი,  
„ბაღს მორთავს ჭიკჭიკ-სტვენასა...  
„დაჰბერავს გრილი ნიავი,  
„ააბიბინებს მდებლოსა,  
„ვარდის სუნს ბულბულს აყნოსებს,  
„რომ გული გაუმრთელოსა!..“

ხან ხედავს „სამშობლოს აყვავებულს, სადაც მთასა  
და ბარს ფერი უცვლია

„და თვით გელათის ნისლსა და ბურუსს  
„შორს, შორს ჰფანტავდა ციური ძალა!..“

კაი ხანია საქართველოს უბედური მდგომარეობა  
ჩვენს პოეტს გულში ლახვრად სობია და უბედურის  
სახე წინ უდგას:

„ზამთრისსუსხი დგას: მთა-ბარსა  
„თეთრი ზეწარი ჰფენია,  
„სავარდ-ყვავილო ბულბულსა  
„ჯერ არსად დაუსტენია“...“



დიად, თუმცა „სავარდ-ყვავილო ბულბულს ჯერ არსად დაუსტვენია“ საქართველოში, მაგრამ განდევილს დიდად უყვარს თავის წინაპართა სისხლით მორწყული მშობელი ქვეყნის მთა-ბარი, უყვარს სამშობლო დიდი რუსთველის და თამარისა, აკვანი მეფე ერეკლესი და გმირის კახაბერისა

„დედა თორნიკე ერისთვის  
„და იოვანე ბერისა...  
„...და ვისაც მისებრ არ უყვარს  
„საჟანე გმირთა ძეგლებისა —  
„ის დამგმობია რჯულისა,  
„და წინაპართა მცნებისა!..“

ზოგჯერ ჩვენს პოეტს სიმბოლიური ლექსებიც ემარჯვება. სიმბოლიური პოეზია, როგორც განმარტვენ მას საფრანგეთის უკეთესი კრიტიკოსები, არის ყოველ გვარ სხვა დანარჩენ პოეზიაზე უფრო გაცილებით უზენაესი, უნარნარესი და უტკბილესი. ჩვენს ლიტერატურაში ნ. ბარათაშვილიმა ზე ნამეტურ აკაკიმ დაუმკვიდრა მოქალაქეობა ამ გვარ პოეზიას ზე გასაშტერებელის საოცრებით დახატეს თვისი საკუთარი ინდივიდუალური კაემნის ხმები... აწინდელს, სულ ახლანდელს ლიტერატურაში აკაკის შორი ახლოს კი არა, თითქმის ძალიან ახლოსაც უდგას გვერდში ჩვენი უნიკიერესი, მაგრამ ძუნწი მგოსანი გრ. ვოლსკი (უმწიფარიძე), რომელსაც ძალიან ეადვილება მკვეთრი, ნარნარი და მდიდარი რითმებით შვენივრად გამოხატვა სულის ოხვრათა და გულის ნადებთა, იმიტომ, რომ პოეტს აქვს შესანიშნავი გრძნობიერი და დიდათ მოსიყვარულე, ფაქიზი გული, რომელიც ეოლის ქნარივით ბანს აძლევს ყოველს ინდივიდუალურს და საქვეყნო მაჯის და გულ-



მკერდის ფეთქვას და მოძრაობას. ამ შესანიშნავს ახალს მგოსანს მისდევენ ნიკიერი პოეტები: გრ. აბა-შიძე, ცახელი, რუს-იმერელი და განდგეილიც, რომელთაც სიმბოლიური პოეზია თითქო არ ეხერხებათ, მაგრამ აქა-იქ ფრთხილი მკითხველი იმათ ნაწარმოებშიაც წაატყდება ასეთი ხასიათის ლექსებს, რომელნიც საყურადღებო არიან თავიანთი სინაზითა და სინარწარით... თავის უბედურს სამშობლოს განდგეილი უდარებს მზეს და მთვარეს და მღერის:

„ერთხელ კიდევ რომ ვნახავდე  
„ჩემს მზესა და ჩემსა მთვარეს,  
„არ შევკრთები, თუნდ იმავ წამს  
„მოველოდე შავს სამარეს...  
„იმისი ხმა რომ მომესმას  
„კუბოში მყოფს, სუდაროსანს,—  
„გრძნობის ჰანგათ ამამღერებს,  
„დამამსგავსებს ხმა-ტკბილ მგოსანს...“

მისი ცრემლი რომ დაეცეს მგოსანს ამირანებრ გაკაჟდება და კავკასიონიდან გადმოსძახებს

„ზღვას და ხმელეთს ჩემს სიყვარულს,  
„ტრფობის დროშად აღვამაღლებ  
„ყორანთაგან დაფლეთილს გულს,  
„რომ სამყარო ტკბილის ჰანგით  
„მას უმღერდეს ციურ ნანას.  
„თვით ზესკნელიც ქედს უხრიდეს  
„სიყვარულის გამოცანას...“

ან კიდევ: „გული მართლად მაქვს, ვერ შეიძლება შეეხო იმას...“

რალაც ძლიერი ენერგია და სულის გამამხნევებელი ხმები იხატება ამ ანგელოსურს პოეტურს ენტუ-



ზიაზმში და მისი შვენიერი მელოდიები და მუსიკალური გრძობანი იმორჩილებენ ადამიანის გულს. განდეგილის ლექსები ჰარმონიული და ტკბილი ლექსებია და მუდამ ორი-სამი დიდი საგნის გარეშემო ტრიალებენ—სიყვარული, სამშობლო და მისი ბუნება, კაცთა გაუტანლობა და გულის ქრელობა—კაეშანი.

კაეშნის ხმები უფრო ადამიანის უმსგავსო მოქმედებას, კაცის გაუტანლობას ხატავენ და ძლიერადაც მოქმედებენ ადამიანზე. ჩვენ ხომ ზევით ვსტკვით, რომ განდეგილი მომეტებულად ცუდ გუნებაზეა და მწუხარეო. ეს მწუხარება სწორედ უკაცურს საქციელს, ახლანდელის ღრვის გაუტანლობას და „უამთა სიავეს“ გამოუწვევია და აქ მას თითქმის სასოებაც წარუკვეთია. ამიტომაც, ამ საგნის შესახებ დაწერილს ლექსებში განდეგილს ატყვია პესსიმის ხასიათი. აქაც არ არის, რასაკვირველია, იგი ისეთი ღრმა და ძლიერი პესსიმისტი, როგორც ნ. ბარათაშვილი, აკაკი და გრ. ვოლსკი, რომელსაც უარ-უყვია სიხარული, სიყვარული, ცა ფირუზი, ზღვა-ხმელეთი და, ასე გასინჯეთ,  
„მზე ბრწყინვალე, მზე დიადიც...“

განდეგილის პესსიმისტობას მოკლე საზღვარი აქვს, ჯერ იგი კაცს, ადამის ძეს ქრელ გველზედ უსაძაგლესად სახავს:

„გაცივდა გული მგზნებარე,  
„გარდიქცა ცინულ-საღადა,  
„თუნდა გენიაც შეუნთო,  
„ალარ გათბება ძალადა!..  
„რაც მწამდა, იგი აღარ მრწამს,  
„რაც მწამს, უარ-ვჰყოფ მასაცა,  
„სისხლის მსმელ მხეცად მივიღებ  
„თვით ღვიძლზე ნადებ ძმასაცა...“

ხან კი გულით შეჰხარის „კაცთ ნაშრომ-ნაამა-  
გარსა“ და ასეთს ტკბილსა და შეწიერს ლექსებს  
მღერის:

„ვით ჯოჯოხეთის კუპრ-ნისლი  
„კაცთ ცოდვით აღუღებული —  
„ისე მეც ვშფოთავ, ვბობოქრობ,  
„ვაღელვებ გრძნობათ ზვირთებსა:  
„ხან ცას ავხედავ, ხან ქვესკნელს,  
„ხან ბართ შევძახი, ხან მთებსა,  
„ხან მძაფრ გრიგალად ვიქცევი,  
„ვეკვეთი კლდეთა ნაპრალსა,  
„ხან ცის-სარტყელებრ მოვიხვევ  
„ცის შვიდ-ფეროვან საფარსა,—  
„მსურს ღვთის კურთხევა მივუძღვნა  
„კაცთ ნაშრომ ნაამაგარსა!..“

თუმცა შხამს ბოლოს მაინც დაატანს და გულ-  
გახეთქით იძახის:

„სად არის საქმე კეთილი  
„კაცთ სისხლით შეუბღალავი?!..“

აქ იხატება ავტორის მაღალი შეხედულება ზნე-  
ბაზე. მას საშინელი ძლიერი ლექსი აქვს იქ, სადაც  
პოეტი ეხება სხვა დროის, ალიონისა და განთი-  
ადის მოახლოებას, როდესაც მის ტკბილ ოცნებას  
ფრთები შეესხმის და სიყვარულის ნათელს დროს  
მიუღალერსებს:

„გავნასკვავ სიმსა გაწყვეტილს  
„ავამკენესარებ ძალადა,  
„გავკრავ-გამოვკრავ თითებსა,  
„ჩავუხმატკბილებ წყნარადა...“

ჩვენ ზევით ამოვწერეთ ეს ლექსი სრულად იმი-

ტომ, რომ მკითხველისათვის დაგვენახვებინა, სხვათა შორის, განდევილის ლექსთა ცხოველ-მყოფელობა და რითმათა სიმდიდრე. ეს ლექსი და მასთან მეორე უკანასკნელი ლექსი, „პოეტის ფიქრი“, რომელიც ავტორს დაუწერია 1898 წელს, ფრიად შესანიშნავი და ქეშმარიტი პოეზიის მაღლით არის აღბეჭდილი. ჩვენ, მაღლობა ღმერთს, ჩვენი შესანიშნავი მგოსნების: შოთა რუსთველის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის და აკაკის ლირიკის წყალობით, ქართული ენის უძვირფასესმა სიმდიდრემ, გათამამებამ, ლაღად ცელქობამ, ნავარდმა და ცის კამარაში აღმაფრენით ძლიერად განშლილობამ იმდენად გაგვიფაქიზა გრძობა და გემოვნება, რომ ქეშმარიტი პოეტის ხმების სიტურფეს ძალიან ადვილად მივხვდებით და მცირეოდენი უდარდებლობა და მარცხიკ კი ამ მხრით ჩვენში აღძრავს და გამოიწვევს ძალიან ცუდს შთაბეჭდილებას და ზედ-მოქმედებას... ამ შვენირებასთან ერთად განდევილის ლექსებს, როგორც ვსთქვით, აზის უბრალოების, სიმარტივის, ლის სიმართლის და გულ-წრფელების ბეჭედი, რომელნიც ანიჭებენ მის ლექსებს ქეშმარიტი პოეზიის ნაწარმოების სახელს. მის ლექსებში ნათლად სჩანს, რომ განდევილის მღელვარე სულს ატყვია, რომ იგი სამხრეთის, საქართველოს ქვეყნის ცის და ბუნების შვილია, რომელშიაც სჭარბობს აღმოსავლეთის ელემენტი... მის ლექსებში, თუ არ ვსცდები, ნამდვილი ქალის გულის თქმა და სურვილებია გამოთქმული გულ-ახდილად და სიმართლით...

ახლა ჩვენ ამოვსწვროთ სრულად დასახელებული უკანასკნელი ლექსიკ და ჩვენი შენიშვნებიკ განდევილის ლექსთა კონის შესახებ დავასრულოთ:

„ხან შეუპოვრად მკერდით ვაპობ ცისა კამარას,  
ვარსკვლავთ ციმციმში ვასრიალებ დაულალავ ფრთებს,  
ღამისა გუშავს საღამს უძღვნი კრძალვა-რიდებით  
და მზისა ტახტსა მსხვერპლად ვწირავ გრძნობათა ზვირთებს.  
ხან ქართა ღრიალს ბანს ვუმწყობრებ, ცკვენსი და ვვმინავ,  
ხან ფოთოლთ შრიალს მეც ჩუჩჩულით ვეაღერებ,  
ხან ზღვაში ვეკურავ, აღმა-დაღმა ვჰყვები მის ტალღას,  
ხან ხ'ელეთზე ვარ, მთა-ბარს ვუმღერ, ტრფობით ვიგზნები.  
ხარ სულ ყველაფერს ვგმობ და ვწყევლი, მძავს თვით სამყარო  
მძავს ღვთის ხატებაც: კაცი, მეფე მთელის ბუნების,  
მეფე ზვიადი, მაგრამ მონა თავისის მონის,  
ქვეყნის გვირგვინი და... გვირგვინი ლალატ-ცდუნების.  
და როს მზათა ვარ აესა და კარგს ძლიერის ხელით  
ხმალი მოვუსვა გასამუსრად, ვით სამკალს ცელი —  
„შენც კაცი ხარ!“-ო ჩამომძახის ხმა იღუმალი  
და ორივ ერთად მიჩლუნგდება — ხმალი და ხელი“.

ყოველგან, ყოველს თავის ღექსში, რასაც კი  
უნდა ეხებოდეს განდევილი — ბუნებას, თუ სიყვარულს,  
სამშობლოს, თუ კაცთა საქციელს, ბოროტებასა, თუ  
კეთილის ვითარების დიდ-დიდ საგნებს — ყოველგან იგი  
პირადი გრძნობისა და გულის ნადებთა გამომხატველია  
და ამ გამოხატვას ატყვია წმინდა სუბიექტიური ხასი-  
ათი. განდევილი გამომხატველია მხოლოდ თავისი გუ-  
ლისა და სულის სუბიექტიური ცხოვრების. ადვილად  
შესაძლებელია, ჩემს მკითხველს მოსწონდეს პეიზაჟები,  
მაგრამ ეს გარემოება ხომ არ მიშლის მე შევიყვარო  
ქანრის, ან პორტრეტების შევნივრად დამხატველნი.  
რაც შეეხება განდევილს, ჩვენ უკვე ვსთქვით, თუ რა  
ხასიათისაა იმისი პოეტური ტალანტი.

შესაძლებელია ისიც, რომ ამ გვარი ხასიათის  
პოეზიის შესახებ ჩვენ ზოგიერთმა დოქტრინერმა შე-  
ნიშვნა მოგვცეს და საყვედურით გვითხრას, რომ მაგ



გვარ ჰოეზიას დღეს ფასი დაეკარგა და განდევნილია, რომელიც მწუხარე ხმებს მოსთქვამს და ამიტომ ტანჯვას თუ გვიმატებს, თორემ არ გვისუბუქებს და, მაშასადამე, ტყვილად გარჯილა თავის ჰოეზიითო... აბა ასეთს ვაუბატონს რა უნდა მოვახსენოთ? კაცი, გრძნობა-გონებით ისე როგორ უნდა დაჩლუნგდეს და გააბრაზოს ცხოვრების უკუღმართობამ, რომ სხვის, მოყვასის მწუხარების და იმის საკუთარ გრძნობათა გამოთქმის წინააღმდეგ გაილაშქროს? იმ კაცს, რომელსაც მოძულებია სხვისი, მეორე ადამიანის, მოყვასის გული და სული და მხოლოდ და მარტო თავი თვისი გაუკერპებია, ჩვენც გვერდს აუვლით დიდის მწუხარებით. იგი დაშხამავს და დასცინებს ჩვენს გრძნობებს, ჩვენს აზრებს და რწმუნებათა, მით უფრო ჩვენს გულის აღტაცებას და, რა თქმა უნდა, მძულვარებითაც გადისერის შორს განდევნილის ლექსებსაც. ამისთანა ვაუბატონებს ესაქიროება მხოლოდ მყვირალა და დიდდიდ ფრაზებით, ლიბერალიზმით გაბერილი ლექსები ან. ფურცელადისა, მაჩხანელ-ვედოშვილებისა და ვილაც დავითიშვილებ-ნინოწმინდელებისა...

ხომლედი.

**წ**

## ქუთათური ავანიები:

### ხრაკა ღ ღრაკა.

არც წვიმაა და არც ქარი!.. მაშასადამე არც ტალახია და არც მტვერი! ამისთანა დროს ქუთაისი, მართლა, რომ საუცხოოა. შუა დღეა. შემოდგომის ზარმაცი მზე ტკბილად იკბინება და სახლიდან გარედ იტყუებს კაცს. ბულვარი გაქედლილია. განაპირას დგანან ავციები: ხრიკა და ღრიკა.

**ხრიკა.**— შე ურიის ხვედრო, არ გესმის, რომ გელაპარაკები?

**ღრიკა.**— შენ კი, შენმა სიცოცხლემ, თუ არ დაგიშლია, თამარ-მეთის ან დავით აღმაშენებელისა ხარ?!.. მე თუ ურიის ხვედრი ვარ, შენც ხომ სომხის არშიყი ხარ. და ხომ გაგიგონია ახმედა და მახმედა ორივე თათარიო!

**ხრიკა.**— მართალს ამბობ, მე და ჩემმა ღმერთმა! — ერთი შეწვი და მეორე წასცხე!.. აღარც ერთისაგან აღარა გამოდის რა — ავის მეტი! —

ძველად ჩვენი მამა-პაპები ურიებს რომ გამოართ-



მევედენ, სომხებს გაისტუმრებდენ და სომხებისაგან რომ ისესხებდენ ურიებს აძლევდენ.— და ამგვარი მოარული ვალი ვის შეაწუხებდა? დღეს კი ვისგანაც უნდა ისესხო, ჯერ სანამდი სრულად მიიღებდე, ბოქაული კარზე გადგია... და რაც მიიღე იმას კი არა... რაც გუნებაში გედვა მიგელო, იმასაც კი გახდევინებენ.

**ლრიკა.**— ვაი ჩემი ბრალი, რომ სომხის ხელში ვარ, თვარა შენ რა გიჭირს, ურიისა გამართებს. და ურია ხომ უერუსალიმოდ ვერ დადგება.— ერთხანს გაცლის, გაცლის და რომ ველარას გახდება, დაჰკრავს ფეხს და გაუტევს იერუსალიმისაკენ სალოცავად!

**ხრიკა.** აგრე ჰკითხე?!. ვინ ყოფილა, რომ აქ მოვალე გაეშვას და ისე წასულიყოს? სანამ სულს არ ამოხდინან და ქრისტიანის სულს საგზლათ თან არ წაიღებენ, ფეხსაც არ იცვლიან აქედან!.. აი, ხომ ნახე, ჩემმა ედიშალამ რა მიყო? სანამ სულიან-ხორციანად არ გამცალა, სულ ამ ბულვარში ქსელავდა და მერე კი სულის საქმესაც შეუდგა... მიაშურა იერუსალიმს.

**ლრიკა.** მაგას ხომ ჩვენებიც შვრებიან?!. ტარაკუჭა ქიქყინაშვილი არ იყო, რომ ამ დღეებში იერუსალიმში ამოჰყო თავი?

**ხრიკა.**— ეგ სულ სხვა არის!. ურია—სომეხთან რა მისადარებელია? ის აქაც ახირებული იყო და იქაც ახირებულობამ გაიტყუა... წავიდა. მიივლის-მოივლის, გადახალისდება და დაბრუნდება.

**ლრიკა.**— ღმერთმა მშვიდობით მოიყვანოს, მაგრამ გადახალისების კი რა მოგახსენოთ!.. არ გაგიგონია, რომ იერუსალიმში ნიორი წაიღეს და რომ დაბრუნდენ და უკანვე მოიტანეს, ნიორს ისევ ნიორის სული უდიოდაო?.. იმას რომ ახირებულობა მოაშლევინოს,

ჯერ მისთანა ხატი არსად გაქედილა და ვერც ხავს...

**ხრიკა.**— აბა, რალად მიდიოდა?

**ლრიკა.**— ამბობენ, შვილებმა გაგზავნესო. უთქვამთ: იქიდან თუ რასმე მოგვეხმარება შენი ლოცვა, თვარა აქაური ვერას გასჭრისო.

**ხრიკა.** არაო, თვითონ წავიდა იქ შვილების გადასაცემათ, რომ უფრო ძლიერად უწიოსო?!

**ლრიკა.** ეჰ, იმერეთია, რას არ იტყვიან? ეს კი ნამდვილია, რომ ელიშალას გაჰყოლია.

**ხრიკა.** არა. ელიშალა იმან წაიყვანაო.

**ლრიკა.** ეგ სულ ერთია ვისაც ვინ უნდა წაეყვანოს, ღმერთმა უშველოს, კარგი უქმნია!.. ჭირს სატკივარი წაეტყუება და ქვეყანა სახადს გადარჩენია...

**ხრიკა.** შე კაცო! რას ერჩი რომ მაგრე ცუდათ იხსენიებ? მართალია, ახირებული ჭიკყინა იყო, მაგრამ, აბა, ვისთვის რა დაუშავებია?

**ლრიკა.** მეცი ყელში?!.. მე რომ დაგასწარი, მიტომ ჯავრობ, თვარა შენ გინდოდა მაგის თქმა!.. სიტყვაა, თვარა იმდენი წელიწადი იცოცხლე, ნუ გენალვლება, რამდენჯერ მე მისი სადღეგრძელო დამელიოს, პირში მექოს!... და ერთხელაც რომ ზურგს უკან წავიხუმრო, რა ცოდვაა? დაწუნება ყოლიფრის შეიძლება? — ცუდი ყველაფერზე ითქმის, მაგრამ საქმე კილოა; ცუდიცაა ჭე ცუდიც! აი სულ სხვა არის კრულამიგმი-აშვილი—ახალს საქმეს რომ შეუღდა...

**ხრიკა.**— არც ეგ გამკვირვებია!.. ჩვენი ძველებიც მაგრე არ იქცეოდენ? სიბერისა და სხეულის უძლურების გამო, რომ საამქვეყნო საქმეს დააგდებდენ, ღმერთს შესთხოვდენ, მათგან ხელაღებულ სარბიელის წარმატებას.

**ლრიკა.**—ვაი შენს მტერს, თუ ჩვენი მიგმიაშვი-  
ლიც მაგ გზას დაადგა!

**ხრიკა.**—„სიბრძნე-სიცრუის“ მელა მაგონდება: სა-  
ღებავის ჭურჭელში რომ ჩავარდა და ლილის ფერი  
დაედვა...

**ლრიკა.**—ფრინველები რომ დაიმოწათა ჭ დამო-  
ძღვრა?! ვაი მისი მოწათფების ბრალი!!..

**ხრიკა.**—ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „ადგი-  
ლის კურდღელს ადგილისვე მწვეარი დაიჭერსო“. აქვე  
რომ დარჩენილიყო, იმას კი გამოუჩნდებოდა შესაფერი  
ოფოფი და იქ კი - იმ საბეჩავოში რა უჭირს!..

**ლრიკა.**—უეჭველია!.. უეჭველი!.. ნახავ თუ რა  
ქმნას იმან.

**ხრიკა.**—მაგისი რა მოგახსენო და „კირილეს-  
სონის“ გამოთქმა არ გაუჭირდება: აქაც რომ იყო სულ  
„კირილეს“ იძახოდა და ახლა მხოლოდ ერთი „ისო-  
ნი“ მიემატება.

**ლრიკა.** იცი, რომ სულაც იმ კირილეს გამოი-  
სობით გადავარდნილა აქიდან? მე ჩემი დღე და სოფე-  
ლი ცოდვის ტათაზე ვიხრაკებოდი და ერთი ქოხიც ვერ  
ავიშენეო—უთქვამს—და იმან კი სარაია ააშენა და  
ისიც სხვებისთვისო!.. აღარ ღირს ამ ჩვენ ქვეყანაში  
ტანჯვა-წვალება და ცხოვრებაო!...

**ხრიკა.** ასეა თუ ისე, ღმერთმა ხელი მოუმართოს!  
შორს და მშვიდობით. კმარა მათზე საუბარი!.. მაინც,  
ჩვენც რომ ამ გადახვეწილებს გამოვდგომივართ, აქაუ-  
რები ცოტა გვყავს მოსახსენებელი?!

**ლრიკა.** იმდენი იცოცხლე!—მაგრამ, ხომ გაგიგო-



ნია, ხანდახან მკვდრებსაც საკურთხი უნდაო. რაცა ვსთქვით, ეს იმ წასულების საკურთხი იყო და დღეის აქით კი აქაურებსაც, დარჩენილებსაც დავუღათ ხოლმე ტაბლა.

**ხრიკა.** კეთილი და პატიოსანი. ჩვენი ხელობაც ვგ არის და გულს ნურავის დავსწყვეტო!... ყველა მოვიხსენიოთ, თვარა, თუ ვინმე გამოვტოვეთ, გული დაწყდება. იტყვის: „კაცად არ ჩავეუგდივართო!“

**ღრიკა.** აჰ, აჰ, აჰ! მაგას ნურავის ვათქმევინებო!. ვეცადოთ, რომ არავინ დაგვრჩეს და ეხლა კი მშვიდობით!

აკაკი.

იხილეთ იმუხსენიონ

— \* \* — ი. ბ. კ. ი. ბ.

მ. ს. ი. ს.

მ. მ. მ.

მ. მ. მ.

მ. მ. მ.

მ. მ. მ.

# გ უ ტ ი ბ რ უ ბ ა

ვადკვილი

ბ კ ბ კ ი ს ბ

1879 წ.

მოქმედი პირები:

ბ ი რ ბ ბ ი .

მ ა ი კ ბ .

ს ბ ს ბ , გ ი ბ რ გ ი ს ქ ვ ი ს ლ ი .

ს ბ შ ი ბ , მ ი ს ი ც ბ ლ ი , მ ა ი კ ბ ს და .

ა რ ი ს ბ ბ , ი მ ბ რ ე ლ ი { მ ს ა ხ ბ რ ე ბ ი .  
ბ ა ბ ა ლ ე

## გუსტიაობა.

სტენა წარმოადგენს გიორგის სახლის ზალას, რამელსაც, შუა კარების გარდა, ორი კიდევ სხვა კარებიცა აქვს — ერთი მარცხნივ და მეორე მარჯვნივ.

## ბამოსვლა პირველი.

### ბაბაღე ღ ბრასტო.

(ბაბაღე შემოდის სიცილით; ტანზე გიორგის ფრაკი აქვს წამოხმული, და უკან არისტო მოსდევს ჩოთქით ხელში).

**ბაბაღე.** ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა!

**არისტო.** ვაი შენ და შენს ხითხითს!

**ბაბაღე.** ხი! ხი! ხი! ხი! ხი!

**არისტო.** იმე! რას სკდები, რომ სკდები! რაა, რომ აგიტეხია: ხი! ხი! ხი! ხი! ხი! ხა! ხა! ხა! ხა! ხო! ხო! ხო! ხუ! ხუ! ხუ! ხუ! აღარ გამაწმენდინებ!

**ბაბაღე.** მოდი და გასწმინდე, ვინ გიშლის?

**არისტო.** თუ კი არ გაჩერდები?

**ბაბაღე.** რა ვქნა, რომ მეხიციანება.

**არ.** ნუ კვინტავ და აღარ შეგეხიციანება.

**ბაბ.** მაშ კარგი. ჰა! (შუა სკენაზედ გაჩერდება და ზურგს მიუშვებს.)

**არ.** მ ვა და ჩოთქით დაუწყებს წმენდს ფრაკს). აჰა! აგრე არა



სჯობია! ვაცხონე მამის სული! დედა, დედა! გშვენის, რა გიხთება ეს ოხერი. ერთი შემოხედვით უკანიდამ ვაჟბატონსა გავხარ.

**ბაბ.** მართლა? წინადამ?

**არ.** წინადამ ქალბატონს!

**ბაბ.** ოი! (შეხტება, ფრავს ძირს დააგდებს და გაიქცევა). ხა! ხა! ხა! კიდევ მიჩქმიტე. მეტი აღარ შემიძლია! ხა! ხა! ხა! ველარ გაგიჩერდები და რაც გინდა ის ჰქენი! ხა! ხა! ხა! ხა!

**არ.** რა ეშმაკი გიხიციანებს. მგონია პილპილი გიქამია ამ დილას, თვარა რას ხტუნამ, რომ ხტუნამ?

**ბაბ.** არ შემიძლია და რა ვქნა? მეღიტიანება.

**არ.** აბა ნუ გავათავებთ! დაგვრჩეს გაუწმენდელი!

**ბაბ.** შენ წამოიხი და მე გავსჩოთქავ.

**არ.** კარგი, ბატონი ხარ! მანგრე იყოს, ჰ!... (წამოიხიამს ფრავს, მაგრამ კარგათ კი).

**ბაბ.** (მიიტანს ჩოთქს, გადააბრუნებს და ურტყავს ზურგში). უჰ! უჰ! როგორი მტვერი ავაყენე! ტფუ! (აფურთხებს ზურგში).

**არ.** თავს ნუ იგდებ თვარა, მე ვიცი, შენ...

**ბაბ.** მაშ როგორ გინდა! ჯერ გავბერტყავ ნოხივით და მერე გავწმენდ. (ჩოთქს უსვამს) აი ასე, ჰა!..

**არ.** ჰო, მანგრე ქენი!

**ბაბ.** აი რა კარგად ვსწმინდამ. (ჩაჰკრავს თავში ჩოთქს, მერე იატაკზე დააგდებს და თითონ გაიქცევა).

**არ.** ოჰ! (ისვამს თავზე ხელს). შენი ოჯახი კი ამოვარდეს! მაცა მე შენ! თუ არ გადაგახდევინო, შენი წიხლი დამკარი. შენ... შენ...

**მანიკო.** (საწოლი ოთახიდან). ვინ არის მანდა?

**არ.** მე გახლავარ, ბატონო!

**მამაკო.** არისტო?

**არ.** კი ბატონო!

**მამაკო.** რა ამბავია?

**არ.** არაფერი, ბატონო!

**მამაკო.** მაშ რა ხმაურობა იყო?

**არ.** არაფერი, ბატონო, მე გახლდით, კარებს უცებ თავი ვახალე!

**მამაკო.** ტუტუცო! კარები არ გამიფუქო! ახლა რაღას აკეთებ მანდა?

**არ.** დალაგება მინდა, ბატონო! მტვერი დამდგარა.

**მამაკო.** განა ღღეს დილით არ გაგიწმენდია?

**არ.** კი ბატონო, მაგრამ ისევ შემოყრილა ის ოხერი მტვერი!

**მამაკო.** ჰო, მაშ კარგათ მიალაგ-მოალაგე!

**არ.** (თავისთავის). „მიალაგ-მოალაგე, გაწმინდე!...“ ასე ჰგონია ადვილი იყოს... აბა ერთი იკადროს და თვითონ სინჯოს!

**მამაკო.** (ათასიდან) არისტო! თუ ვაჟბატონი მობრძანდეს, აქ არ შემოვიდეს ჩემთან; მოახსენე, რომ ქალბატონი გამწყრალია-თქო!

**არის.** ბატონი ბძანდები! (თავისთავის). ამათთანა ახირებული ცოლ-ქმარი მე ჩემს ღღეში არ მინახავს; გათენდება თუ არა, მაშინვე მოჰყვებიან ჩხუბს და დალამებამდი ერთი ვაი-უშველებელი აქვსთ და მაშინ კი ადვილად შერიგდებიან ხოლმე. დალახვროს ღმერთმა—მგონია, ქრთამს აძლევენ ერთმანეთს!

**მამაკო.** (ათასიდან) არისტო!

**არ.** ბატონო!

**მამაკო.** მორჩი მანდაურობას?



**არ.** საწმენდი მაქვს!

**მაიკო.** მალე! მალე! \*

**არ.** ბატონი ხარ! (ხაღხასკენ). არა, რა პირობაში! სისულელე არ იქნება ახლა, რომ წმენდა დავუწყო? ხომ ისევ დაეყრება მტვერი და ეს სულ ქალო ბატონის ბრაღია! ის დალოცვილი კაპასობს დილიდან საღამომდინ! რომ კაპასობს, სიცხე აქვრს! სიცხე რომ აქვრს სცხელა, და რომ ცხელა გაგრილება უნდა! გაგრილება რომ უნდა, ფანჯრებს ადებს და გაღებულ ფანჯრებში ქუჩიდან მტვერი იყრება!.. იმას რა ენაღვლება? მოდი და სწმინდე არისტო! ბღღვირს ადენსო, რომ იტყვიან, აბა სწორეთ ეს არის! არ აამტვერა აქაურობა ამ დალოცვილმა!? (სტენასზე სავარძელს იდგამს, დაჯდება, ჰირა ხაღხასკენ აქვს) სულელია ჩემი ვაჟბატონი, თვარამ ამდენს რაღა აბედვინებს! დედაკაცს ხანდა-ხან მოუხთება შეხურვება! გასიამოს, ასიამე! გაწყენიოს, აწყენიე! ამას რა დიდი ლარი და ხაზი უნდა! მაგრამ ლობიო რომ გამოვა კაცი ის არის. (ამ დროს ბახაღე შეშინდის და ფეხ-აგრეფით ეხარება). ჯერ შევირთო ჩემი ბაბაღე და მერე მე ვიცი რასაც ვუხამ. მასიამებს, ტლოში იმ ფუნთულა ლოყაში და თუ გამაჯავრა ვაი მის გუნებას—ტლოშინ ასე ჰა! (ანაშნებს).

**ბაბაღე.** (უცბათ ჩაჰკრავს თავში). ჰი, მეხი კი დაგეცა მაგ კორტოხელ თავზე, რაც მე შენ ეგ ვერ გამიბედა!

**არისტო.** (შერცხუნელი წამოხტება). რატომ, შენსკი გენაცვალე? ცუდი რა არის აქ?

**ბაბ.** ტლოშანს ვის უპირებ შენა?

**არისტო.** ვისა და შენ, შენ კი გენაცვალე.

**ბაბალე.** მერე და შენი გასალახავი ვარ, შე ღვიტი-  
კელო!

**არ.** რას ამბობ, გოგო? ხომ არ გაგიყებულხარ! რო-  
გორ თუ გასალახავი!

**ბაბ.** მაშ, შენ არა სთქვი, რომ ტლაშანს გავადენო?

**არ.** ჰო, მერე მანდ რა არის ცუდი?

**ბაბ.** როგორ თუ რა არის, არ იცი ტლაშანი რა არის?

**არ.** რა არის?

**ბაბ.** რა არის და ყბაში სილა!

**არ.** ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხა! რა თქვეს  
ეს დედა ჩემო! ხა, ხა, ხა, ხა, ხა!

**ბაბ.** ჰო, რას იცინი, ტყუილია?

**არ.** ხა, ხა, ხა! სულ არ იციან კორტოხს აქეთ ქარ-  
თული! ტლაშანი ყბაში გარტყმა ჰგონებია! ხა,  
ხა, ხა!

**ბაბ.** მაშ რა არის?

**არ.** რა არის და კოცნა!

**ბაბ.** ტლოშანი?

**არ.** ისიც კოცნაა.

**ბაბ.** ორივე როგორ იქნება?

**არ.** ასე კი არის და...

**ბაბ.** მაშ რაღა განსხვავებაა?

**არ.** დიდი! მარცხენა ლოყაში კოცნას ტლოშანი ჰქვია  
და მარჯვენაზედ კი ტლაშანი.

**ბაბ.** არ მესმის!

**არ.** მაშ გინდა გასწავლო? აბა, დახუკე თვალები!

**ბაბ.** (ხუჭავს თვალებს). ესე?—აბა, რა უნდა ქნა?

**არ.** (ჰკოცნას). აი, ამას ჰქვია ტლოშანი!

- ბაბ.** (ვითამ გაჯავრებთ). რა თავს იგდებ?! დახეთ ამ იმერელს! როგორ ჰბედავ? 866
- არ.** აბა არ უნდა მესწავლებია?
- ბაბ.** ტუტუცი! ტუტუცი! მეორეთ რომ ევა ქნა, სოლას გაგარტყამ. (სიჩუქს). აბა ახლა ტლაშანი რალა არის? 866
- არ.** (დრეწით). დახუქე თვალები და... 866
- ბაბ.** (სუქავს). არაფერი გაბედო კი. 866
- არ.** (მოუუღლის მარჯვენათ და აკოცებს). აი, ტლაშანი ეს არის! 866
- ბაბ.** (გაჯავრდება). კიდევ?! უზრდელიო, უზრდელიო, მარტოლა და იმერელიო! გადი იქით! (სუქსა ჰკრავს).
- არ.** თუ გწყინს და წუნობ, უკანვე დამიბრუნე. 866
- ბაბ.** გაჩუნდი ერთი, ნუ წაგიტლეკია ენა! შენი არც ტლაშანი ვარგა და არც ტლოშანი! რომ არც კი გცოდნია, რა არის ტლაშანი!
- არ.** თუ მე არ მცოდნია, აბა შენ მასწავლე! 866
- ბაბ.** კარგი, აბა დახუქე თვალები.
- არ.** აბა ჰე! (სუქავს თვალებს). 866
- ბაბ.** (მოათვარებს ღოფაზე ხელს და თავის ხელს ჰკოცნებს). აი, ამას ჰქვია ჩვენში ტლოშანი! 866
- არ.** ეგ არის თქვენი ტლოშანი? არაფერი ყოფილა! ერთ ჩხირათაც არ ვიყიდი! შენ რომ შენს ხელზე იკოცნო, მე რაო? მითი მე ფოჩვი არ მერგება და წვენი!
- ბაბ.** ასეა და რა ვქნათ! ტლაშანი კი სხვა არის, 866
- არ.** აბა ეგ მაინც რალა იქნება, ვნახოთ! 866
- ბაბ.** დახუქე თვალები!
- არ.** (სუქავს თვალებს). ჰა! 866
- ბაბ.** (სიღას გაგარტყავს). აი ამას ჰქვია ტლაშანი!

**არისტო.** ოჰ! თქვენებური ორივე ღმერთმა შეარსებინოს ტლაშანიც და ტლოშანიც! (დაიფარსე სკანს ასკამს).

**ბაბალე.** იწყინე?.. ეგეთები ხართ იმერლები აი, ალერსიც არ იციო!

**არ.** იმე! რას ამბობ, გოგო! კბილების ჩამტვრევა რა ალერსია?

**ბაბ.** დაიკარგე იქით, ღვიტიკელო! თქვენ რა გაგეგებათ ალერსისა.

**არ.** იმე! ვერ ხედავთ ამ გომბიოს! ყურის ძირი ამიწვა და კიდევ ქვე ჯავრობს!

**ბაბ.** რაო? ვის უბედავ მაგას? შენი გომბიოები კორტოხს იქით გეყრება!

**არ.** კიდევ ქე იღებ ხმას? რა გულზედა ხარ თუ იცი!

**ბაბ.** იწყინე? მაშ კარგი, მშვიდობით! დღეის იქით შერცხვეს შენი ხმის გამცემი.

**არ.** მე კი შეგეხვეწები, შენმა სიცოცხლემ!

**ბაბ.** ვნახოთ თუ არა!

**არ.** ა, აღდგომა და ხვალეო! ვნახოთ, რომელი უმალ მივა და ვასცემს ხმას.

**ბაბ.** უმორჩილესად გთხოვთ მომშორდეთ და ხმას ნუ გამცემთ. (დაიდგავს სკანსზე სკამს და ზურგ-შექცევით დაჯდება). ტუტუცი! ხუმრობაც არ იცის!

**არ.** (დაჯდება ზურგ-შექცევით). ნურც თქვენ გამცემთ ხმას! კაი თქვენ მოგივათ, კაი ალერსი ლ სიყვარული აქეთ გცოდნიათ ქართლებებს!

**ბაბ.** (თავისთავის). შეხედეთ, მართლა იბუტება! მე ეს ქალი აღარ ვყოფილვარ, თუ ვერ შეგიხვეწო.

**არ.** (თავისთავის). ვერა ხედავთ, პირაქეთ მებუტება! არისტო აღარ ვიყო, თუ არ მოგიყვანო ჩემთან.



**ბაბ.** (თავისთვის). ვნახოთ ვისი ჯინი აჯობებს!

**არ.** (თავისთვის). ვნახოთ ვინ გაიმარჯვებს!

**ბაბ.** (თავისთვის). ნეტავი აქ რას ვუცდი? ერთი წავიდე სამზარეულოში და ვნახოთ თუ პირიქით არ შევიხვეწიო! იქ ველარ გაბედავს ბუთიაობას (მიდის).

**არ.** ერთს შტუკას ვიზამ: ჯერ თავს ჩავკიდებ, ცოტა ხანს მერე უცბათ ტირილს მოვიგონებ და თუ მოვიდა ჩემს სიახლოვეს, ვეცემი და ერთს კარგათ დავბუჯლნი. (ჯერ ჩაჭკიდებს თავს და ბოლოს ამოუშვებს ზღუქუნს). მე მისი სიყვარულით ვკვდები და ის კი უსამართლოთ მეპყრობა...

### გამოსვლა მეორე.

#### არისტო და მანკო.

**მანიკო.** (კამოდის და გაკვირვებული მიდის არისტოსთან). ჯა! რა დამართნია ამ უბედურს კორტოხელს?— ხომ არავინ მოჰკვდომია! არისტო! რას შერები, რა დაგემართა? (ხელს ჰკრავს).

**არისტო.** (უცბათ წამოვარდება და მოეხუკვას). ვაი შენ კი გენაცვალე! დაგიჭირე, დაგიჭირე! აწი შენი გამვება აღარ შეიძლება.

(ამ დროს შუა კარებში გამჩნდება გიორგი; გაკვირვებით აეუჩება. ბოლოს მიიფარებს თვალებზე ხელს და გაბრუნდება).

**მანიკო.** უი, უი! რას შერები, ბიჭო? გაგიჟდი? არისტო, არისტო!

**არ.** (დაინახავს დაფეთებული). ვაიმე! არკი ქალბატონი



ყოფილა! დევილუბე' (გაიქცევა და გავარდებს მარჯვ-  
ნივ კარებსა).

**მაიკო.** (შეშინებული). გაგიჟებულა ის უბედური! რა  
დამართნია? (შეგარდებს სწოლ ოთახში და წამოხტება  
კარებს).

### გამოსვლა მისამ.

გოცარგა & შააკო.

**გიორგი.** (შეშინების თაყვან-დაცემული). ეს რა ვნახე! სიზ-  
მარია თუ ცხადი?—რა ამბები ყოფილა ჩემს თავ-  
ზედ. ეს-ლა მაკლდა!... თავისი ცუდი ხასიათები  
რომ აღარ მაკმარა, ლეჩაქის გვირგვინიც დამადგა  
თავზედ! ნეტავი ჩემის თვალით მაინც არ მენახა!  
რა იქნენ? სად წასულან? (მიდის სწოლის კარებთან  
და აწკეპს). ეს კარები ვის დაუკეტია? გააღეთ.

**მაიკოს ხმა.** რა გნებავსთ?

**გიორგი.** კარები გამიღე.

**მაიკო.** ვერა.

**გიორ.** რატომ?

**მაიკო.** არა მცალიან.

**გიორ.** მე გიბრძანებ, რომ ჩქარა გამიღო!

**მაიკო.** ვერ მოგართვით!

**გიორ.** გამიღე, თორემ არ ვიცი, რას ვიზამ!

**მაიკო.** არ შეიძლება, საქმე მაქვს.

**გიორ.** ვიცი, რაც საქმე გაქვსთ!

**მაიკო.** მაშ რაღათ მოდიხარ?

**გიორ.** მაშ არ გამიღებ კარებს?

**მაიკო.** არა.

**გიორ.** არა?

**მანიკო.** არა და არა. ვერ შეიტყე.

**ზიოზ.** ახ! ვერა ხედავთ, რა მემართება? ჰმ! მისი ოჯახი ამოვარდეს, ვინც კაცს ცოლის შერთვა ურჩიოს! დასწყევლოს ღმერთმა ის, ვინც ყმაწვილი კაცი ააგულიანოს და ცოლის შერთვა არ მოუშალოს. რა არის ეხლა ჩემი მდგომარეობა? (ტყუარას). სიკვდილი არ მირჩევნია ამ სირცხვილს? არა, არა, ამდენს ვეღარ მოვითბენ! ან ის უნდა იყოს და ან მე რათ მინდა ამისთანა სიცოცხლე?! უნდა მოვჰკლა! მე და მისი ცოლ-ქმრობა აღარ მოხერხდება! უნდა... (უცხათ დამშვიდდება) მაგრამ ან კი რას ვმხეცობ? პირველი არ ვარ და უკანასკნელი; მასთანაც, თითქო საშუალო საუკუნოების კაცი ვიყო. აბა რა ნება მაქვს, რომ მოვჰკლა? ალბათ მე აღარ მოვწონვარ. (დაფიქრდება). კი, მაგრამ საწყენი ის არის, რომ ვიზედ გამცვალა! ჩემზედ უკეთესი რომ ვინმე ებოვნა, ციღევ სკო, იტყოდა კაცი, მაგრამ ვილაც იმერელი მბიჭი... ფუ... არა, არა, ეს დიდი შერცხვენაა ჩემი! ეს არის, რომ მკლავს! (დაფიქრდება). არა, ეს სულ ერთია, აქაც მე ვსტყუი! განა მოსამსახურე კი კაცი არ არის? სირცხვილია ჩემთვის ამისთანა აზრის გამოთქმა... მეცხრამეტე საუკუნის კაცი-სთვის... მაგრამ რა ვქნა, რომ თავში დამშვიდებული მეცხრამეტე საუკუნეა და გულზედ კი საშვალის საუკუნები შემომაწვენენ... რა ცეცხლში ვარ!! (ჩაჯდება სავარძელში). კარგი, თანახმა ვარ... შემიძულა, აღარ მოვწონვარ, ეს მისი ბრალი არ არის, გულის ბრალია!... კარგი, მაგრამ რათ მატყუებდა? მაშინ სულ სხვებზე იქნებოდა საქმე!

ეს განა მოტყუებით ლალატი ეკადრება მეცხრამეტე საუკუნის ქალს? თუ ჯერ არ დამდგარა მათთვის მეცხრამეტე საუკუნე! ფერ-უმარილის ცხებაში გამოებართ!? ოხ, ქალებო, ქალებო! თქვენი... თქვენი პროგრესი! (თვალებზე ხელს მიათარებს და თავს ჩაჰკიდებს).

### ბამოსვლა მეოთხე.

სტანავე და ანაღე.

**ბაბაღე.** (რომელსაც არის ტო ჰეტონა სავარძელში ჩამჯდარა. ლიტრით მთაქვს წყალი და წამოეზარება გიორგის). ესეც შენ! არ მოიშლი ბუტიაობას? (ასწავს წყალს).

**გიორგი.** (წამოვარდება შეშინებული). რა ამბავია? რა...

**ბაბაღე.** ვაიმე, ბატონი! (გაქცევს).

**გიორ.** გაგიჟდი?! (გამოუდგება. შევარდებათ კახანეთში).

### ბამოსვლა მესამე.

მაკო (მარტო).

**მაიკო.** (რომელიც უეურება ამ სცენას) ამას რას ვხედავ! ჩემი ქმარი გოგოს დასდევს? უი, დამიდგეს თვალები! ეს-ლა მაკლდა!... (მიდის სცენაზე). ეგვი, ეხლა კი ვიცი, თუ რად შემაშინა იმ ბიჭმა. ქმარი რომ გოგოებს დაუწყებს დევნას, რასაკვირვებლია, მაშინ ბიჭიც გაგიჟდება და აირევა ოჯახის; აი ოჯახის არევა... ვიშ, ვიშ, საყვარელო! აწიშე და მაგის ცოლ-ქმრობა აღარ მოხერხდება. ეგ უსი-



ნიდისო რას მემართლება? წელიწადი არ არის, რაც  
ჯვარი დაგვიწვრია და ვგ კი გოგოებს დასდევს!  
მე კი მაგის სიყვარულითა ვგიჟდებოდი, და ვგ  
დახეთ რას ჩადის! მაგრამ სულ ეგეთი არიან კა-  
ცები! ოჰ, გასწყდეს თქვენი სახსენებელი, კაცებო!  
თქვენ გაუტანლებო და მოლაღატენო!... გასწყ-  
დეს... სსსუ! მოდის! (გაჩქარდება მარცხნივ).

## გამოსვლა მთავრად.

### მაიკო & გარგა.

**ზიორ.** (გაჩქარდება მარჯვნივ). გაგონილა ამისთანა ოჯა-  
ხის არევ-დარევა! მაგრამ ქალბატონი რომ თავს  
ვერ დაიჭერს რიგიანად, მაშინ ვაუბატონსაც იგ-  
დებენ! (შენიშნავს ცალს). გამობრძანებულა, აშფო-  
თებული კი არის ეტყობა, რცხვენია. ვნახოთ რას  
იტყვის, როგორ იმართლებს თავს და ან რაღა  
დროს თავის მართლებაა!?...

**მაიკო.** ძალიან დარცხვენილი კი არის ეტყობა...  
წყალიც გადაუსხავს თავზედ, ვითომ და აქ არა-  
ფერი ამბავიაო, არაფერი შემატყონო! ვნახოთ,  
რას მეტყვის ეგ ურცხვი!

**ზიორ.** ჰმ! (ახეულებს).

**მაიკო.** ჰმ! (ახეულებს).

**ზიორ.** ვგონებ, რაღაც გნებავთ, რომ მიბრძანოთ?

**მაიკო.** ვგონებ, თქვენა გაქვსთ სათქმელი?

**ზიორ.** დიახ... უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი ცოლ-  
ქმრობა აღარ მოხერხდება.

**მაიკო.** მეც ვგრე მგონია.

**ზიორ.** აქ მგონიაობა აღარ იქნება... როდესაც და-  
ფარვა აღარ მოხერხდება.

**მაიკო.** ცხადია!...

**ზიორ.** მოსამსახურებელ რომ საქმე მივარდება...

**მაიკო.** (თავისთავის) ველარ ჰეტიცავს! (ხმა-მადლა) დიახ,  
როდესაც მოსამსახურებელ მივარდება, მაშინ...

**ზიორ.** (თავისთავის) ველარ ჰეტიცავს! (ხმა მადლა) რადგან  
ორივესთვის ცხადია, უმჯობესია ერთმანეთს მოვ-  
შორდეთ... ამგვარი ცოლ-ქმრობა რაღა სახმარია?

**მაიკო.** (თავისთავის). დახეთ ამ უსირცხვილოს, რა ად-  
ვილად მისტუმრებს?! ერთ გომბიოში მცვლის!  
მაგრამ ასე ადვილად არ იქნება საქმე! (ხმა-მადლა)  
დიახ, მოვშორდეთ, მე თვითონ აღარ მსურს თქვენ-  
თან ცხოვრება... ახლავ გადავალ სხვაგან...

**ზიორ.** (თავისთავის) ვერ უყურებთ ამ უნამუსოს, რა  
გულ-გრილად მტოვებს? ერთს იმერელ ბიჭვდა  
მცვლის!.. (ხმა-მადლა) მშვიდობით!

**მაიკო.** ბედნიერად! მე ჩემ ბარგს წავაღებინებ და წა-  
ვალ. მშვიდობით!

**ზიორ.** დიახ, თქვენის ბარგით წაბრძანდით. მშვიდო-  
ბით!.. სინილისი არას გეუბნებათ?

**მაიკო.** მშვიდობით!—სინილისი არას გამხილებთ? (მი-  
დას თვალ-ცრემლიანი).

**ზიორ.** იტანჯება კი, ვატყობ. სინილისმა დასაჯა...  
რომ შეინანებდეს, კიდევ შეიძლებს ცოლობას და  
მეც ვაპატივებ... წავიდე ერთი მოველაპარაკო.  
(შეჭევება საწოლ ოთახში).

### გამოსვლა მუხვიდა.

ბრასტო (შემოვა თავის ბარკათ).

**არისტო.** ჩემი აქ დგომა აღარ შეიძლება; უნდა ვიპარო აქედან.

**მაიკო ხმა.** რა გინდა, რომ მოდიხარ? აწ რაღა საქმე გაქვს ჩემთან? გადი აქედან და როდესაც მე წავალ, ვინც გინდა შემოიყვანე!

**გიორ. ხმა.** აჰა, ღმერთო! პირაქეთაც მიწყობები?

**არისტო.** (უუარს უბედესს) ჩუ! იქ რა ამბავია!

**მაიკო.** აბა, როგორ გეგონა? შენს საძაგლობას გულგრილად მოვითმენდი?

**გიორგი.** შენი მითხარიო და გული მომიკალიო, ეგ არის. გაგიყდი, თუ დამცინი?

**მაიკო.** არა, შენ ნება არა გაქვს, რომ დამცინო!... უსინდისოვ, გარყვნილო! გადი, თორემ თრევით გაგიყვან!

**გიორგი.** რაო? შენ ძალიან ნებას აძლევ შენს თავს!

**არისტო.** აქ სახუმროდ აღარ არის საქმე; თავს ვუშველო, სჯობია.

**მაიკო.** რაო? ხელებსაც მიჭერ? აბა კარგი, ეს შენ! ეს შენ! ესეც შენ! (ამტკრუვს რადჯაქსს) ჩემი მოკვლა გინდა? მომკლეს!... მიშველეთ!

**არისტო.** ვეიბლექი, გვარიანი ბუნტია!

**გიორ.** ნუ გაგიყდი, ქალო! გამიშვი! (გამოვარდება სტენსიკ; თანხადან ესურათს ფასტლექს და ფესხაწმულს; თანაც ტარაღას ხმა ისმის.) უჰ! ეს ლა მაკლდა! გაგიყდა ჩემი ცოლი! სახუმრო აღარ არის, ისტერიკაც



მოუფიდა! იქაურობა დანგრია. რაც ტყვია-წამალი  
 ჰქონდა, დახარჯა. აჰა, უკანასკნელი ფეხსაცმელიც  
 კი მესროლა! (აიღეს). მადლობა ღმერთს! ეს უკანას-  
 კნელი სროლა იყო; ხელში აღარაფერი მოჰყვება  
 ახლა... უკანასკნელი ფეხსაცმელი ეს არის და ფე-  
 ხებს ხომ ვეღარ მესვრის? წავიდე ერთი, გიყია,  
 ფეხშიშველა არ გამოვარდეს ამ ზალაში. (შეღის  
 კაბანკოში).

**გამოსვლა მერვე.**

სოფია. (შემოდის ქაღვლით ხელში).

**სოფიო.** არაინ არის?—უჰ, რა დავიღალე! უჰ! ძლიერს  
 არ გამოვებარე!... ასე სჯობია: მართალი მასწავ-  
 ლა დედა-ჩემმა:—ქმრის ხელში დაჭერა თუ გინდა  
 ყოველთვის ნებაზე ნუ დაჰყვებიო. საბრალო ჩემს  
 ქმარს დღე-დღე ვეჩხუბები და სალამ-სალამოობით  
 შევირიგდებით ხოლმე... ჩხუბის შემდეგ შერიგება  
 გემრიელია, და მართლაც არ ვარგა ერთგვარობა  
 ბუნებაში! მხოლოდ სხვა-და-სხვაფერობა, სხვა-და-  
 სხვა-ნაირობა არ მოეყირკება ადამიანს, სხვა კი  
 ყველაფერი!... რომ ასე არ მექნა, აქამდი ჩემს  
 ქმარს შეძლებული ვეყოლებოდი. და ახლა კი  
 ჩემზედ ლოცულობს.

**გამოსვლა მეთხუთ.**

ივანე და ზრასტო

**სოფიო.** ჩემი და შინა ბრძანდება?

**არ.** სსსუ, ქალბატონო!

**სოფ.** რაო? რა ამბავია? ავად ხომ არავინ არის?

**არ.** არა, ბატონო, მაგრამ საქმეა ცოტა.

**სოფ.** ვისა აქვს ეგ საქმე?

**არ.** მე, შენი ქირიმე!

**სოფ.** ვისთან?

**არ.** თქვენთან, შენი ქირიმე!

**სოფ.** რაო?

**არ.** საიდუმლოა, არ მინდა სხვამ რო გაიგონოს!

**სოფ.** რა არის?

**არ.** ერთს პატარა რამესა გთხოვ და უარს ნუ მეტყვით, თქვენი ქირიმე!

**სოფ.** რასა?

**არ.** რასა და წელან ქალბატონთან დავაშავე და გავარისხე.

**სოფ.** რას ამბობ, ბიჭო?

**არ.** კი ბატონო, ბაბაღე გოგო მეგონა.

**სოფ.** გაგიყდი?!

**არისტო.** არა, ბატონო! უცბათ მოვეხვიე და ბუჯღნა დავუწყე და მერე, ქალბატონად რომ ვიცანი, შეშინდა და გავიქეცი.—შემარიგეთ, თქვენი მუხლების ქირიმე და თქვენი გულისთვის მოვკვდები.

**სოფ.** მართლა ამბობ! ხა, ხა, ხა!... საუცხოოა! მერე შეშინდა ჩემი და?

**არ.** შეშინდა კი არა ნამეტანიც მოუვიდა! მე აქეთ გამოვიქეცი, და ის იქ შევიდა საწოლში. ახლა ბეჯითად გაჯავრებული იქნება ჩემზედ და თუ თქვენ არ დამეხმარეთ, დავიღუპები, თქვენი ქირიმე! თქვენი მუხლების ქირიმე, ნუ დაიზარებთ ჩემთვის. (მუხლებზე ესეკვა).



(ამ დროს სოსო კარებსე მოადგება და უეუერებს)  
**სოფ.** კარგი! კარგი! წამოდი აბა, და ახლავ შეგარიგებ.  
(მიდიან სწოლ ოთახში ისე, რომ ვერ შენიშნავენ სოსოს).

### ბამოცვლა მათე.

**სოსო.** (მარტო) ააა! ამას რასა ვხედავ?! გამწყრომია ღმერთი და შემრცხვენია უღვაშები! ბარემ დამიდგეს თვალები! ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა?! ა-ა-ა ახლა კი მესმის, თუ რათ მებუტება ჩემი ქალბატონი დილიდან საღამომდე! რატომ აღარ დგება ჩემთან და ან რათ დაცუნცულებს აქეთ-იქით? თურმე საქმე ასე ყოფილა! ხა, ხა, ხა! ეს-ლა მაკლდა! ერთ ვილაც იმერელ ბიჭს, ამ... ასე მოურიდებლობაც გაგონილა? მაგრამ ვნება ფარდა ყოფილა თვალებისათვის. ველარც კი შემნიშნეს! ეს რა ამბავია? სიზმარში ვარ, თუ ცხადია?!... ჰმ! ცხადია, ამაზედ უცხადესი რა იქნება?... (დადის გაშფოთებული).

### ბიმოცვლა მეთერთმეტე.

იგივე ~~ს~~ გიორგი

**გიორგი.** რა ამბავია? რას აუშფოთებინარ? (დასდევს).  
**სოსო.** სიკვდილი მერჩია ამ სიცოცხლეს!  
**გიორ.** რა დაგმართნია? რას აუღელვებინარ!... რა ამბავია, ძმაო?!

**სოსო.** ოჰ, შენა ხარ გიორგი! სირცხვილი შენთვის, შენს სახლში მოხდა ეს!

**ბიორგი.** რა ამბავია?

**სოსო.** ის, რომ—.. იქ არიან ორივე...

**ბიორ.** (თავისთვის). ვაი ჩემს შერცხვენას, ამასაც უნახავს! (სმა მადლს). მაშ შენც დაინახე? არ გებრალღები?

**სოსო.** მე კი დავინახე, მაგრამ შენ როგორღა დაინახე, რომ ახლა აქ არ ყოფილხარ?

**ბიორ.** ახლა კი არა, წელან დავინახე.

**სოსო.** როგორ? წელანაც?.. (თავისთვის) მაშ ეს მეორედ! (სმა მადლს) წელან კი არა, ეხლა შევიდენ ეს არის...

**ბიორ.** როგორ თუ ახლა? (თავისთვის) მაშ ახლა ხელმეორედ,—ეს კი ნამეტანია!

**სოსო.** შენს ოჯახში არ უნდა მომხდარიყო ეს ამბავი.

**ბიორ.** გიჟია! მაშ სხვაგან უფრო არ მომეჭრებოდა თავი? მადლობა ღმერთს, რომ კიდევ აქ მოხდა და ჯერ საქვეყნოდ არ არის საქმე!

**სოსო.** ძალიან კარგი ნუგეშია!..

**ბიორ.** ისე შენმა მტერმა ინუგეშოს! აგერ გავგიუღები.

**სოსო.** (თავისთვის) ვერა ხედავთ ამ ჩემს ქვისლს? ეს რომ ასე ცოლის დაზედ თავს იკლავს, მე რომ სისხლის მაგიერ თხლე არ მედგას ძარღვებში, თავს უნდა ვიკლავდე! (სმა მადლს) არა, აღარ მინდა თავი ცოცხალი!

**ბიორ.** (თავისთვის) დახეთ! ეს რომ ასე მრისხანებს თავის ცოლის დაზედ, მე რომ ძარღვებში მახოხი არ მედგას სისხლის მაგიერ, ერთი ამბავი უნდა მოვახდინო.

**სოსო.** აქ თავი უნდა მოვიკლათ და სირცხვილი კი არ უნდა დავსთმოთ!



**გიორ.** შენ რათ ცხარობ მაგრე, ჩემო ძმავ, ჩემი გულ-  
ლისთვის?

**სოსო.** როგორ თუ შენი გულისთვის? მე თვითონ მი-  
კვირს, რომ შენ მაგრე გულ-მხურვალედ თანაურ-  
ძნობ ჩემ საქმეს.

**გიორგი.** როგორ თუ შენ საქმეს?

**სოსო.** მაშ? ჩემი ცოლი ზე ის იმერელი იქ არიან.  
(ხელს უშვერს).

**გიორ.** (გაკვარჯობათ). შენი ცოლი! მე კი ჩემს ცოლზედ  
ვამბობ. წელან ის იმას ეხვევოდა. (თავისთვის). და-  
ხეთ, იმ იმერელს! ერთ დას რომ აღარ სჯერდება,  
ორ-ორს ჰკიდებს ხელს.

**სოსო.** (გაკვარჯობათ). შენი ცოლიც? ეგ კიდევ სხვა  
ამბავია! [თავისთვის]. ორივე დები შეურცხვენია!  
ერთს აღარ ჯერდება!

**გიორ.** ვერ ხედავ, რა დღე დაგვდგომია! რაღა ვართ  
ახლა?

**სოსო.** სწორედ უბედურები ვართ! ამ ქვეყანაში აღარ  
დაგვედგომება.

**გიორ.** მაშ უნდა დავიკარგოთ?

**სოსო.** კი, მაგრამ ჯერ უნდა შევიტყოთ, თუ...

**გიორ.** რატომ არ ვიცოდით, რომ ასე დაგვემართე-  
ბოდა. განა ცხადი არ იყო, თუ რა დედის შვი-  
ლები იყვნენ? რათ შევირთეთ?

**სოსო.** ვის ეგონა, თუ რაც დედა იქნება, ის შვილები.  
ვაი სირცხვილო!

**გიორ.** რა ცუდი ცოლი გყავს!

**სოსო.** რა ცუდი ცოლი გყავს!

**მარიამ.** რა ცუდი ცოლი გყოლია!...

**გიორ.** როგორ შერცხვი!



**სოსო.** როგორ შერცხვი!

**ოჩივა.** როგორ შეფერცხვენილვართ!

**გიორ.** აქ დასადგომი პირი აღარა გაქვს!

**სოსო.** აქ დასადგომი პირი აღარა გაქვს!

**ოჩივა.** აქ დასადგომი პირი აღარა გექონია!... (მო-  
თქმით ტირიან).

### გამოსვლა მეთორმეტე.

ივინივე ჭ არასტო.

**არ.** (გამოდის). მადლობა ღმერთს, რა ადვილად გადავ-  
რჩი,

**გიორგი და სოსო** [ერთად მიუარდებიან]. რაო? რაო?  
გადარჩი? (სტატკებენ ხელს და მოათრევენ).

**არ.** (შეშინებული). ვაიმე, ბატონო! რას მერჩით? რა  
დავაშავე?!

**გიორ.** როგორ თუ რა დააშავე? შენ რა გიქნია?

**არისტო.** (თავისთავის). ვაიმე! ვინ უთხრა ამ ოხერს?  
ვიცი მომკლავს. [ხმა მადლად]. დამნაშავე ვარ, ბა-  
ტონო, მაპატივე! არ მინდოდა, მაგრამ შევსცდი,  
ბაბაღე მეგონა!

**გიორ.** რაო! დახეთ ამ საძაგელს, რაებს ბოდავს!

**სოსო.** (გამათხლებლად შეუხვედნენ) აქ მობძანდი! ჩემს ცოლ-  
ზედ რას იტყვი?

**არ.** თქვენ ცოლზედ რა უნდა ვსთქვა, შენი ქირიმე!  
მოვებვიე, შევებვეწი...

**სოსო.** მოვებვიე! განა იქაც შესცდი?

**არ.** არა ბატონო; განზრახვით მივედი, გულ-და-გულ...  
ვიცოდი ჩემს თხოვნას უარს არ ეტყოდა...

**სოსო.** რაა? უნდა მოვკლა! (აღრჩობს).

**არ.** ვაიმე! მიშველეთ! მიშველეთ!

**გიორ.** არა, ჯერ ნუ მოვკლავთ! ჯერ აღსარებასავით ვათქმევინოთ თავიდან, თუ როგორ იყო ვე ამბავი და მერეც მოვერევით. (გამოგლეჯს ხელაღან და მიათრევს მარჯვნივ). აბა, დაიჩოქე და მომიყევი! შენ ძმაო, მანდ მოიცა ცოტა ხანს, ჯერ ჩემი ცოლისას ვიკითხავ. (აჩოქებს არისტოს) აბა ახსენე ღმერთი, პირჯვარი გამოისახე და მოჰყევი რაც იცი!

**არ.** რა უნდა მოვყვე, შენი ქირიმე! დანაშაული მაქვს! მაპატივეთ!

**გიორ.** თავიდან მოჰყევი, რაც იცი! თავიდან... ჰმ!..

**არ.** მე და ბაბალე ვბუტიობდით; მე თვალეზე ხელი მივიფარე და ზლუქუნნი დავიწყე, მისი მოტყუება მინდოდა; თურმე ის გაპარულიყო, და მის მაგიერ ქალბატონი გამობრძანებულყო და თავზედ დამდგომოდა; მე გოგო შეგონა, ვსტაცე ხელი და მოვეხვიე.

**გიორ.** მერე? მეტი?

**არ.** მეტი აღარაფერი. ქალბატონი შეშინდა და შევარდა საწოლში.

**გიორ.** შენ?

**არ.** მე კი სამზარეულოში გავიქეცი.

**გიორ.** მე რომ ქალბატონის კარებს ვუბრაახუნებდი, შენ სად იყავი?

**არ.** რა ვიცი, ბატონო... სამზარეულოში ვიყავი დამალული...

**გიორ.** მართლა?

**არ.** კი ბატონო! გთხოვთ მაპატიოთ!



**სოსო.** (მივარდებს და წამოაღრქვს ანისტას მარტინიძეს)  
დენ ხანს როგორ ვერა ჰკითხე? აწ მეც უნდა  
შევიტყო!..

**ზიორ.** დაანებე თავი! ნულა ჰკითხავ! ვიცი რაც ამბავი  
ყოფილა!

**სოსო.** მერე შენ რომ იცი მე რაო? მეც მინდა შე-  
ვიტყო!..

**ზიორ.** (თავისთვის) უჰ, მადლობა ღმერთს! ხელ-ახლა  
ვიბადები! მე რა მეგონა და რა ყოფილა! თუ სულელი  
არ ვიყავი, როგორ შევიტანე ეჭვი იმ ანგელოზ  
ქალზედ! იმას მისი უმანკოება სახეზედ აწერია.  
განა არ ვიცი, რომ მე ის ხვანთქარზედაც არ  
გამცვლის? ვინც იმაზე ცუდს იტყვის, თვალი-  
თაც რომ ნახოს, ჩემი არ იყოს, ის გარყვნილი  
იქნება და უსინიღისო!

**სოსო.** სთქვი! ნუ ჩაგვარდა ენა! მოჰყევი!

**არ.** რა მოვყევე, ბატონო? ყელში მიქერთ ხელს და  
მგულავთ.

**ზ.** (თავისთვის) გამოჰკითხე, თორემ ბევრს სასიამოს კი  
გაიგონებ, შენ საბრალოვ! საწყალი ჩემი ქვისლი!  
რა საქმე მოუვიდა! აბა როგორ ეკადრებოდა ჩემი  
ცოლის დას ამისთანა საქმე! არა ჰგავს მისს დას?!  
მართალი ნათქვამია: „ერთის ხიდან ბარიც გამო-  
ვა და ჯვარიცო!“ ფუ!...

**ს.** მოჰყევე, როგორ იყო!

**არ.** რა უნდა ყოფილიყო! ქალბატონთან შერიგება  
ვთხოვე, იმანაც წამიყვანა და შემარიგა...

**ს.** მეტი არაფერი? (კახარეუღა).

**არ.** რა ვიცოდე, თუ ეს თქვენთვის საწყენი იქნებოდა!

**ს.** [ხელს უშეკებს] მაშ კარგი! (მობრუნდება, ანისტა და-

ჩოქაღია რჩეულს მადლობა ღმერთს! კინალამ ტყვილად არ გადავირიე' არ გამიკვირდა! ჩემს ცოლს ჩემს მეტი ყვენიც არ უნდა, თორემ... არა, მეც არა ვსთქვი! იმას მისი უმანკოება თვალეზში ეხატება; მაზედ ექვის შეტანა უნამუსობაა... დიდი,—დიდი!.. მაგრამ, საბრალო ჩემი ქვისლი!—ფუ მის ქალობას! როგორი ჩემი ცოლის-და არის მისი ცოლი' მაგრამ მართალი ნათქვამია: „ერთი ხიდან ბარიც გამოვა და ჯვარიცო!“... მივიდე ერთი ეს საბრალო ვანუგეშო!

მ. (თავისთვის) აქ სასაცილო არა არის-რა! მაგრამ მეცინება კი მისი საქმე, ხა, ხა, ხა, ხა' ძალიან საქმე მოსვლია'...

ს. (თავისთვის) საწყალს მეტი ჯავრით ისტერია მოსდის. რა გულით იცინის! მეც სიცილი მივარდება, ხა, ხა, ხა! ამისთანა... ხა, ხა, ახირებული საქმე...

მ. ვაი ამისთანა სიცილს! გაგიჟდა. [მადან ერთმანეთთან] ქეშმარიტად გულითა და სულით ვსწუხვარ და თუ ვიციანი, მეტი მწუხარებისაგან.

ს. მჯერა... ეგ სიცილი მწარეა!

მ. დარწმუნებული იყავით!.. მაგრამ ვხედავ, რომ თქვენი სიცილი უმწარესია და ის მიკლავს გულს.

ს. რა გაეწყობა? განათლებულმა კაცმა უნდა მოითბინოს.

მ. (თავისთვის) თავს ნუგეშს აძლევს. (ხმა მადლა) დიახ, მოთბინება ვალია განათლებული კაცისა.

ს. [თავისთვის] როგორ მალე დამეთანხმა! (ხმა მადლა) მადლობა ღმერთს! რა გაეწყობა?

მ. რასაკვირველია! რა გაეწყობა? საჭიროა გულის სიმაგრე... დიახ!



**სოს.** მე ვეტყვი ჩემს ცოლს, რომ თქვენი ცოლი არიგოს, და თქვენც ურჩიეთ, რომ მისი დის კვალზედ იაროს.

**ბ.** (შეშინებული) ღმერთმან ნუ ჰქნას! უმჯობესია, რომ შენმა ცოლმა მიჰბაძოს ჩემს ცოლს.

**ს.** (შეშინებული) რას ამბობ? რა დროს ხუმრობაა! ღმერთმა დაიფაროს!

**ბ.** როგორ თუ ღმერთმა დაიფაროს? რა აქვს ჩემს ცოლს დასაწუნი?

**სოსო.** ის, რაც თქვენი თვალით ნახეთ, სხვა არაფერი.

**ბიორ.** ჰმ! ვნახე, მაგრამ კი ვერ ვნახე კარგად. უბრალო შეცდომა გამოდგა.

**სოსო.** მართლა?.. ისე, როგორც ჩემი ცოლისა?

**ბ.** არა, თქვენი ცოლის საქმე სხვებზე იქნებოდა.

**ს.** როგორ თუ სხვებზე? იქაც ცოტა რამ შეცდომა იყო.

**ბ.** მართლა! მაშ როგორ არა გრცხვენინანთ, რომ ცილი დასწამეთ...

**ს.** თქვენ კი შეამკეთ თქვენი ცოლი თუ?!

**ბ.** ეჰ! მაშ ამდენი აყალ-მაყალი სულ ტყუილი იყო? არ შევრცხვით?!

**ს.** მართლა რომ შევრცხვით და ეს უბედური ბიჭიც ტყვილად დავტანჯეთ!

**არისტო.** (წამოფანდებს ფეხზე) რასაკვირველია, ტყვილად დამტანჯეთ. (გაფრთხილებს) თქვენ რომ მირტყით, მე ჰაჰა ჩამვარდა, ლაზარეთში უნდა წავიდე, მაგრამ ფული არა მაქვს. ვინ მიპატრონებს აქ? დედა არ მყავს და მამა! (ტირის).

**ბიორ.** საბრალო იმერელი! კარგია ახლა, რა გაეწყობა! აჰა, ეს შენი იყოს! თავს მოუარე! (აძლეკს ფულს).

**არ.** მადლობელი ვარ, ჩემო ბატონო! ქაქებს თქვენი ქირი წაუღია, მაგრამ გული უფრო მაწუხებს: ამათ რომ ყელში ხელი წამიჭირეს, გული ამომივარდა მაშინ... ვინ მომივლის? ცოლი მე არ მყავს და შვილი.

**სოსო.** კარგი, ახლა რაღა გაეწყობა? არ მომხდარიყო, კარგი იყო! ჰა, ეს შენ! (აძლევეს ფულებს). ჩვენ ახლა როგორღა მოვიქცეთ, ჩემო ძმაო?

**გიორ.** რაღა დაგვრჩენია მეტი, წავიდეთ და ბოდში მოვიხადოთ ცოლებთან.

**სოს.** კარგი, მაგრამ აქედან რომ არ შეგვიშვებენ? წინა კარები დაკეტილია.

**გ.** ეგ ცუდია ძალიან.

**ს.** უკანა კარები არა აქვს ამ ოთახს?

**გ.** როგორ არა.

**ს.** მაშ კარგი, მოვუაროთ. [შიდას].

**არისტო.** (მარტო). იმე! ჯერ მოკვლას მპირდებოდენ და ეხლა კიდევ გამაკეთეს... ახირებული თუ გინდა, ეს არის! თურმე უფრო მარჯვედ რომ ვყოფილიყავი, მეტსაც მაჩუქებდენ.

### გამოსვლა მესამეტი.

ივინივე, შაკოა & სოფია (ოთახიდან გამოდიან).

**მაიკო.** არა, შენმა გაზდამ, არა ვსცდებოდე. ჩემის თვალითა ვნახე და არც ვაპატიებ ჩემს დღეში! იმ უნამუსომ ბაბალეზედ გამცვალა!

**არ.** რაო? მგონია ჩემს ბაბალეს ახსენებენ.

**სოფ.** გოგოს ვერ უნდა გაებედნა, თორემ კაცები ხომ...

**მაიკო.** გოგო რას დაექებს! მაგრამ ბატონმა არ უნდა დაიმდაბლოს თავი.

**არ.** ვაიმე! ეს რა მესმის ჩემს ბაბალებზე! მილალატა? ვაი მის დღეს, თუ მართლა მისი ბრაღია, და მოუკლავს არ გადავარჩენ, და თუ ბატონის, ერთს კარგად შევზურგავ იმ დალოცვილს და ზე მოვევლები ბურთივით კორტოხს.

### ბამოსვლა მეთოთხმეტა.

ივინავე ჭ ბაბაღე.

**ბაბაღე.** ქალბატონო, გთხოვთ გამიშვათ! მე აქ დასადგომი პირი აღარა მაქვს.

**მაიკო.** დიახ, ქალბატონო, მეც ვიცი! მემართლები? ერთი მუჟა ჩემს ხელში გაზდილხარ.

**ბაბ.** რა ვქნა ქალბატონო, შევესციდი!

**სოფ.** როგორ თუ შესციდი, შე ურცხვო! როგორ გაბედე?

**ბაბ.** რა ვქნა, ბატონო. არისტო მეგონა.

**არ.** შეხე, რას ამბობს ეგ უნამუსო! მე რაფა ვეგონე? ველარ მიცნობ რწყილივით ბიჭი! ჩემი ბატონი კი კოლოტს ჰგავს!

**მაიკო.** იმიტომ დაასხი თავს ლაფი?

**ბაბ.** არა, ბატონო! წმინდა წყალი გახლდათ, ლიტრიით.

**სოფ.** როგორ?

**ბაბ.** არისტო მეგონა ჩამჯდარი, მოვეპარე და თავზედ გადავასხი ცივი წყალი.

**მაიკო.** მერე?

**ბაბ.** მერე, გამიწყრა და გამომიდგა გასალახავად, მე  
გავეჭეცი და სამზარეულოში დავიმაღე.

**სოფ.** მეტი არაფერი? ეგ იყო? (შააკას) ხა, ხა, ხა, ჩე-  
მო დაო, გესმის? მომ

**ბაბ.** მეტი რა უნდა გხლებოდათ... გთხოვთ მაპატიოთ!

**არ.** იმე! არ გესმისთ? რა ყოფილა და მე კი ტყვილა  
უბრალოთ ვწიწმარიტობდი! არ გამიკვირდა! ჩემი  
ბაბაღე—ვენაცვალე იმას,—ბატონში რავე გამცვ-  
ლიდა?—ეს კი მიამა შენ... (შესტება).

**მაიკო.** უიმე, დამიდგა თვალები! მაშ ტყვილად გავ-  
ლანძღე ჩემი ქმარი? უი, ჩემ თავს! წავალ ახლავე,  
ბოდიშს მოვიხდი. შენც მომეხმარე, სოფიო!

### გამოსვლა მეთხუთმეტი

ივინავე, გაორგა ჭსახო.

**გიორ.** მაიკო, შენ გეთაყვანე, დამნაშავე ვარ, მაპატივე!

**სოსო.** დანაშაული გვაქვს, უნდა გვაპატიოთ!

**სოფ.** შენც ბოდიშს იხდი?

**მაიკო.** მე ვარ დამნაშავე, თქვენ კი არა. გთხოვთ  
მაპატივით!

**გიორ.** შენ რათ იქნები, მე ვარ! შევიტყე, რომ ტყუი-  
ლი გამოდგა...

**მაიკო.** მეც ეხლა შევიტყე, რომ...

**გიორ.** არა, შენ იცოდლი, შენი ქირიმე! აწ კი შევ-  
რიგდეთ.

**მაიკო.** დიდის სიამოვნებით.

**გიორ.** კი, მაგრამ, რომ არ დაღამებულა?

**მაიკო.** დაღამებას რას უცდით!





**სოსო.** ეჰ, კმარა ამდენი უბრალოდ აყალ-მაცალი! ჩვენც შევრიგდეთ. წავიდეთ, დალამებას ნულარ მოვუცდით!

**სოზ.** თანახმა ვარ, მით უფრო, რომ ხან-და-ხან დღითაც კარგია შერიგება. (შიდახს).

### გამოსვლა მეთექვსმეტე

#### აზასტა & ბაბაღე

**არ.** ახლა ჩვენ რაღა ვქნათ, ჩემო ბაბალუკო?


**ბაბ.** რაღა უნდა ვქნათ? წავიდეთ სამზარეულოში... რადგან ბატონები აქვე შერიგდნენ, ჩვენ იქ შევრიგდეთ.

**არ.** აქ რა გვიჭირს, რომ შევრიგდეთ!

**ბაბ.** გვიყურებენ!.. დაგვიძრახავენ, ჩვენი საქმე სამზარეულოა!

**არ.** კი, მარა ფარდა ჩამოვაშვებოთ, ეი, ბიჭო! ფარდა ჩამოუშვი, ბატონის ბრძანებაა! (ფარდას უშვეკებს) ოი, შენ კი გენაცვალოს არისტო! (მოუნდომებს ბაბაღეს მოხვევას; ბაბაღე გაეჭრება და არისტო უკან მასდევს).

(ფარდა დაეშვება)



## შვიდ-შვირობა, ახალ-წელი

და

ბ ე დ ო ბ ა .

სამეცხეთოში წარმართობიდანვე მოყოლებული შესანიშნი სამნაირი დღე იყო და არის კიდევაც დღემდის, პოლიტიკურად დიდ პატივდებაში მიღებული, ყოველი კაცის სიცოცხლეში სახმარად გამოსადეგი: თუმც ბევრით განსხვავებული წარმართობისაგან და ქრისტიანობასაც დაშორებული ზოგიერთის მხრით.

ა) შესანიშნი დღე წლის დასასრული დღე იყო, ენკენისთვის წინა დღე, რომელსაც შვიდფერობის დღედ ამბობდნენ ჩვენი წარმართნი წინაპარნი: იმ დღეს შვიდფერად შემოსავდნენ თავიანთ კერპებს, თავიანთ წვრილ-შვილს, თავიანთ სახლობასა და შვიდფერ საკმელ-სასმელს მოამზადებდნენ თავიანთ შეძლებისამებრ, და შვიდ-შვიდი მოსახლე შეიკრიბებოდნენ ერთად იმ დღეს, სადილ-ვახშამზედ საღებინოდ!

რომელ სახლშიც უფრო წლოვანი მოხუცებული იყო, მის სახლში შეიკრიბებოდნენ თვითოეულად, დიდით წვრილამდის მოსახლენი; შესვლისათანავე დახვდებოდათ სახლის-უფალი მხცოვანი, სამფეხა სკამზედ დასკუპული. მისცემდნენ თვითოეულად სალამსა და პირ-



მლიმარედ ეტყოდნენ: ჩემმან მზემან დიდად მიხატის, რომ განახეთ ისევ დღეგრძელებაში ტანმრთელი, შვენიერი და მამაცი დღევანდელ დღეს, ჩვენის ლხინ-სიხარულის მეთაურადო! მადლობას მოახსენებდა და უპასუხებდა: მზემან გაბრწყინოს, სული, გული გაგიტბოსთ, გაგაძლიეროს და ჩემს დროთ მოგყაროსთო!

რა ყველანი მოვიდოდნენ, ჩარიგდებოდნენ კაცები თავთავიანთ სასხდომ მერხებზედ დიდით წვრილამდის, მოხუცებული მოხუცებულთან, ვაშკაცი ვაშკაცთან და ყმაწვილები—ყმაწვილებთან: ასრევე დედაკაცნიც თავიანთ წყებაში ჩამწკრივდებოდნენ დიდ-პატარაობით ქალ-სძალნი და ყმაწვილ-ქალნი რიგ-რიგად; მოვიდოდა წინ გაწყობილ ხონჩებზედ რაც ებადათ ყოველი საწუთრო შვიდ-ფერამდის, უფრო წველეულება ზე ტკბილეულება ყოველთ ხელმისაწდომი, ვისაც შეეძლო ნამცხვარეულება, ხორცეულობა და ხილეულობა. როგორც დღესაც ხმარებულია, კვახი, თაფლი, რძე, მაწონი, კარაქი, სულ თაფლ-მოსხმული, ერბო-კვერცხი, კონკიანი (კაიღანა). ხილეულში—გოზინაყი, ლეღვი, ჩურჩხელა, ტკბილის-კვერი, ვაშლი, მსხალი, სხვა-და-სხვა ხილეულის ჩირი, ხორცეულში—ხარშო (იაჰნი), ყალია, ბრინჯით გატენილი ქათამი, კრავი, ინდაური, მწვადი, საციო და მისთანანი. სვამდნენ ზედ ღვინოს და იწყებდნენ ლხინ-სიმღერა-გალობებსა.

მოლხინედ სახლის პატრონი იქმნებოდა, პირველ სუფრულს ის იტყოდა თავის თავზედ, როგორც მომაკვდავი. თქმულია ძველთაგან ასრე სახალხოად:

დავებრდა, მშვიდდა ძირს დავდექ,

მადლა მთაში ქვეს სადამე,

დაღებეს, ქერქი გასძვრეს,

არ მადგებს მზე სადამე.



(თქმა არის, უწინდელი ჩვენი წარმართნი პარნი სულ მალალ მთის წვერებზედ იმარხებოდნენ, სადაც საკერპოები ჰქონდათ წმინდა ჰაერში, ვარდ-ყვავილებითა და ხეივნებით შემკულ-მორთული). მერმე მისი მიმტანო მოხუცებული უპასუხებდა:

დავბურდი და დავსუსურდი, წვერა შეშქქნა ჭაღარა,  
ვარ ბატონს აღარ ვარგივარ, შინაც უნდივარ აღარა,  
ისეც არა ვარ მოხუცი, ვეღარ დაფუკრა ნაღარა.

მესამეც ვაშკაცურად მოიღერებდა ყელს და დასძახებდა:

ჩამომქსენ, აჩიღ მეფეკ, ამს დაგიდებ ძალიანსა,  
მოკეწევი, ხმაღს შემოგვრავ, ისარს გესგრა შხამანსა!  
ჩაფარსა სულ დაგიფანტავ, აღიანს თუ ჩაღიანსა,  
ცხენ-ჯორებს დაგაურეუნიებ; ძუა-ნაღებ დაღიანსა!

ვინ არჩილ მეფეა, არა სჩანს; ხომ წარმართობი-სასაც ყოფილან ამ სახელით მეფენი, რომელნიც სულ საზღვრების ნაპირებზედ დავლა-აკლებით ცხოვრებდნენ თავიანთ ღღენი.

ეხლა მცირე-წლოვანი იწყებდა სამღურავს გულ-დაკლებით:

მთად თაფლად, ბარად ეინულად, გაღსვი და გამაშვი შინა,  
წახველ და არ წამიუვანე, მარტო გამაშვი მე შინა,  
რა კაა იყო წაგეუვანე, მომდგარა მტერა მე შინა,  
შენ მშვილდ-ისარი გესროლდა, მე ხმაღი წამამეშინა.

თქმა არის: ჯერ ნება არ ჰქონია მტერზედ საბრძოლად გასვლისა და გულადობა კი მოუთბენლობაში აგდებს, ემღურება უფროსებსა სახლში დატოვებისათვის.

ჩვენ მოკლედ გავივლით რაც უფრო შესანიშნია, არ შევალთ ყოველ წარმართულ ცრუ-მორწმუნეობათა



განხილვაში, რომელიც ჩემს უთქმელადაც ცხადდებოდა ქვირს მრავალგვარ მთიულეების ეხლანდელ ცუდ ჩვეულებებში. უფრო შესანიშნია, რომ თავიანთ თავს ფიცულობდნენ: ჩემმა მზემ, შენმა მზემ, იმისმა მზემ და სხვაც ერთად. მზის ხსენება ამტკიცებს, რომ ჩვენი წარმართი წინაპარნი მნათობთ მსახურნი ყოფილან, როგორც საჭოების შემდგომნი, ე. ი. ზეციერ მალალ ძალთა, ამას ამტკიცებს ბევრგან ძველებურ დაბებთ სასაფლაოების სახელები, რომ დღესაც საბუზარა სახელით იწოდებიან: ს. ხიზაბავრის საბუზარა რომ ცალკე გორა არის, დადეშის საბუზარა და ზადენ-გორის საბუზარა ვარხანის მახლობლად. მეორე: ჩემმა მზემ, ჩემმა სიცოცხლემ და ჩემმა დღემ, ნიშნავს კაცის საკუთარს არსობასა, რომელიც ხშირად დღესაც ხმარებულა ყოველგან ჩვენს საქართველო-სამესხეთოში.

როგორც ჰსჩანს, შვიდ-ფერობის დღეც წარმომდგარია მზის ბუნებითი შვიდ-ფეროვნებისაგან, რომელიც სჩანს ცის-სარტყელაში შემდგარი სხივების ფერებისაგან, ანუ ბრწყინვალე თლილ ჭიქებისა და ყინულის ჭვირებში შემდგარი მზის ფერებისაგან უფრო შვენიერად: სახელდ. ლურჯი ფერი, ცის-ფერი, სოსნის ფერი, ალის ფერი, ყვითელი, მწვანე და წითელი ფერი. ლურჯი ფერი ეკუთვნოდა კრონოსს, როგორც ღმერთების მამას, მოხუცს, მომასწავებელს დღეგრძელობისა და მრავალ ჟამიერის სიცოცხლისა. ცის-ფერი ეკუთვნის არმაზს, როგორც ცისა და ქვეყნის მპყრობელს, რომელიც არის ძლიერი, შვენიერი და შემკული სიწმიდით და სისუფთავით. სოსნის ფერი ეკუთვნის ჰერმესს, რომელიც არის ენა-პიროსნობის და მკვერ-მეტყველების ქალ-ღმერთი. ალის ფერი ეკუთვნის ათინას,

მეცნიერების ქალ-ღმერთს. ყვითელი ფერი აპულონს ეკუთვნის, როგორც მზის მატარებელს ეტლს, როგორც მოლექსობის და მესაკრაობის ქალ-ღმერთს. მწვანე ფერი ეკუთვნოდა არტემს, მონადირეობის და მხიარულების ქალ-ღმერთს, რომელსაც პრთავდნენ ხშირის ვარდ-ყვავილებითა. წითელი ფერი ეკუთვნოდა არისს, როგორც ბრძოლისა და გამარჯვების ქალ-ღმერთს; ისე დიდათ მიღებული ჰყოლიათ ჩვენ წარმართ წინაპართ ეს არისი თავიანთ გამარჯვებით მტრებზედ, რომ არსებად აუღიარებიათ.

ასრე შვიდ-ფერობის დღეს ჩვენი წარმართნი წინაპარნი დიდის ღვინ-სიხარულით ისტუმრებდნენ ძველ წელს და ახალ წელის მოლოდინით ნატრობდნენ თავიანთთვის დღეგრძელობასა, ტანმრთელობა-შვენიერებასა, ენა-პიროსნობასა, სწავლა-მეცნიერებასა, საქმე-ყოფაში გამჭირიანობასა, მხიარულება-მონადირეობასა და ომ-ბრძოლაში გამარჯვებასა.

ქრისტიანობის დროს უფრო გაბრწყინდა შვიდ-ფერობის დღე. რა სიმართლის დღე გამობრწყინდა და მოჰქონა თავის განმაცხოველებელი სხივნი მთელ ქვეყნის წარმართთა ქრისტიანობით, აღავსნა ყველანი სული წმიდის შვიდის მადლებითა: სიბრძნითა, გონიერებითა, მართლ-მსჯელობითა, სიმხნითა, მეცნიერებითა, ღვთის-მსახურებით და ღვთის შიშითა, — ამით იყვნენ გამსჭვალულნი ჩვენი წინაპარნი ქრისტიანნი და დიდის მადლობით ესალმებოდნენ ძველ წელსა; რადგან საშობოდ აღსარების თქმითა და ზიარების მიღებით ყველანი განწმენდილი იყვნენ, და წმინდა სინიდისით მოელოდნენ ახალ წლის ბედნიერ დღეებსა, ღვთის მოწყალებით აღვსილსა, თავიანთ დასამშვენებ-

ლად. როგორც ღმერთზედ მინდობილნი იყვნენ ღვთის მოშიშობით და ღვთის მსახურებით, ისეც ღმერთი იცევდა და იფარავდა მათ ყოველის განსაცდელისა და ბოროტისაგან.

ახლა კი წყევა-კრულვითა და გინებით ეთხოვებიან ჩვენი მწერალნი ძველ წელსა, და ახალს კარგის გულით და პირთამდის სავსე ცრუ იმედებით წინ ეგებებიან, მარტო ცარიელა სიტყვით და არა გულიანის მართალის საქმეებითა—რაც ცხადი ნიშანი არის ღვთის-მსახურებაზე გულაგორების და გაგრილებისა.

ბ). შესანიშნავი დღე არის ახალ-წელი, სახელწოდება იესო ქრისტე უფლისა; დილითვე ყველანი მხიარულის გულით იღვიძებენ, ბევრგან ჩვეულებად აქვსთ: სახლის პატრონი დედაა თუ მამა, ახალ წამომდგარს შვილებს თუ უმცროსთ უცეცხლო თათლში ჩაწებილ პურის ხევსს მიართმევენ და მიულოცავენ ყველას, ასე ტკბილად დაგვიბერდი კეთილის ცხოვრებითაო. გლეხები არა მარტო თავიანთ შვილებს, მსახურთ და მოახლეთ ასე მიულოცავენ ახალ წელსა, არამედ თავიანთ პირუტყვთ, ცხვარ-ძროხათა და შინაურ ფრინველთაც არ დაივიწყებენ—მხიარულის გულით მისცემენ სარჩო-საკენკსა და გულით დალოცავენ.

დილით პირველ აღგომისათანავე ცდილობენ ყოველნი ნათესავნი მოყვარე-მეგობარნი და მეზობელნი, ერთმა მეორეს დაასწრონ მილოცვა. შედის ყმაწვილი კაცი ან ყმაწვილი ქალი მისალოცავად მოსახლისა, აძღვეს ჯერ სალამს ასრე: ქებულ იყოს უფალი ჩვენი იესოს სახელი და ამბობს: შემოვდგი ფეხი, გწყალობდეს ღმერთი, ფეხი ჩემი და კვალი ანგელოზისაო და მიართმევენ ტკბილეულს საკვლეველსა ხილეულია-

ნად. სახლში დამხდომნიც დიდ მადლობას ეტყვიან, მოემშვიდობებიან და დასმენ პატივისცემით, მიართმევენ საკვლეველსა. ჩაატკბარუნებენ პირს ყოველ ნაირი ტკბილეულობით და ხილეულობით აუვსებენ უბე-ჯიბესა და ვგრედ გაისტუმრებენ. თუ სახლში სასძლო ვგულებათ, ან ნათლული და ან ნათლის-დედა, უკვლევენ ცალკე ოქროვებ ჩარჭობილს ვაშლსა ან ვეცხლის ფულებიანს რამე ხილსა, თურუნჯია თუ ნარინჯი, ან ბროწეული. თუ სახლში ვერ ნახეს თავიანთ გულის სტუმარი და ეკკლესიაში მოახერხეს, იქ მიართმევენ თავიანთ საკვლეველსა.

ლოცვა-წირვის მოსმენისას მღვდელი ულოცავს ერს ახალ წელსა, დალოცავს ყოველთა და ვგრე მოხარული ქალით კაცამდის მიდიანთ ავინთ სახლებში, უეჭველად მოყვრები მოყვრების წვეულნი არიან, მეგობრები მეგობრებისა და ნათესავნი ნათესავებისა. სოფლებში შვენიერად დაცულია მამა-პაპური ჩვეულებანი, ახლანდელი ქალაქ დაბების შემოსული ვეროპიული მსუბუქი მოდები ვერ შეედრებიან ადგილობრივს კეთილ წესიერებათა.

მაჰმადიან მესხებსაც კიდევ ახსოვსთ ქრისტიანული ჩვეულება--დღესასწაულები, ბევრგან წმიდად ასრულებენ შვიდ-ფერობა დღეს, ახალს წელსა და ბედობის დღესაცა. აწყვრის მაზრაში, ქვაბლიანისა, ხერთვისისა და კახეთის სოფლებში, სადაც ადგილობრივი მცხოვრებნი დაშთენილან, სადაც შერეული მაჰმადიანები არიან ქრისტიანების სოფლებში, დიდის თანაგრძნობით ულოცვენ ქრისტიანებსა და უკვლევენ ტკბილეულსა; ბევრნი ლხინსა, სიხარულსა და წვეულება თამაშობაშიდაც კი მონაწილეობას ღებულობენ. ოსმალოს შემდგომ რუსო-



ბისა ამ 40 წლის წინად ოშორელი მაჰმადიანები ხიზა-ბავრელებთან საშობაო ალილოზედ შეერთებულნი დადიოდნენ თურმე ქრისტიანების სოფლებში. ახლაც თურმე შვენიერად იციან სუფრული ქართული გალობანი და მოძახილი მაყრული.

გ) შესანიშნი ღღეა ბედობის ღღე, ახალ-წლის მეორე ღღე. ამ ღღეს ყოველი კაცი, ქალი, მოხუცებული, ბებერი, ზანტ-ზარმაცი თუ საპყარი, დიდი, პატარა სულ მოძრაობაში და საქმეში არიან, ამბობენ უსაქმურობა არ დაგვებედოსო. ერთმანერთს აგულიანებენ, მეტად ბრთხილობენ, რომ არავინ დასძრახონ, არც გაჰკიცხონ, პირითგან უპატიური სიტყვა არ წაიციდინონ, ბევრი არ ილაპარაკონ და არც იჩხუბონ რამეზედ. ერთი სიტყვით ყოველი თავშეკავებული კაცი თუ ქალი საქებურად ატარებს ბედობის ღღესა; თავშეუკავებელი ადამიანი ხომ სხვა არის: „ავი კაცი აღდგომასაც ავიაო“ — როგორც უთქვიან ჩვენთ წინაპართა.

ძველადგანვე ხმარებულია სვე-ბედი, რომელიც მოგვაგონებს სვეტს ბედთანა. თქმა არის, წარმართნი ბედის მომასწავებლად ქვის სვეტებს არქობდნენ; მართლაც ბედის ძეგლს თვალ-ახვეულს აკეთებდნენ წარმართნი, ხელთ ეპყრა თხის რქა უხვების ნიშნად და იღგა ფრთებიან ქვეყნის გუნდზედა. სწორედ ამისთანა არის ხიზაბავრისა ღ თოკის სოფელს შუა მდებარე ნასოფლარი წერუნტა (წერაყუნტა), აქ ღღესაც სჩანს მისთანა ქვა, თავ-პირ მომტვრეული, რომელიც ჩვენ წარმართ წინაპართ დიდ საწამებლად ჰქონიათ.

სვე-ბედი და წერა ერთი თქმა არის. სულ პირველად სვეტები თუ ბოდები უხმარიათ ბედ-იღბლის მომასწავებლად, რომ ყოველ გამარჯვების შემდგომ საქმელ სასმელს შესწირვიდნენ თურმე. ამისთანა ბოდები იყო დადგმული აბოცის მთაზედ, ბოდხევს რომ ღღესაც არის წმინდა კაეის კლდისაგან მოჭრილი, ს. დიღვირში ერთ საყენზედ მაღალი; ამ ნაირივე არიან ბევრგან როგორც ნიჯორის ქვაბებთან, ვანისა და სხვაც.

როცა მირდატ ევპატორმან გაიმარჯვა რომაელებზედ თავის სვე-ბედის სამადლობელად დაათაკრვინა სამ კუთხად შეშები, დაასხმჭვინა ზედ ღვინო, თაფლი, რძე, ერბო, საკმელი და სხვა-და-სხვა საქმელი, მიაცემინა ცეცხლი და დაიწვა მთელი თაკარა, რომლის ალი ასი მილის სიშორიდგან სჩანდაო, სწერს აპიანო.

ასეთ ბედ-იღბლის სვეტებს ეგვიპტელებიც ხმარობდნენ. სადაც გაემარჯვებოდათ, უთუოდ იმ ადგილას თავიანთ დადგმულ სვეტზედ გამოსახავდნენ დედაკაცის ასოს. და თუ ადგილობრივ მცხოვრებთ გაემარჯვებოდათ ეგვიპტელებზედ, მაშინ პირობით შეეკვროდნენ ძლიერ მცხოვრებთ, რომ მარტო გზა ჰქონოდათ მისვლა-მოსვლისა თავიანთ დაქერილ ქვეყნებისკენ და ამის ნიშნად ამართავდნენ ქვის სვეტსა და ზედ გამოაქანდაკებდნენ მამაკაცის ასოსა. სწორედ ამ ნაირი სვეტი დგას დღესაც ჯავახეთს, ახალქალაქის მახლობლად ს. მერჯახეთსა, ერთ საყენზედ მალალია.

ქრისტიანობის დროს კი აღარავითარი მნიშვნელობა აქვს სვე-ბედსა თუ კაცის წერასა,—ცარიელა სახელია. ყოველი კაცის ბედი, წარმატება მისავე ხელშია: გამრჯე, გამაცადი, გონება-ხსნილი, გამჭრიახი კაცი, მუდამ ბედნიერი იქმნება; ზანტი, ზარმაცი, მოზარული და უნადვლო კაცი მუდამ უბედურად იცოცხლებს და არსად მოეწყობა ხელი. საზოგადოდ ღვთის მოშიში, ღვთის მსახური კაცი თავის მოვალეობას ოჯახობას, საქმე-ყოფას არაოდეს არ უღალატებს, თავის გარჯის დაგვარ რასაც ღმერთი მისცემს სიმართლის გზით, მიიღებს კმაყოფილებით. არ ეგვანება ბევრის ავად თუ კარგად შემძენ, გაუმაძღარ მდიდართა, რომელნიც სააქაოსვე ჯოჯოხეთურ ტანჯვა-წვალებასა და მოუსვენრობაში ატარებენ თავიანთ უბედურ, უბადრუკ ცხოვრებასა; არც თავს არგიან, არც მონათესავეთ და არც ქვეყანასა. დღიურად მცხოვრები მუშა უკეთესად იცხოვრებს უფრო ანგაარი მდიდარისა.

## მართ-მართი მთავარი საზრუნავი.

ადამიანის ქვეყნად არსებობის თავი და თავი მი-  
ზანი რა უნდა იყოს—ამას ვერც ერთი ბრძენი, ვერც  
ერთი მეცნიერი ვერ გვიხსნის ისე, რომ ეს აღსნა  
ყველასათვის სარწმუნო და გარდაუვალი იყოს. ვისაც  
როგორ უნდა, ისე სწამს ეს. ვისაც როგორ უჭრის  
საკუთარი განვითარება, შეგნებულება და პირადი შე-  
ხედულება—ყველა იმას ადგია. ზოგი ნიადაგ უზენაესს  
რამეს ეტრფის, ზოგსაც წვრილმანებზე ფიქრსა და  
ოცნებაში ელევა თავისი დღე და წუთისოფელი, და  
ამ ორ უკიდურესობის ქდეებში არის მოთავსებული  
ის განსაკვიფრებელი აზრ-მიმართულების ნაირ-ნაირო-  
ბა, რომელიც მთელ დედამიწის ზურგზე იშვიათად იძ-  
ლევა ორ ადამიანს სავსებით ერთნაირად მოაზრესა და  
ერთი მიმართულების მიმდევარს. თვით ეს ნაირ-ნაი-  
რობა, რომელიც ბუნების ერთ-ერთ მთავარ კანონად  
არის დადგენილი, არ არის წუნ-დასადები, მაგრამ ესეც  
დროსა და საზოგადოებას გააჩნია... ის, რაც რიცხვ-  
მრავალ ქვეყანაში და ერში თავი-და-თავი საზრუნავია,  
პატარა ქვეყანაში და ერში სულ სხვანაირადაა მისა-  
თვალი!... რაც ერთში სასარგებლოა ღმრთისადაც—  
მეორეში ხან-და-ხან თავში-საცემი და საგლოვი გამო-

დის. კიდევ ამიტომ არის, რომ ხშირად პატარა ქვეყანაში და ერში უფრო მეტი წინდახედულება მართებს ადამიანს: მეტი სიბრთხილე უნდა სამუშაო ასპარეზის არჩევას და მეტი გამჭირახობაც საზოგადო მუშაობის წარმართვას,—რასაკვირველია, თუ ადამიანს საზოგადო კეთილდღეობა უღვივის გულში და არა მარტო პირადი, ცხოველური არსებობა. ამიტომაც ყოველთვის უნდა გვქონდეს გათვალისწინებული, თუ რა განსაკუთრებული მოთხოვნილება გვედება თანამედროვე ჩვენი ვითარებისაგან, და ეს უნდა დაედოს სარჩულად ყოველ ჩვენ საზრუნავსა და სამუშევარს.

თუ ეს პატარა შესავალი წაუვმძღვარეთ ჩვენს სათქმელს—ამით სრულიადაც არ ვაპირებთ რაიმეს საბოლოოდ გარდაწყვეტას. და არც ადამიანის არსებობის თავ-მიზანს შევებდავთ გამოსარკვევად. საზოგადოდაც ძნელი გარდასაწყვეტია ეს კითხვა და კერძოდ ქართველი ადამიანისათვის ხომ მით უფრო ძნელი და რთულია, იმ სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო, რაიც უკანასკნელმა ხანამ თავს დაგვატეხა... თუ რა უნდა იყოს ჩვენი მთავარი საზრუნავი—ამას ხომ მოკლედ თქმა არ მოეხერხება. ერთ-ერთ საზრუნავად კი ყველაფერი დაისახვის, რასაც ჩვენსა და ჩვენის საზოგადოების ცხოვრებაში რაიმე მნიშვნელობა მიუძღვის. ჩვენ არ ვეკუთნით მათ გუნდს, ვისაც მხოლოდ ერთი რაიმე აქვს დასახული და ყველას და ყველაფერს, რაც ზედგამოჭრით მათი მგვანე არ არის, უარყოფენ და უმნიშვნელოდ აღიარებენ. ბევრი რამ არის საჭირო საზოგადოებისათვის. გაკეთებული ვიკითხოთ, თორემ გასაკეთებელს ვინ მოსთვლის, რამდენია!... სამუშაო გზაც, საერთო მიზნისადმი მიმყვანი, მრავალნაირია ღ მუშაო-

ბაც მრავალ-ფეროვანი. და თუ საბოლოო, საწადელს შეესაბამება ადამიანის აღრჩეული მიმართულებაცა და საქმიანობაც, მაშინ ამაირი ვინმე დანარჩენთაგან საგმობი და ხელშესაშლელი არ უნდა იყოს, ჩვენის აზრით. ამისათვის არა გვეგონია, ვინმემ გაგვამტყუნოს, ან და აგვითვალწუნოს, თუ ჩვენც კერძოდ აგვირჩევია ერთ-ერთი ბილიკი, და მის მიყოლას სასწრაფო წერტილისაკენ თვალსაჩინო მნიშვნელობას ვუმიხებთ.

ბოდიშს ვიხდით სიტყვის გაგრძელებისათვის და პირდაპირ გადავალთ მაზედ, რაზედაც გვწადია ამ ჟამად სიტყვის ჩამოგდება, და რაც დიდ-მნიშვნელოვან საქმედ მიგვაჩნია ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის. ამით ახალი რაიმეს თქმას არ ვაპირებთ, მხოლოდ ერთ-ერთ კითხვას უნდა შევუვხოთ, რომელიც ყველასაგან მიყრუებული არის. ეგების ბევრს კიდევ უფიქრია ამ კითხვაზედ, შეიძლება მისი განხორციელება უნატრია, მაგრამ დღემდე კი ეს საქმე ოცნებად არის შთენილი, და როგორც ბევრი სხვა სასარგებლო რამე, ესეც ჩვეულებრივს წყვდიადს არის მიცემული. ჩვენ, რასაკვირველია, არც ეხლა ვოცნებობთ, რომ ჩვენი გახსენების შემდეგ ეს კითხვა ჩვეულებრივს ობს მოიცილის და განხორციელების გზას მიეახლება... საამისო მსწრაფლი გამოფხიზლება და მხნედ საქმის დაწყება—ან კი სადაური ჩვენი თვისებაა, რომ ეხლაც ამის იმედად ვიყოთ!?... მაგრამ მაინც ვიტყვით სათქმელს და შეიძლება ისედაც არ იყოს დაკნინებული ჩვენი ქვეყანა, რომ ათასში ერთს მაინც არ ჩააჩნდეს მესხი-ერებაში და არ დაეხაროს მცირეოდენი თანაგრძნობისა და, თუ შესაძლოა, დახმარების გაწვევაც.



ჩვენი უბედურება, სხვა ბევრთან ერთად, ისიცაა, რომ ჩვენ არავინ არ გვიცნობს. და უარესი უბედურება კი ის უფროა, რომ თვით ჩვენვე არ ვიცნობთ თავის თავს!... ამ სამწუხარო მოვლენას ისე შეჩვეული ვართ, რომ არც კი ვთაკილობთ ამას... თუ ვინმემ მეზობლის ამბავი არ იცის, და არც ცდილობს ახლობლების ვითარებას გაეცნოს—ეს ძალიან გასაკვირლად მიგვაჩნია. ამნაირ ადამიანს როგორღაც ათვალწუნებით ვუყურებთ და მის თვისება-ხასიეთსაც უცნაურობას ვეძახით. და თუ ვინმე ასეთსავე გულგრილობას იჩენს მთელი იმ საზოგადოებისა და ქვეყნისადმი, სადაც იგი დაბადებულგანვე ყოფილა და სადაც იგი უნდა დარჩეს მთელ თავის სიცოცხლეს—ამას მაინცა და მაინც წუნს არა ვსდებთ და არც გასაკიცხავს საქციელად ვსთვლით!... საზოგადოების წევრად რომ იყოს ადამიანი და ამავე დროს სრული უვიცი იყოს მისი ვითარების—ეს ჩვენ თითქოს ჩვეულებრივ მოვლენად მიგვაჩნია! თვითეული ქართველი მარტო კერძო ბედნიერების ძებნაშია, ამისათვის შრომობს და ზრუნავს დღე-ნიადაგ, და ამ ქდეს იგი ვერ გაშორებია: ვერ მისულა იმ ზენა საფეხურამდე, რომ თავისი კერძო ცხოვრება და მიზანი საზოგადოების საერთო მიზანს შეუფარდოს, ერის საზოგადო სიხარულში ჰპოვებდეს პირად სიხარულს და ერისავე საზოგადო მწუხარება მიაჩნდეს საკუთარ ტანჯვად. ყველაფერი ეს ჩვენთვის მხოლოდ შორით სატრფიალო ოცნებად გამხდარა, და სინამდვილე კი სულ სხვა სურათს გვაძლევს, ფრიად შემადონებელს და გულ-გასაგმირს... არა გვგონია, რომ სადმე დედამიწის ზურგზე მოიძებნებოდეს სხვა ერი ჩვენისთანა მარჯვე და ყოველმხრივად ხელშეწყობილი თავის თავის დავიწ-

ყებაში! სხვა არავინ გვეგულება ჩვენზედ უფრო ძველ  
დადრეკილი, გარემოების უზომოდ მორჩილი და მსწრაფლ  
ცვალებადი—ამაში ბადალი არა გვეყავს!... \* თითქოს,  
სხვა რამეში ჩვენ დამჩაგვრელს და გაძუნწებულს ბუ-  
ნებას, მარტო საამისოდ მოუცია ჩვენთვის სიუხვე და  
სიჯიუტე!...

ჩვენ თუ კი ვერ ვიცნობთ ჩვენ თავს, რა გასა-  
კვირალია, რომ უცხოეთს და უცხოეთელ ადამიანს  
სრულიადაც არ ვახსოვდეთ! და ასეც არის. მთელი  
ევროპა რომ შემოიაროს ქართველმა, ვერავის წაატყ-  
დება ისეთს, რომ საქართველოს და ქართველს იცნობ-  
დეს ცოტაოდნადაც არის მაინც. ძველ საქართველოს  
თუ იცნობენ ზოგიერთები და მასაც მხოლოდ ორიოდ-  
სამიოდე სიტყვით, თორემ თანამედროვესი ხომ არსე-  
ბობაც კი არ იციან. აქა-იქ, თითო-ორიოლა ღრმად  
განსწავლილი მეცნიერი თუ გვიცნობს—ეს ხომ ჩვეუ-  
ლებრივ მოვლენად არ არის მისათვალნი. განათლებული  
ევროპიელის საზოგადო ცნობიდან კი სავსებით აღმო-  
ხოცილი ვართ. ეს კი ჩვენთვის მეტად დასანანებელი  
უნდა იყოს! მეცნიერებას თავი მოაქვს და არაფრის  
დატოვება არა სურს შეუსწავლელად და გამოუკვლე-  
ველად. რა ძნელ მისადგომ კუნჭულებს არ მიუწია  
თავისის მკვლევარის თვლით, და ჩვენ კი არაფერი გვე-  
შველა! მართალია, ჩვენი ქვეყნის შესახებ ბევრი რამე

\*) რასაკვირველია, ჩვენ აქ მხოლოდ ამხარ კრებს ვგუ-  
დასხმობთ, რომელთაც ჩვენსავით ჰქონიათ და აქვსთ ისტო-  
რული წარსული, რომელთაც ენა, მწერლობა და სხვა წარსული  
ცხოვრების სკანსურად მოეპოვებათ და საერთო კატაბრიაბის  
ცხოვრებაშიდაც ასე თუ ისე წილ-დასაღები არიან.



იწერება, მაგრამ მარტო ისეთი ერი რომ გვიცნობდეს, რომლის ცნობას თუ უცნობელობას არავითარი მსოფლიო ფასი არა აქვს, და რომლის ენასაც და მეცნიერებას მეთაურობა არ მიუძღვის განათლებულ კაცობრიობაში—ეს ან კი რა სასარგებლოა ჩვენთვის? ევროპიულ ენებზე კი ამ ჟამად არაფერი საგულისხმო აღარ იწერება ჩვენ შესახებ. თითო-ორი მოგზაური თუ რამოდენიმე სტრიქონს გვიძღვის ხოლმე—ეს არის და ეს!... ისევ ყველა, ვისაც კი ჩვენი მხრის შესახებ რაიმე ცნობების შეტყობა სურს, ძველად გამოცემულ თხზულებებით სარგებლობს და ამით იკმაყოფილებს ცნობის-მოყვარეობას. ამნაირი თხზულებანი კი თუმცა საკმაოდ მოიძებნება ფრანგულსა, ინგლისურსა და გერმანულ ენებზე, მაგრამ მათი მოპოება არა თუ საყიდელად, წიგნთ-საცავებშიდაც კი საძნელო არის. რასაკვირველია, ზოგი მათში მეტად საყურადღებოა და მართლაც მეცნიერულად დაწერილი—ასეთია უმცირესი ნაწილი,—უმრავლესობა კი სუსტი კალმის ნაწარმოებს წარმოადგენს და მხოლოდ ნასესხებსა და უხერხულად გამოკრებილ მასალაზედ არის აგებული. მაგრამ, ასეა თუ ისე, თანამედროვენი მაინც ამ მასალით სარგებლობენ და ერთის შეცდომა მეორის გასამეორებლად ხდება. ამნაირად, ერთხელვე ფეხ-მოდგმული შეცდომა ყოველ სამეცნიერო წიგნში ანუ გამოკვლევაში ასევე ნაკლოვანად შედის, თუ კი სადმე თითო-ორი სტრიქონი დაუთმეს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის აღწერილობას. მერე ვინ არის ამაში დამნაშავე? რასაკვირველია პირველი ბრალი მას ედება, ვინაც სინიღისიერად არ იკვლევს საგანს, მის ყოველ მხრივად გაცნობას არ ცდილა ღვისაც თავის აჩქარებული კალმით





ერთხელვე რაიმე შემცდარი აზრი დაუსტამბავს ბრალი კი, თუმცა უფრო ნაკლები, მას ედება, ვინც ერთხელვე დაწერილს უტყუარ სინამდვილედ გულისხმობს და დამწერს ყველაფერში ერწმუნება. და მესამე ბრალი კი, ყველაზედ უფრო დიდი და შეუწყნარებელი, თვით ჩვენვე გვედება, რადგანაც არ ვცდილვართ გაგვეგო ის, რაც ჩვენზედ თქმულა უცხოეთში და არც ჯეროვანი პასუხი გაგვიცია! ასე განვლო ხანგრძლივმა დრომ და, თითქოს რომელიმე მოსპობილ ერზე იყოს ბაასიო—ჩვენი საკუთარი ხმა არსად არ გასულა, არსად არ დაძრულა და არც იძვრის, ვითომ და ცოცხლებში არც კი ვეროთ! რასაკვირველია, ჩვენ ბევრ რასმე დავსდებთ ბრალს: თუ გარემოებას, თუ ვეროპიულ ენების უცოდინარობას. მაგრამ, რაც უნდა თავი ვიმართლოთ, ისევ ჩვენი დაუდევნელობაა ამის მიზეზი. სხვა ხალხი იმ დროს კი არ უცდის: აბა, როდის მოვა ვინმე და გამოიკვლევს ჩვენ კუთხესო. იგი თვითონ კისრულობს ამ შრომას და აქვეყნებს მას ვეროპის მეცნიერთა საყურადღებოდ. ჩვენ არა თუ ვეროპიელთათვის არაფერს ვსტამბავთ, არამედ აქაც, კარზედ რომ მოგვადგეს ვინმე, ჩვეულებრივ შეყუჟულად ვართ და არც მივეკარებით ამგვარ პირთ, რომ დავაკვალიანოთ იგინი ჩვენი ქვეყნის დათვალიერებაში და საკმაოდ გავაცნოთ მათ ჩვენი მხარე. თუ თვითონ მოვიდა ჩვენს ოთახში—მართალია, გულზე ხელს არა ვპკრავთ, მაგრამ ჩვენი თუ კი, ძალიან ახლოსაც რომ იყოს იგი, არავითარ ყურადღებას არ ვაპყრობთ. ამიტომაც ჩვენში ჩამოსული უცხოელი მკვლევარი სულ სხვა, ჩვენთვის გარეშეპირებს, უვარდება ხელში. ესენი კი სარგებლობენ ამგვარი შემთხვევით, ხშირად თავის გუ-

ლის წყრომას, ჩვენზედ უსაფუძვლოდ მოზღვავებულს, საზღვარს ვერ დაუდებენ და ბევრს უსამართლო რამესაც წარმოსთქვამენ ხოლმე ჩვენ შესახებ. (ამის მაგალითებს ჩვენ მერე დავინახავთ, როდესაც დაწვრილებით მოვიხსენებთ ზოგიერთ ცნობებს, რომელიც უცხო ენებზე გამოსულა ჩვენ შესახებ). რომ კიდევაც არ სურდესთ განზრახ რაიმეს გადასხვაფერება, შეცდომებს მაინც ვერ აიშორებენ, რადგანაც ან კი საიდგან უნდა იცნობდნენ ჩვენ ვითარებას! მარტო ის ხომ არ არის საკმარისი, რომ ჩვენში ნამყოფი იყონ! განა ცოტა არის, რომ საქართველოში იბადება, აქვე ბერდება, მაგრამ სრულებით კი არ იცნობს ამ კუთხეს? მარტო წვრილმან მხარეს რომ იცნობდეს კაცი ჩვენი ცხოვრებისას—ამას ხომ საფუძვლიან ცნობას ვერ ვეტყვიტ!...

არა და, რა ჰქნას უცხოელმა ჩვენში ჩამოსვლისას!? ვის მიმართოს, რომ გაიადვილოს ჩვენი ქვეყნის დათვალიერება და შესწავლა? ჩვენ ხშირად გვაუწყებენ ხოლმე გაზეთები—ესა და ეს მეცნიერი მოღის ჩვენში სამოგზაუროდო, მაგრამ არასოდეს არ გვსმენია: ქართველობა როგორ დახვედრია, და ან რანაირად დახმარებია ამ მკვლევარს თავის სამეცნიერო მიზნის მისაღწევად. შემთხვევით თუ შეხვდება ვინმე მეცნიერი ჩვენების კრებულს, მაშინაც მხოლოდ ლხინითა და სუფრის სიუხვით—მხოლოდ კუჭის დღესასწაულობით, მივგებებივართ, თითქოს და ამით დიდად თავ-მოსაწონ რამეს ჩავდიოდეთ!... დანარჩენი რამე კი: ჩვენი სულიერი ავლა-დიდება, ჩვენი ქვეყნის ავ-კარგი და სხვა არსებითი თვისებები,—რაიც ყოველ ერს აძლევს თავის საკუთარს სახეს—ყოველივე ეს იღუმალებით მოცული რჩება. ამიტომაც, მთლად რომ გადავავლოთ თვალი მას,

რაც კი ჩვენ შესახებ დაწერილა ევროპაში—<sup>ქველ</sup>ფერს ნახავს კაცი ჩვენ შესახებ და არა ამ მთავარ მხარეს ჩვენის ცხოვრებისას. ამით წყვლიად წყვლიადივე ემატება და დასასრულ, ჩვენი ცნობა ევროპიელების მიერ, ისევე უცნობელობას უახლოვდება.

სურვილი კი ჩვენი გაცნობის და შესწავლის ძალიან ბევრს ჰქონია და ბევრსაც აქვს. ძალიან ადვილადაც იბადება ეს სურვილი. სულ მცირეოდენ ცნობებსაც რომ მოჰკრას შეგნებულმა ევროპიელმა ყური ჩვენ შესახებ, მსწრაფლად ეღვიძება ცნობის-მოყვარება: იგი მაშინათვე მიმართავს საენციკლოპედიო თხზულებებს, ჯერ ამით გაირკვევს რამოდენიმე ცნობას და მერე ცალკე თხზულებების ძებნასაც შეუდგება ამავე საგნის შესახებ. ამნაირად ირჯება იგი ყოველი სხვა ახალი კითხვის შესახებაც,—ეს ძირითადი ჩვეულებაა განვითარებული ევროპიელის, ეს მისი ცოცხალი გონების უსუსპიროესი მოთხოვნილებაა. ვისაც უნდა ჩამოუგდოთ ლაპარაკი ჩვენ ვინაობაზე, რომ კიდევაც არავითარი ცნობა ჰქონდეს ჩვენი წარსულისა და აწმყოს, მაინც მეტისმეტი ყურადღებითა და თანაგრძნობით ისმენენ ჩვენს ამბავს. ბაასის დასასრულს დაგეკითხებათ: „აბა რომელ წიგნს მირჩევთ ისეთს, რომ მასში მოთავსებული იყოს დახასიათება საქართველოს, მისი წარსულიცა და აწმყოც. მართალია, ზოგიერთი წიგნები მეც გამიგონია, მაგრამ სრული და უტყუარი რომ იქნეს—ასეთი რამე ამომიჩიეთ“—ო... რა უნდა გასცეს აღამიანმა ამის საპასუხოდ? ვისაც პირადად არ გამოუცდია, იგი ვერ წარმოიდგენს, თუ რამდენად გულის დამწყვეტია ამისთანა კითხვაზე მხრების აჩჩით უარის თქმა!... მრავალ წიგნებში ერთსაც ვერ შეხვდება კაცი

იმნაირად შედგენილს, რომ საამისოდ გამოადგეს მკითხველს, ვერც ფრანგულ თხზულებებში, ვერც ინგლისურში და ვერც გერმანულში, თუმცა მათი რიცხვი ორასს აღემატება. ამნაირად რჩება ადამიანი ისევ იმ მცირე ცნობების ამარად, რომელიც სხვა-და-სხვა ენციკლოპედიურ თხზულებებშია მოკლედ მოთაესებული და ბევრის შეცდომებითაც აღსავსე. (ამის დამამტკიცებელ მაგალითებსაც მერე განვუზიარებთ მკითხველს).

ეს ასეა და ასეც იქნება, სანამ თვით ჩვენვე არ ვეცდებით საკუთარის შრომითა და ზრუნვით ამ მივიწყებული მოვალეობის გაძლოლას. მით უფრო საჭიროდ უნდა მიგვაჩნდეს ეს, რადგანაც სულ მცირეოდენი რამ გამოქვეყნებული ცნობაც კი საკმარისია ხშირად, რომ ამან ევროპიელს სურვილი აღუძრას ჩვენი ქვეყნის შესწავლისა და გამოკვლევის. ამის მაგალითები ძალიან ბევრია. ყველაზედ უფრო განსაცვიფრებელი ჩვენი დაუვიწყარი ბროსსეს მაგალითია. ბ-ნს მარი ბროსსეს, ჟ. სენ-მარტენის თხზულების ზოგიერთმა ადგილებმა, და ერთმა მოკლე მიმოხილვამ გერმანულ ენაზე გამოსული თხზულებისამ—აღუძრეს ქართული ენის შესწავლის სურვილი. რიგიანი ანბანიც კი არა ჰქონია, ქართულ დაბადებაში და ბერძნულში საკუთარი სახელების პირველი ასოს ერთმანერთთან

\*) ორი წიგნი უკვე იყო ამ დროს ქართული ანბანისა:

1) წმ. პრაპეტანდის მიერ დასტამბული ქართული ანბანი ლოცვანათურთ 1629 წლ. და 2) ფრ. მარ. მაჯიას ქართული დრამატიკა და სიტყვარი, 1643 წ., ორივე რომში დასტამბული, მაგრამ ბროსსეს ამით ვერ უსარგებლნია.



შედარებით გაურკვევია მას ჩვენი ენის პირველი ცნობანი. ამნაირ რთულ მუშაობას არ დაერიდა იგი და მართლაც მიაღწია თავის მიზანს, რითაც დაუფასებელი ღვაწლი დასდო ჩვენ ისტორიასა და არქეოლოგიის კვლევა-ძიებას!

თუმცა ნაკლებად გვიცნობს ევროპიელი, მაგრამ ყველა, საქართველოზე ბაასის დროს რაღაც თანაგრძნობით იმსჯვალემა ჩვენდამი. ეს გრძნობა ცხადად გასჭვირს მის სიტყვასა და ყურადღებაში. ერთის სიტყვით, თამამად შეგვიძლია აღვიაროთ, არ ვეკუთვნით იმ ერებს, რომელთა ხსენებაზედაც რაღაც უსიამო გრძნობა ებადება ევროპიელს და ვისდამიც რაღაც უნდობლობის გრძნობით იმსჯვალემა თითქმის ყველა. არიან საყოველთაოდ ამნაირად ცნობილი ერნი —საბედნიეროდ, ჩვენ მათ რიცხვში არა გვაქვს ადგილი! მით უფრო დასაშურებელია ვისარგებლოთ ამით და არ გავაქარწყლოთ ეს გრძნობა ჩვენის მიჯინებულის დაუდევნელობითა და ხმის-გამოუღებლობით...

ნებას ვითხოვთ მკითხველისაგან, მოვიხსენოთ აქ ერთი პატივცემული პროფესორის ზოგიერთი სიტყვები, ნალაპარაკევი ამ სტრიქონების დამწერთან. (ეს პროფესორი არის „კოლლეჟ დე ფრანს“-ში და ცნობილი ისტორიკოსად ითვლება აზიის შესახებ. მისი თხზულება: „აზიის ისტორიის შესავალი“ თვალსაჩინო ნაწარმოებად არის აღიარებული მეცნიერებაში). — „როგორც მოსპეციალედ, აზიის ისტორიას ვმუშაობ, და გულახდილად უნდა ვითხრათ, რომ თქვენი მხარე ერთ-ერთ საიშვიათო და შვენიერ მხარედ ჩავარდება. დიადია თქვენი წარსული, თქვენი ისტორიული ღვაწლი... სამწუხაროდ, თვით საქართველოში არ შემხვედრია ყოფ-

ნა. აზიის მრავალი კუთხე დამივლია, თვით დაღესტ-  
ნამდე ავსულვარ, მაგრამ საქართველო კი უნახავი დამრჩა,  
აქარის სამხრეთ-დასავლ. ნაწილსა და ლაზისტანს გარდა.  
მაგრამ, მერწმუნეთ, საკმაოდ ვიცნობ ამ ძვირფასს კუთ-  
ხეს. სულითა და გულით მსურველი ვარ თქვენი ბედ-  
ნიერების... დიახ, დიადია თქვენი წარსული... ცოდვა  
არის, ეხლა ისე მივიწყებული იყოთ, როგორც თქვენა  
ხართ! დიდი შეცდომაა ევროპის ამნაირი ყურადღების  
მიუქცევლობა! დიდი შეცდომაა ევროპის კულტურისაც,  
რომელიც ხშირად ვითომ დახმარებას უწევს რომელი-  
მე ერს, მაგრამ მის განსაკუთრებულ თვისებებს კი  
სპობს და თვითარსს სახეს უკარგავს. იმის დანაცვლად,  
რომ შეარჩინოს იგი და ხელიც შეუწყოს მის დაცვასა  
და შენახვას!.. ეს არ არის კულტურის, წინ-მსვლელო-  
ბის დანიშნულება!.. ასეთი უზნეური რამ კაცობრიობის  
გონიერ ნაწილს არ შეშვენის, ეს მის სიტლანქეს მოწ-  
მობს და არა დაწინაურებას!.. სულითა და გულით  
მნატვრელი ვარ თქვენი ბედნიერების და გთხოვთ, თუ  
კი რამეში გამოგადგებათ ჩემი დახმარება—სასამსახუ-  
როდ მიიღოთ ჩემი თავი! რა ვუყოთ, რომ ხნიერი ვარ,  
ქალარა კაცს მუშაობას არ დაუშლის!.. დიდის სია-  
მოვნებით შევუდგებოდი ქართული ენის შესწავლასაც,  
რომ ამით უფრო გამოგდგომოდით, მაგრამ, ეს  
ორი თვეა, რაც აღბანურ ენას შევუდექი.  
მათ ზოგიერთ რამეში დახმარება მოხოვეს, და მათი  
ენის უცოდინარი ხომ იმდენს ვერას გამოვად-  
გებოდი! თქვენ რომ შეგხვედროდით სამი თვის წინად,  
ეხლა ქართულის შესწავლა დაწყილი მექნებოდა... მა-  
ინც, რითაც და როგორც შემეძლება, თავს არ დავი-  
ზოგავ... თქვენც, მომუშავე გუნდმა ქართველობისამ,

უნდა მოგვაწოდოთ ყოველგვარი ცნობანი, — რაც მეტად სასარგებლო იქნება თქვენთვისაც და მეცნიერებისთვისაც... ამით გაათავა მოხუცმა ქაბუკურის გატაცებით მოლაპარაკემ, — მე კი ვეხარებებოდი ასეთ ქალარას და მხოლოდ ოცნებაში დავეძებდი მის მიერ დასახელებულ „მომუშავე გუნდს ქართველებისას“.

დასასრულ, რომ მეტად არ შევაწუხოთ მკითხველის ყურადღება, მოკლედ გავიმეორებთ უმთავრესს აზრს ამ წერილისას:

1) უნდა გავითავალისწინოთ, რაც რამე მასალა მოიძიებნება ევროპულ ენებზე ჩვენ შესახებ. ვაგულისხმობ, რაც საგულისხმოა, გავცეთ ზისუხა მას, რაც შემდგარაა, ზედ ღურთობთ, რაც აკლია, და ასე მივაწოდოთ იქაურ მკითხველს;

2) უნდა შევიმოუშავოთ ქართული ენის შესასწავლად სახელმძღვანელოები: ქართულ-ფრანგული, ქართულ-ინგლისური და ქართულ-გერმანული; აზნაირავე ლექსიკონები, თუ ვრცელი არა, მკლე შეიანც;

3) უნდა გადმოითარგმნოს ქართულად, რაც რამ საგულისხმოა სხვა ენებზე, და გადაითარგმნოს ევროპულ ენებზე, რაც კი საყურადღებო რამ გვაბადა;

4) უნდა ვაქნაიოთ ერთ-ერთი ჟურნალი ევროპულ ენაზე, შორად ცნობების მიმწვდომი.

## სოფელი ქურთა

და

იმის მადამოება \*).

ს. ქურთა არის გორის მაზრაში დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირს, შვიდი ვერსის მანძილზე დაბა ცხინვალიდგან. სამხრეთით საზღვრავს მას და მის მამულებს მუმლის ხევი, რომელიც ზემო აჩაბეთს ჩამოუდის გვერდზედ; აღმოსავლეთით დიდი ლიახვი, ჩრდილოეთით ს. კეხვის მიჯნა და დასავლეთით თირის მონასტრის მიჯნა. ქურთა თავის სახნავ-სათესით იქნება დაახლოვებით ხუთი კვადრატი (ჩორსო) ვერსი, თითქმის თანასწორის სიგძისა და სიგანის. ქურთა სძევს დაცემულ ვაკე ადგილას, ლიახვიდგან გამოყვანილ რუს ორივე ნაპირას. სცხოვრობს 49 კომლი გლეხი და 7 კომლი თავადი მაჩაბელი. რუს სისწვრივ მისდევს სამხედრო ოსეთის გზა. მდებარეობასა ჰყოფს ნარუალი ყაიბულა

---

\*) „კრებული“-ს რედაქცია უკუღიათადკეს მადლობას უძღვნის ბ. ალექსანდრე დავითას ძეს მახაბედს ,,სოფელი ქურთა და იმის მადამოებას“ აწერისა და აქვე შეკრებულ ზეპარგადმოცემებას მოწოდებისათვის. სწორეთ ისე შეუდგენას, როგორც ჩვენა ზრავრამმა საზოგადოდ მოითხოვს. რედ.



ორ ნაწილად, მის აღმოსავლეთით ვაკე დაცემულ ადგილსა, დასავლეთით კი ორ ტერასიან ფერდობს. უმეტესი სახნავე-სათესი ადგილი ქურთელებისა ამ ფერდობებზეა. ეს ფერდობი იღრანტება სამ ალაგას ხევებითა. ყველაზე უდიდესი ხევი ბრმა ხევაა, რომელსაც სათავე უძევს ძარის კლდესთან. ეს სახნავე, (უმეტეს ნაწილს ლუდათი ჰქვია) ახალი გატეხილი მამულია; თხუთმეტი წლის წინად სახერხი ხეები იჭრებოდა, ახლა კი აქა-იქ შეხვდებით მარტო ჯირკვებს, ასე მოისპო იქ ტყეები. მეტად ნაყოფიერი შავი მიწაა; თითქმის ნახევარ არშინის სისქეთ აძევს შავი მიწა. ვაკე ადგილი კი ლამისაგან შესდგება და ნაკლები სისუქნე აქვს, მშვიერი ლაძია. ეს ადგილი წარმოადგენს უწინდელ ლიახვის ძირსა, მაგრამ ლიახვი აღმოსავლეთისკენ მისწოლია და ეს ადგილი დაუტოვებია.

ჰავა, მიუხედავად იმისა, რომ შედარებით ზღვის მდებარეობასთან მეტად მაღლა სძევს და უმთავრესი კავკასიონის მთა-გრეხილი მუდმივი თოვლით თავს დაჰყურებს, მეტად ზომიერია. აქ ზამთარში სიცივე არ იცის; 15<sup>0</sup> სიცივე დიდი იშვიათია. ზაფხული გრილია, აქაური დიდი სიცხე ერთი თვეა: მკათათვის ნახევრიდგან მარიაშობის თვის თხუთმეტამდე. სუფთა და გრილი ჰაერი ხელს უწყობს სალიანობას. ახლო-მახლოს არსად დამპალი ქაობები და წყლები არ მოიპოვებიან. მარტო ერთ ალაგს ორი დღის ადგილია სველი და გვალაზი. დიდი ქარები იშვიათი მოვლენაა, მხოლოდ გამაცოცხლებელი დილის ნიავე ზეკარა, რომელიც კავკასიონის მთებიდგან უბერავს და ზაფხულის ქვენაქარი ამოდრავებს აქაურ ჰაერს და ბუნებას; მაგრამ ესენიც მუდმივ არ უბერავენ, ბევრჯერ კვირის-კვირობამდე



გასანიავებელი ხვაი ჰყრია კალოზე უქარობით. დასავლეთის მხრიდგან მოჰქრის „იმერულა“, რომელსაც სინოტიე და ავდარი მოაქვს აქა. ეს ქარი ასე ხშირად არა ჰქროდა, სანამ ტყეები გაიჩეხებოდა. ეხლა კი ხშირად ჰქრის გაზაფხულზე და ნამეტნავად შემოდგომით. აღმოსავლეთის მხრიდგან, რაკი მთა აფარია, მყუდროა.

სოფელშია ერთი ქვითკირის ეკკლესია წმ. გიორგის სახელზე აგებული და ერთიც ხის, დაქცეული მთავარ-ანგელოზის ეკკლესია. აქვეა ოთხ-კუთხიანი ხუთსართულიანი მაღალი კოშკი, ჯერ ისევ მთელია და ურთხლის კოქები აქვს გაყრილი. მცხოვრებლების უმეტესობა ნაოსრები არიან, რომელნიც დიდი ხანი არ არის, რაც მოსულან, მესამე თაობანი არიან: კაჭაშვილები, ჯიოშვილები, ცხოვრებაშვილები, თითირაშვილი, ელბაქიძე, ყოჩიშვილები დი სხვა. არიან რაჭიდგან გადმოსახლებულებიც: ხაჭაპურიძეები და მაისურაძეები, ჯოხაძე. მხოლოდ ადრინდელ დროიდგანვე ბასიშვილები არიან მკვიდრი მცხოვრებნი; ესენი და მაჩაბლები ერთ დროს არიან მოსულნი. ერთმანერთთან განწყობით ცხოვრობენ. მახვილი გონების ხალხია. მისდევენ ხენა-თესვას, მებაღეობას, მევენახობას და მებოსტნეობას—თითქმის სულ თავიანთ საქიროების გულისთვის. თუმცა რთვილი ბევრჯერ ისრიმს მოასწრებს ხოლმე და ვენახს დაუშწიფებელს სტოვებს, მაინც ბეჯითად მისდევენ მევენახეობას. ეხლა ძალიან ამრავლებენ ვენახებს. უვენახო არავინ არის. ხილის ბაღებში მთელი სოფელი ჩამალულია, მაგრამ ის ძველები დაბერდნენ და ახალი ხილის გაშენებას უფრო ბეჯითად ეკიდება ხალხი. ასე მსწრაფლ არსად არ იზრდება ხილი;

არავითარი გაპატიება არ უნდა ხილისათვის გამზად-  
ბულ ადგილს. იმისთანა დიდი ვაშლისა და კაკლის ხე-  
ები იზრდება, რომ თითო ძირზე ურემი, ურემ ნახევარი  
ნაყოფი ჩამოდის. მაინც აქაური უმთავრესი ნაწარმო-  
ები ხილია. უმეტესობა აქაური ხილისა რუსეთში მი-  
დის. ხილის ვაჭრობა მეტი წილი პატრონების ხელშია,  
სხვისგანაც ყიდულობენ და ჰყიდიან. აქაური ადგილო-  
ბრივი ვაშლი განთქმულია: აბილაური, თურაშაული,  
კიტრა, თეთრი სირმა და სხვა, დიდხანს ინახება. შავი  
მსხალიც საზამთროა; საზაფხულო ხილი: გულაბი, საენ-  
კენიო, სასელო ქლიავი, ქანჭური და სხვა მრავალია.  
თუთის ხეებიც ბევრი იყო, მაგრამ რაკი ქვის მოყვანას  
თავი გაანებეს, ისიც თან-და-თან მოისპო. საქონელი  
უსაძოვრობის გამო, მცირეა. ამ ცოტა ხანში ფუტკ-  
რის მოშენებას მიჰყვეს ხელი. კაცები დიდი გამრჯე-  
ლები არიან, ქალები მინდორში არა მუშაობენ, გარდა  
უპატრონოებისა. მათი საქმე სახლშია, მაგრამ არც აქ  
ვარგან, უსუფთაოდ აქვსთ შენახული სახლ-კარი. ტა-  
ნისამოსის დაკვრება არ იციან; რაკი ერთს ჩაიცმენ,  
ეგ არის, სულ ფარატინებათ ჩამოცვივათ. კაცები იც-  
მენ სხვილი შალის ჩოხებს, ერედვული და ოსური  
შალისას, მეტი წილი თეთრსა. ახალუხი, განიერი შარ-  
ვალი, ჩითის პერანგი წინდა-პაიჭი-ქალამანი შეადგენს  
მათ ჩაცმა-დახურვას.

სახლები მუხისა აქვსთ; შესდგება დარბაზიდგან,  
თავის გვირგვინით და დერეფან-ბოსლიდგან და მარნი-  
დგან. პურს გოდრებში და ბელლებში ინახვენ.

დაღონებული ხალხია. დიდიც და პატარაც თვის  
გაქირვებას გრძნობს და ნაღვლობს; მოხუცებულები  
უფრო მხიარულები არიან, თუნდ დიდ ქირ-გამოვლი-

ლებიც იყვნენ. მარტო ყველიერში იციან ბავშვებსა  
თამაში. სხვა დროს არა სცალიანთ, საზოგადოთ თით-  
ქო ეთაკილებათ თამაშობა. მათ გასართობ თამაშს  
შეადგენს წყვილ-პანტობია, ჩალიჩი და ზედადგრობა,  
ძვირათ ბურთის და რიკის თამაში.

ქორწილი სამ დღეს იციან, ძალიანაც თვრებიან;  
არ იღლებიან ამ სამ დღეს არც სმითა და არც სიმ-  
ღერით; სიკვდილზე დიდი ხარჯი იციან, უვალოდ  
არავინ გადარჩება. კვირა-უქმეს წმინდათ ვერ ინახვენ,  
მხოლოდ პარასკეობით გუთანს არ შეაბმენ, მიწას არ  
სძვრენ, ქარ-სეტყვის უქმეაო. დიდ დღესასწაულებს  
გულ-გრილად ეგებებიან. ეკლესიაში სიარული არ  
უყვარსთ, მხოლოდ საკვირაძლოებს რომ მიიტანენ საყ-  
დარში, მაშინ დასალოცათ დაპატიყებენ ერთმანერთს.  
ქურდობა სძულთ.

შესანიშნავია უწინდელი ნარქალი ყაიბულა, რომელიც უხსოვარ დროში ყოფილა ამ რუს შემწეობით  
გაყვანილი წყალი დიდი ღიახვიდგან, კეხვის თავში.  
რუს დასრულებამდის დღესაც შვენივრად ეტყობა რუს  
კალაპოტი. იგი გაივლიდა ს. ქეხეს, ქურთას და აჩაბეთს  
სერ-სერ, მერმე კი თამარაშენ-დგვრისის მინდორს,  
გადუხვევდა ტბეთისკენ. და აქედგან ირწყოდა წუნარის  
მიდამო, (ნაწისქვილარი ეხლაც ეტყობა, აქედან ფრო-  
ნეში ჩადიოდა) ჩაჰყავდათ ყვავის საყდარასთან, (ნასოფ-  
ლარია) და სალთვისის, ტახტიძირისა და დირბის მინ-  
დორი ირწყოდა. ეხლა კი ეს უშველებელი ალაგი  
ურწყავია! ეჭლანდელ რუს, რომელიც ქურთას ჩამო-  
დის, ათი ნაბიჯით ქვეით აქვს სათავე ყაიბულადგან.  
ღიახვმა დაბლა დაიწია; უწინ ამ ყაიბულაზე იყო გა-  
შენებული სოფლები, რომლებიც მწკრივად მისდევ-

დნენ მის პირებს და მალეობ ადგილებზე იდგნენ, ეხლაც კარგად ეტყობა ნასახლარები, ნაოხარი ქვევრები და სხვა. მაშინდელი ბალები ჯერაც არიან, მაგალითად: ბასიშვილები მდგარან ბალებში; ისინი აყრილან შემდეგი უბედურის შემთხვევისა გამო: შობა დღე იყო, შვიდი ძმა ბასიშვილი თავიანთ ცოლშვილით გულიანათ შეექცეოდნენ სამხარს, ვახშამიც ზედ მოაბეს, რასაკვირველია ღვინოც ბევრი დალიეს, სთქვეს, ამაღამ მაინც რიგიანად მოვისვენოთო, მგონი არავინ გატყვრეს ამ სიცივეშიო. მაგრამ, როცა მაგრად დაიძინეს, უცბად დაესხნენ ლეკები, შვიდ ძმას ყელები დასჭრეს, და ცოლ-შვილი ტყვედ წაასხეს. ერთი კვამლი და დარჩენილიყო, აიყარა და ძირს ჩამოვიდა. უწინ მათი მეზობლები იყვნენ: (ეხლა აღარა სცხოვრობენ იქა) ხაბარლები, ნეკაშვილები, გაგნიძეები, კერესელიძე, ყანაძე და სხვები, ესენი მწკრივად იყვნენ დასახლებულნი ყაიბულაზე. ეხლანდელი მცხოვრებნი თითქმის სამ-ოთხ წელიწადში არიან ერთად დასახლებული. ხაქაპურიძე გადმოვარდნილა რაქიდან შემდეგი შემთხვევისა გამო: ბატონი მისულა ღვინის წამოსაღებად, უჩვენებიათ ერთი ქვევრი, არ მოსწონებია, მეორე—არც ისა, მესამე—არც ისა; მერე აუხდიათ ოც კოკიანი ქვევრი, და, რომ ჩაუხედნია შიგ მათ ბატონს, აუწევიათ, თავდაყირა ჩაუგდიათ შიგა, დაუხურავთ ზევიდგან, და გამოქცეულან და ყანაძის მამულზე დასახლებულან. ორნი ძმანი ყოფილან, ეხლა მესამე თაობა იცვლება და ექვსი კომლია.

საზოგადოთ ცხინვალის ხეობაში ნახევარზე მეტი ახალი მოსული ხალხია: ან ნაოსრები არიან, ან რაქველები. ამიტომ ძველი ამბავი ნაკლებად იციან. მეფე-

ებზე არც კი რამე ისმის, მხოლოდ „აი უწინ რომ  
ნეფობა ყოფილაო“—ასე ამბობენ ხოლმე. ლიახვის  
მარცხენა ნაპირს მცხოვრებნი უფრო დიდი ხნის მო-  
სახლევები არიან. აქ ისევ იმ ძველ ხასიათ-ჩვეულებიანს  
ხალხს ნახავთ.

ქურთაში შემდეგი სახელები ჰქვიანთ მიწებს: ლუ-  
დათი, ნახევარი ქურთის მამულია, დასავლეთის მხრივ.  
იფნიანი, ნასისხლი მიწა, გოგილას მიწა, გალაფანი.  
ციხე-გალაფანი ყოფილა, ნანგრევები მოსჩანს; სათიხე,  
ლეკიჯვარი, აქ მალეობ ადგილს ორი მუხა დგას, ამა-  
ზე დიდი ხის ჯვარი აყუდია, რომელიც მიუყუდებია  
მაისურაძე ლეკსა, ლეკების ტყვეობიდან განთავისუფ-  
ლების შემდეგ.

ქურთის გარშემო შესანიშნავი ადგილები: თირის  
მონასტერი, აგებულია, როგორც ამბობენ, თამარ მე-  
ფის დროს. გრძელია, საბძღურად დახურული საგან-  
გებო ლომფინით, მთლად თლილი ქვისა, მრავალის  
წარწერებით და მშვენიერის ჩუქურთმებით; მთელია,  
წინ უდგია გუმბათიანი, ორ-ძგიდე სამრეკლო. კლდე-  
ში საბეროებია. სოფელი თირი შესანიშნავია მრავალის  
ხილითა და საუცხოო მდებარეობით, სახაზინოა. სცხოვ-  
რებენ მარტო ზოზიაშვილები.

აბო წმინდა, სამხრეთ-დასავლეთის მხრივ ქურთიდ-  
გან, ნასოფლარია, წმინდა აბოს დაქცეული საყდარია;  
სცხოვრობდნენ მელაძეები (ეხლა ძლევიჯვარში დგანან)  
ხაბარლები, და სხვანი. ზემო აჩაბეთი, შესანიშნავია  
ძველი ციხე-გალაფნით; მის გარშემო მიწებში მრავალ  
ისრების პირებს ჰპოულობდნენ ხოლმე. ს. კეხვი, სულ  
ქართველები დგანან, ახალი ჩამოსული არავინ არის;  
სახაზინოა, შესანიშნავია ხეხილითა და ძველი ციხე-

სიმაგრეებით, აქ არის კეხვის ციხე, შიგ კეხვის ყელში აშენებული მთაზე; ხალხის სიტყვით აუშენებია გორგა მეფეს (ალბათ ვახტანგ-გორგასლანს), დაუყენებია თოფხად ბლიაძე და ერთიც კახნიაშვილი. (რაკი კახნიაშვილი და ბლიაძე თოფხად დააყენეს, უთხრეს, თუ გინდათ ბატონისგან გაგანთავისუფლებთო, მაგრამ არ ინდომეს, ბატონი გვირჩევნიაო). ამ ციხეს კარგა ღრმა ხევი, კეხურა ჩამოუდის; ამ ხეობაში შესანიშნავია სახიზნი ადგილები. აგებულია ტყეში დედა-ღვთის ეკლესია; მის გარშემო ნასოფლარია, დიდი ქვითკირის გალავნის ნანგრევები მოსჩანს; მის პირდაპირ გაღმა ნანგრევია, საბეროს ეძახიან. ამ ტყეში სახნავ მიწების სამზღვარ სირონები ეტყობა. უწინ მთელი კეხვისა და თირის მთა საძოვარი ყოფილა, ჩრდილი მხოლოდ ერთ ალაგს იყო; სადაც პატარძლის რცხილას ეძახიან, იქ სწველიდნენ საქონელს პატარძლებიო. ეხლა ის რცხილა აღარ არის, მის ბაღლად სხვა ამოსულა. კიხვის ციხის ჩრდილოეთ მხარეს არის პატარა ეკლესია, დედა-ღვთისის ნიში; იქ მუხაზე მრავალი საქონლის რკალებია ჩამოკიდული. მცხოვრებთ რწმუნება აქვსთ, ძროხას ან მაწოვარ ქალს რომ რძე გაუშრება, უნდა რკალი შეიბას, ილოცოს იქა, და რძე მოუვაო. ლოცვის შემდეგ რკალები იქა რჩება.

ციხის სამხრეთ-დასავლეთის მხარეს კიდევ ერთი ნანგრევი ეკლესიაა. მისი დღეობა აღდგომას მოდის; შვენიერ მაღალ ადგილას არის აშენებული, აყრილ ტყეში, და ძირს ღრმად კეხურა მიშხუის. საუცხოო წყალ-ვარდნილია კეხურაზე. საყდარს უკან სახელოვანი თავის გემრიელი წყლით „ასმათას წყაროა“, უფრო ხევი. შიგ კეხვშია ეკლესია და კოშკი; კოშკს ძირი

აქვს გამოთხრილი, ამბობენ ლიახვს უდენია ძირში და გამოუთხრიაო. შესანიშნავია იქვე თავის სიღიადით კეხვის კაკალი. შუა ალაგას ღერო თორმეტი არშინის სისხოა ირგვლივ, ძირს და ზევით მომეტებული. ორი უხარმაზარი ტოტი ამაყად ჰაერშია გატყორცნილი; ერთი, (მესამე) მოტეხილი. (აქნობამდის ამ კაკალზე ბალი ხარობდა, ჰკრეფდენ ხოლმე, მერე კი მოსჭრეს: ხეზე ხე არ ვარგაო). დიდი ციხეა ამ ხეობაშივე, ქემერტისა, კიდევ არის ქურთის გასწვრივ გალავანი ლიახვის პირზე. მტერი რომ შემოვიდოდა ცხინვალის მხრიდან, მაშინ ცხინვალიდგან საყვირს (ბუკს) დააყვირებდენ, ან გძელი თოფი ყოფილა ციხის, იმას გაისროდნენ; მიაწვდიდა ხმას ზემო აჩაბეთსა, მერე იქ გაისროდნენ თოფსა, იქიდან გაღმა ლიახვის პირს გაიგონებდნენ; მერე იქ, იქილგან კეხვის ციხილგან გაისროდნენ და მერე ქემერტიდგან—ეს ნიშანი იყო მტრის შემოსევისა, მთელი ხეობა დახიზნავდა ხიზანს და საომრად შეიკრიბებოდა ერთად.

ქვეწარმავალი, მფრინველი, ოთხფეხი ცხოველი, მცენარე და სხვა თავისებური არა იცის რა, რაც სხვა კუთხეში მოიპოვება, აქაც ის არის ირმისა და მშვლის გარდა. ამ ოცდა ათის წლის წინად კი ესეც ყოფილა.





## ისტორიული მასალა.

### ყბა-თეთრი მეტრეველი. \*)

#### ბატონას ეროგულება.

იასე და გოგია მაჩაბელი დააბეზლა ბარძიმ მაჩაბელმა მეფესთან, (მგონი ერეკლესთან) რომ ესენი უბირებენ თავიანთი ქალი იმერეთის მეფის შვილს მიათხოვონ, მერმე ქართლში გაამეფონ და თავისი ქალი გაადედლოფლონო. ამაზე ჩამოართვეს ყმა და მამული იასეს და გოგიას, გამოგზავნეს ამილახვარი მდივანი, რომ ხალხი დაეფიცებინა ბატონის ორგულობაზე, რომ სამსახური აღარ გაეწიათ. მოვიდა ამილახვარი ხეითში, არავინ დახვდა. ავიდა ძარწემს, ვერც იქ იპოვა კაცი. მოვიდა სვერსა და ეს ერთი ყბა-თეთრი მეტრეველი იპოვა; უთხრა: უნდა ჯვარზედ და სახარებაზე დაიფიცო, რომ მაჩაბლებს ყმა და მამული ჩამოერთვა და მეფის ერთგული უნდა იყო. ყბა-თეთრმა მეტრეველმა აიღო ხელი და სთქვა: „მაგ ჯვარის და სახარების მადლმა ამომწყვიტოს, თუ მე მაჩაბელს ორგულობა გაეუწიო როდისმეო“.

\*) მამა აეო იმ გიორგი მეტრეველისა, რომელიც ქემურ-ტელემს ელჩად გაუგზავნეს, რუსის ჯარა რომ კახეთში შემოვიდა.

ამილახორს გაუკვირდა ასეთი საქციელი, შესთათხა, მაგრამ არ იქნა. მერე გაატიტვლებინა, წაუსვა თათლი და მზეზე მიაკვრევინა ხეზედ. ის ეუბნებოდა, გინდა მამკალით, არ დავიფიცავო. რომ შეწუხდა ძალიან, უთხრა: „ამიშვით, უნდა დავიფიცო“. აუშვეს, აიღო ხელი და დაიფიცა: „ამ ჯვარისა და სახარების მადლი მრისხავდეს, თუ მაჩაბელს მე ორგულობა გავუწიო როდისმეო“. გაუკვირდა დიდათ და გაბრაზებულმა სთქვა: „ამ მაჩაბელმა რა გიყოთ ისეთი, რომ მაგრე თავ-გადაკლულები ხართ მაგათთვის; ჯერ არის და ერთი კაცი ვერ ვიპოვე სოფლებში, მერე ეს ვიპოვე და ესეც ასე მიჰქარავსო“. მას უკან მოკითხული ქნეს, ყველა დაბეზღება სიცრუე აღმოჩნდა, და ისევ ყმა და მამული უკან დაუბრუნდათ. ამ ხეობაში ყმა-თეთრი მეტრეველი და მისი შვილი გიორგი პირველი კაცები იყვნენ.

### ამირანი და ამბრი.

(ს. ქემურტში გავრჩილი მ. ჟუჟიაშვილისაგან).

ერთი გმირი იყო, სახელად ამბრი ერქვა, მეტად ღონიერი რამ იყო, მისი ქება ცამდის იყო ასული; ჯერ არავინ გამოჩენილიყო ამბრის დამძალავი. მასთან შებმა და მისი ვაშკაცობის გამოცდა ამირანს ენატრებოდა, მაგრამ ვერსად შეხვდა. გავიდა რამდენიმე ხანი, ამბრი გზაში მოკვდა. დაუდეს ურემზე როგორც იყო მახლობელმა ხალხმა ამბრი და წამოიღეს სახლში დასთან. დამ რა გაიგო ძმის სიკვდილი, გამოეგება. პატა-

რაობას აქეთ აღარ ენახა თავისი ძმა, მისი გმირობა კი გაგონილი ჰქონდა. რომ მივიდა და მიუტირა, საცდელად ცალი ფეხი ძირს ჩამოუღო; ფეხმა სიმძიმით მიწა მოხნა. ამ დროს ამირანი შემოეყარა წინ. ამბრის დამუთხრა: „მაღლია შენთვის, ასწიე ეს ფეხი და გაუსწორეო“. ამირანმა ასწია, მაგრამ ვერ მოერია, რომ ფეხი ურემზე შეედო. მაშინ ამბრის დამ გაუსწორა ფეხი და ამირანს ასე უპასუხა:

ამირისა მზემა, ამირან,  
შენ ამირსა ვერ ედარება,  
ცოცხალსა სთხოვდი მუქარას,  
მკვდარსაც ვერ დაედარება!...

### ყაჩალი ივანე ქვრივიშვილი.

(მისგანვე გავიხილი)

ერთი ყაჩალი იყო, ივანე ქვრივიშვილს ეძახდნენ, იმის დედას იმის მეტი არავინაჰყავდა. განებივრებულმა შვილმა ყაჩალობა დაიწყო. ანანურს ზემოთ გზაში ჩასაფრებული იყო. ამ დროს მოდიოდა ხევსური თავის ცოლით. ივანე წინ გაუდგა; ეუბნებოდა: „მე ივანე ქვრივიშვილი ვარ, შენი ცოლი მე უნდა დამანებო“. ხევსურმა უთხრა: „კაცო, თავი დამანებე, შენ თუ ივანე ხარ, მე ხევსური ლეგა ვარო“. ამოიღო ორი აბაზი და უთხრა: „ამაზე მეტი არა მაქვს რა, აჰა წაიღე“. მაგრამ ივანე არ ეშვებოდა; ბოლოს ხმალზე მიდგა საქმე. ლეგამ აჯობა, მოჰკლა, არ შეარცხვინა არც იმისი და არც თავისი ვაშკაცობა, გაუშალა ქვეშ ივანეს

ნაბადი, დაწვინა, ზევიდგან თავისი ნაბადი დახურა, და წამოვიდა დუშეთში შეატყობინა. გაიგო საბრალლო ივანეს დედამ და იტირა:

დედამ შესტირა დუშეთს:

„ლეკავ, რად გამატყალებ?“

— „რას ამბობ, დედავ, რას ამბობ,

ივანე დაგოჭკვავანე,—

ვადღაე არი ამაზი,

„დამესხენ, ჩემო ივანე“.

ჩემსას მოხადდა დიაცსა,

თავისიც კავუტიალე,

ახანურა და დუშეთა

სულ თავქვე ჩავაგრიალე“.

### ბატონი და უჩია, მისი ყმა.

(იქვე გავიხილო)

ბატონი თავის ყმა ურიით მიდიოდნენ გზასა, გზაზე წყალი დახვდათ გასასვლელი. ხიდი არსად იყო. ბატონმა უბრძანა:

— „შედი წყალი დაფონე.

— არა შენი კირიმე, მე ბატონის წინ როგორ წავდგამ ფეხსა, არა ჩემი რჯულის მადლმა, მე წინ წასვლას ვერ გავბედავო.

ბატონი წყალში შევიდა, წყალმა წააქცია და თავ-  
ქვე წაიღო. ურიას აქეთ-იქით უყვიროდნენ; — „შენი  
ბატონი გამოიყვანე, იხრჩობაო.“



— „ბატონი, თავის ნებაა, თუ უნდა გამობრუნდეს, დება თუნდ არაო, და თუნდ მალლა იზამს ფეხს თუნდა დაბლაო!..“

## პურის მარცვალი.

(მეწიქვილის ნამობა)

არაკი

ერთ სახელმწიფოში იპოვეს ვარიის კვერცხის ოდენი პურის მარცვალი, გაუკვირდათ ყველას. მიუტანეს თავიანთ ხელმწიფეს; ხელმწიფეც დიდათ გაოცდა, ამოდენა პურის მარცვლის მნახველი არ იყო. გაგზავნა თავის კაცები, უთხრა: იპოვეთ ვინმე, იქნება იცოდეს თუ რამ მოიყვანა ამ სისხო პურიო. იარეს ბევრი, შემოიარეს ის სახელმწიფო, ამერე, მესამე, მაგრამ, ვერც მცოდნე კაცი იპოვეს, და ვერც მომსწრე. ბოლოს გაასწავლეს: ამა და ამ სახელმწიფოში სცხოვრობს სამი ძმა კაცი, იმათი ხნისა ქვაც აღარა გორავს, თუ ეცოდინებათ, იმათ ეცოდინებათო. წავიდნენ, მივიდნენ იმ სახელმწიფოში, სადაც ის სამი ძმა კაცი ცხოვრობდა. შევიდნენ სულ უმცროსი ძმის სახლში; ისე დაბერებულიყო, რომ სიბერისაგან ხავსი მოჰკიდებოდა და სოკოები ამოსვლოდა სახეზედ. აჩვენეს ეს პურის მარცვალი, ჰკითხეს: მომსწრე ხომ არა ხარ, რამ გაზარდა ამოდენიო? მაგრამ იმან მიუგო; „მე არც მომსწრე ვარ, და არც გამიგია რამე, წადით, აგერ იქ ჩემი უფროსი ძმა დგას და იმასა ჰკითხეთო“. ესენი წავიდნენ, მივიდნენ იმისას, ის უარესი დაბერებუ-

ლი იყო. ვერც იმან უთხრა რამე და თავის უფროს ძმასთან გაასწავლა. უფროსთან რომ მივიდნენ, დერეფანში ტახტი იდგა და იქ ეძინა. იმისთანა შავი თმა და წვერ-ულვაში ჰქონდა, როგორც გიშერი, ჯერ ერთი ქალარაც არ გამოჩნებოდა და არც სახე დაღმეჭოდა. ცოლი გამოეგება, ჰკითხა ვინაობა ზე რა უნდოდათ, იმათ მიუგეს, გვინდა ვკითხოთ რამეო. ცოლმა გაღვიძება ვერ გაბედა, ჩაიცვა ქოშები და ბაკა-ბუკით გაიარა გამოიარა მძინარის გვერდით. კაცს ფეხის ხმაზე გამოეღვიძა, წამოდგა—რას მალვიძებ, რა გინდაო? ცოლმა მიუგო: „ხელმწიფის გამოგზავნილი კაცები გეახლნენ, საკითხავი აქვსთ რამეო“. მოჰკითხა ცოლს სარკე, ჩაიხედა, გააქნია თავი და სთქვა: „ჩემს უნებურად რაკი გამომეღვიძა, ერთი ბეწვი გამითეთრდაო“. ბოლოს მიუბრუნდა ამ კაცებს და უთხრა: „რა საკითხავი გაქვსთ, რად გარჯილნართო?“ ამათ აჩვენეს ეს პურის მარცვალი, და ჰკითხეს: „მომსწრე კაცი ხარ, გვითხარ რამ მოიყვანა ამსისხო პურიო?“ ამან დახედა და სთქვა: მე მზა ვაშკაცი ვიყავ, გუთანს ვეჭიდე, როცა ეს პური მოვიდა; რომ დავთესეთ, მაისის თვეში ამინდმა ხელი შეუწყო, ლამე წვიმდა სულ მუდამ და დღე დარი იდგა. არც ავდარმა გალახა და არც კაი დარმა, მაშინ მოვიდა ეს პური. წისქვილმა რომ ველარ დაფქვა, სხვა წისქვილები შემოვიღეთ და ისე ვფქვავდითო“. ამათ მადლი უთხრეს და წამოვიდნენ, გზაში იფიქრეს: ბიქოს, რატომ ის კი აღარ ვკითხეთ, თუ ის ორი უმცროსი ისე დაბერებულნიყვნენ, ეს უფროსი კი რატომ არაო; იმას არა ეტყობოდა რა სიბერისა, მოდი, წავიდეთ ვკითხოთო. გამოტრიალდნენ, მივიდნენ. ამ კაცმა უთხრა: „რა იყო, რალად დაბრუნდითო?“—„არათფერი,



ქართული  
ლიბრეოთეკა

შენი ჭირიმე, გვინდა გკითხოთ, რა მიზეზია, რომ უფრო ახალ-გაზდა ჩანხარ შენს უმცროსს ძმებზედო?“  
— „ოჰ, ნეტავ არ გეკითხათ, მაგრამ რადგან მკითხეთ გეტყვიო!— მაგათ, მაგ ჩემს ძმებს ვერ შეხვდით შესაფერი ცოლები, სულ ქმრების წინააღმდეგ საქმეს ჩადიან, სულ უსიამოვნება აქვსთ, და ჯავრმა გასტეხა და დააბერაო; მე კი ჩემი მორჩილი და მოსიყვარულე ცოლი შემხვდა, ჩემს უსიამოვნოს არას ჩაიდენს, ავ სიტყვას არას მეტყვის, თვალსა და წარბში მიყურებს, აცა რა ესიამოვნებაო. ვცხოვრობთ ტკბილად და არა ვბერდებიო. აი ეხლა ეს ერთხელ ჩემს უნებურად გამომეღვიძა და აგერ ერთი ქალარა გამომერიოა“. მადლი უთხრეს, და წამოვიდნენ თავის ქვეყანაში კაცები.

### ცხრა კაცის მკვლელი.

(არაჯი ქურთაშა ვაკონაღა)

იყო ერთი ბოროტი კაცი, სულ ერთ-თავად დოყზე იღვა ყველასთან და ეჩხუბებოდა; იმას ცრა კაცი შემოაკვდა, მეთესთან მოუვიდა ჩხუბი, ამის მოკვლაც დააპირა. მოვიდნენ ხალხი დასაჭერათ, გაექცა, გამოუდგნენ. ეს კაცი ბილიკს გაჰყვა, რომელიც ყანაში შედიოდა. შევარდა ყანაში ამ ბილიკით, უნდა გავარდნილიყო საითმე, მაგრამ ბილიკი სწყდებოდა და გზა აღარ იყო, ყანის გადათქელა არ ინდომა და გაჩერდა; მივიდნენ, დაიჭირეს და საპყრობილეში ჩააგდეს. გადაუწყვიტეს დახრჩობა, გამართეს სახრჩობელა, მიიყვანეს ეს კაცი და გააყოფინეს თოკში თავი. როცა ხელი ჰკრეს ჩამოსახრჩობად, უცბად ამოვიდა ორი ქვავი,

ერთი აქეთ ფეხში მიეცა, მეორე იქით და ძირს აღარ დაუშვა, რომ დამხრჩვალყო, — ყველას გაუკვირდათ. მოსჭრეს ქვაებში, მაგრამ კიდევ სხვა ამოვიდა და ფეხებში მიებჯინა, კვლავ მოსჭრეს, — კიდევ, არ დაუშვეს ქვაებმა დასახრჩობათ. სუყველას გაუკვირდათ, იკითხეს რა ამბავია, რა სასწაულიაო? კაცის მკვლელმა უამბო, რომ რაკი ყანა არ გავთქელე, და მუშა-კაცის მარჯვენის ნამუშევარი არ წავახდინე, იმისი მადლი მეწევაო. ადგნენ შერე, ყველა დანაშაული აპატიეს და გაუშვეს.

### ქველმეზური ლექსები და ამბები.

(შ. ჟიჟინაშვილისგან ნათქვამი. ს. ქურთაში ჩაწერილი).

#### სუფრულა.

გვიბძანე ჩვენო ბატონო,  
გახლავართ თქვენი ყმანია,  
თქვენი მტრის სისხლში მრავალჯერ  
ჩვენ ხელი დაგვიბანია,  
მებრძოლეს თქვენსა ძლიერსა  
გავაყრვენით თავია,  
მოვღვაროთ სისხლი მღვარავი,  
ზღვაშია შესართავია.



### ე უ რ შ ა.

ყურშა გავგზავნე სანადიროთა,  
ნადირს მოველი სასადილოთა,  
ჩემო ყურშაო, ყორნისა ლეკვო,  
შენ რომ კურდღელსა ყეფით მისდევდი,  
კლდისა სოროსა ფეხითა სთხრიდი!  
ყურშას ნახტომი დიდი მინდორი  
და ნაფეხური კალოს ოდენი.

### ხ ე გ უ რ ა.

მეჭკრეს ქსნის ხეველთ პირობა:  
ჩვენ ვიყვნენ გულნი ძმანია,  
ჩვენ დავსვათ ჩვენთვის ხემწიფე,  
გარს შემოვარტყათ ხმალია,  
ჩავუხტეთ მუხრან-ბატონსა,  
თავს დავაქციოთ ბანია!

ასე სთქვა მუხრან ბატონმა:  
კაცის სიცოცხლე რა არი,  
ვინც რომ ჭადი-ჯვარს მოკვდება,  
მისთვის სამოთხე მზა არი! \*)

---

\*) ს. ჭადი-ჯვარზე ჭქთანაათ ჩხუბი ქსნელების მუხრან ბატონთან, და მას ამ ლექსით თავისი უმანი გაუმხსნევებია, თუმცა კი ჭადი-ჯვარი წართმევია.

## ნადარბაზეველა გლეხა.

ნადარბაზევეში მდგარა ერთი გაკეთებული გლეხი. მას სწევვია მეფე ამალით; კარგა დახვედრია მეფეს და ამაღას. ღამე სუყველასთვის ცალ-ცალკე ლოგინი გაუშლია, ორი ერთად არავინ დაუწვენია, სუყველასთვის მდიდარი ლოგინი დაუტია. მეფე ნასიამოვნები დარჩენილა და უბძანებია: „თუ გინდა აზნაურობას გიბოძებო“, იმ გლეხს ასე მოუხსენებია:

„განა არ მოგეხსენება, —  
კვერნაკი დიდი მთა არი,  
ძმა და ძმის წული ცხვარში მყავს  
მოშალავათე სხვა არი,  
შე დალოცვილო, ბატონო,  
აზნაურობა რა არი,  
ათასს სულს ცხვარსა მოგართმევ,  
ვითომ ჩებიჩი თხა არი“.

სამაჩაბლოს ლეკები შემოესიენ, დამარცხებულნი გაიქცნენ და თავის ქვეყანაში სამაჩაბლოს ხალხი ასე შეაქეს:

ცხინვალისთანა ხეობა  
არსად იქნება, ვალო,  
შუაზე მოსდით ლიახვი,  
გალმა-გამოდმა ქალო,  
ბიჭი გამოდის მისთანა,  
დალისტნის ლეკისთანაო.

რას ვაქნევ ბარის ქვეყნებსა,  
ქურდსა და ყაზახიანსა,

ვერ ნახვენ ხმელ შეშას თვალით  
ცეცხლს დააყრიან წივასა,  
დიდი ლიახვის ბიჭები,  
ირემს ჰგავს ქორ-ბუდიანსა.

### ქართველი ბაჭა.

(ლექსი)

ქართველი ბიჭი მივდივარ,  
ცოლი მიმყავდა ძმისასა,  
წინ ერთი კაცი დამიხვდა,  
ის უბედური დღისასა,  
პური მთხოვა და ვაჭამე,  
ვურჩევდი ქაბაბისასა,  
ღვინო მთხოვა და ვასმევდი,  
ვურჩევდი ბადაგისასა,  
ხორცი მთხოვა და ვაჭამე  
ვურჩევდი კაკაბისასა,  
ცოლი მთხოვა და ვერ მივე,  
ჩემი ვარჩიე სხვისასა!  
არ დაიშალა, აკოცა  
ნაწნავსა გიშრის თმისასა...  
მაშინ შესტირა ლამაზმა:  
—ვაი უღონო ქმრისასა!  
ჩემ ლეკურს ხელი გავიკარ,  
წვერი უწია ქვიშასა,  
ერთი იმანაც გადმომკრა,  
რისხვასა ჰგავდა ღვთისასა,  
აქეთ მე მოვკვდი,—იქით ის,  
ცოლი წავიდა სხვისასა.

## ქარციხის თებრუ ივანე.

ყურშას ეძახდნენ სანადირო ძაღლს. არის ერთ-  
ნაირი ყორანი, რომელიც ორ კვერცხს დასდებს; რომ  
გამოიჩეკება, ერთისაგან ყორანი გამოდის, მეორისაგან  
ძაღლის ლეკვი, რომელსაც ყურშა ჰქვია. რაკი ნა-  
ხავს, რომ ლეკვი მას არა ჰგავს, აიღებს და გადმოაგ-  
დებს. ვინც იპოვის და გაზღის, საუცხოვო მონადირე  
ძაღლი გამოდის, რომელსაც არაფერი ნადირი არ გა-  
მოეპარება. ერთი ამგვარი ლეკვი გაზარდა მონადირემ  
ქარციხის თებრუ ივანემ.

ივანე დადიოდა სანადიროთ თავის ყურშათი, და  
თან ორი კვირის საგზალი პური მიჰქონდა ხოლმე.  
ერთხელ წავიდა სანადიროთ, დაისვენა ერთ მთის წვერ-  
ზე, ამ დროს იძრა მიწა და გარეშემო შემოერღვა და  
შემოეცალა იგი; ეს ივანე კი თავის ყურშათი შერჩა ამ  
მთას უვნებლად. გასასვლელი გზა არსად იყო, შერჩნენ  
ერთათ ამ უდაბურს ადგილს, მშველელი არსაიდან  
სჩანდა, არც ჩამოსვლა და არც გადმოხტომა არ შეიძლებო-  
და. გაუთავდათ საგზალი, და დაიმშენ. გაჯავრებულმა  
ივანემ ყურშას შესძახა:

შეჰყეფე, ყურშავ, ტიალო,  
შენ, შავი პატრონისაო!  
ან გაიგონებს მეცხვარე,  
ან მონადირე მთისაო,  
მთასა ვკიდევარ ფეხითა,  
ფურ-ბეწვის ქალამნითაო!



შეჰყეფა ყურშამ საზარლად დიდის ხმითა, არავინ მოეშველა. რა გაჭირდა საქმე შიმშილითა, ყურშამ ანიშნა პატრონს: მე დამკალ და შემქამეო, ეგებ მანამ მოვიდეს ვინმე და გიშველოსო. ივანემ შორს დაიჭირა, მაგრამ სული ტკბილია, ძალიან რომ მოშივდა, დაიწყო ტირილი, გამოეთხოვა ყურშას, დაკლა, დაკვესა ცეცხლი, დაამტვრია მშვილდ-ისარი, დაანთო ცეცხლი, შესწვა და შესქამა. რაკი ლა ივანემ ამოდენა ხანი დაიგვიანა, და სახლში აღარ დაბრუნდა, ძმა წავიდა საძებნელად. ბოლოს იპოვა მთაზე შერჩენილი თავისი ძმა და შეუძახა:

ივანე, ქვარციხის თებრუ,  
შენ მონადირე მთისაო!  
შენი შვილდი და ბოძალი  
დევ-გმირთა დამადნობელი...  
— შვილდიცა დაწვი, ბოძალიც,  
ცეცხლი დავანთე ისრისა,  
დავქკალ ყურშა და შეევქამე,  
ვაიმე, წამწყმედს მე ისა!  
— გადმოხტი თუ გადმოხტები,  
შე უბედური დღისაო!...

მაშინ შექამა მიწა, ისკუპა ივანემ, გადმოჰყვა კლდე-ლოდი და დაიმსხვრა ერთიანად, დაუდეს საკაცეზედ მკვდარი, წაიღეს სახლში და ძმამ რძალს შესტირა:

ივანე რომ გადმოფრინდა,  
ვით შავარდენი ცისაო,  
იმას რომ ლოდი დაეცა,  
დეენი ვერ აუდგებოდა,  
სისხლისა ნაგუბარზედა  
ზედ ნავი მოკურდებოდა!

ივანე დამარხეს ყველამ დიდის გლოვითა.

### ლექსა ზოგაერთ მდინარეზედ.

ყოველის წყლისა ბატონი,  
მტკვარი არის ხემწიფენი,  
არაგვს ხელი გადახვია,  
შენ იყავ ძმობილი ჩემი,  
შენ მოიტანე შამფური,  
მე მომაქვს სამწვადე ბევრი.

ამილახვრიანთ მეჯუდას,  
ქვა მოაქვს და რიყე ბევრი,  
ისეთი მოიკლაკნება,  
როგორც მარიობის გველი,  
მოგლიჯა ერთი საყდარი,  
შიგ სწირავდა ორი მღვდელი,  
უკან მისდევს დიაკვანი,  
ჯერ წირვა გვაქვს მოსასმენი.

### სოლომონ ბრძნის ამბება.

სოლომონ ბრძენს ცოლი გაექცა, რომელსაც თავისივე მწყემსი შეეყვარებინა და იმას დასდევდა. შემოვიდა ერთ დღეს მწყემსი სოლომონ ბრძენთან და ნახა სოლომონი მწარედ დალონებული და მომტირალე. მწყემსმა თაყვანი-სცა და მოახსენა: „რა იყო, ბატონო, რამ დაგაღონა“?—რალა რამ დამაღონა, კაცს ერთი ცოლი ჰყავდეს და ისიც გაექცეს, მაშ რა იქნებაო?

— რა დაგემართა, შე დალოცვილო, მეფე ვიყო, მაგოდენი სიმდიდრე მქონდეს და ვერ მოვიყვანო?

— აჰა, ეს სიმდიდრე და ყოველი უფლება, თუ მოიყვან, მომიყვანეო.

— ძალიან კარგი, უთხრა მწყემსმა.

დააწვრინა ნების ქალღმერთი ყველგან მგზავრობის; ვითომ და ვაჭარიც არის, შეაბმევიანა ურმები, ჩაჯდა შიგ, თანაც ბევრი ფული წაიღო და, რასაკვირველია, ვაჭრულად ჩაიცვა და წავიდა სოლომონ ბრძნის ცოლის სამშობლოსკენ. იმ დროს მისი ცოლი იქ იმყოფებოდა. დაიჭირა მოჯამაგირე ნოქრები, მისცა ერთიორი ფასი სამოჯამაგირო, მიუსია სოფელ-ქალაქებსა და რაც შინაური ფრინველი იყო, სულ აყიდვინა. ყველაში გადაქარბებულ ფასს აძლევდა. უკვირდა ყველას, თუ რად უნდოდა ამოდენა წვრილ-ფეხი. გაიგო ეს სოლომონის ცოლმაც და დაიბარა ეს ვაჭარი მწყემსი. მან ვაჭრულად ჩაიცვა ახალ-ახალი ტანისამოსი და ეახლა. სოლომონის ცოლმა ვერ იცნო. მერე ჰკითხა:

— რა კაცი ხარ შენაო?

— რა კაცი უნდა ვიყო? აი, ჩემი ქალღმერთი მოგახსენებსო—ამოიღო და აჩვენა.

— არა, მითხარ ისე, ვინა ხარ, ვისი კაცი ხარო?

— რახან მკითხავ, მოგახსენებ: მე გახლავარ სოლომონ ბრძნის ყმა.

— მერე და რად გინდა ამდენი ფრინველი?

— როგორ თუ რად მინდა! სოლომონს ცოლი გაექცა, ახლა სხვაზე ქორწილდება, მე აქ გამომგზავნა, და რამდენი კიდევ სხვაგან არიან გაგზავნილები, რე ყიდულობენ ფრინველს საქორწილოდაო.

მაშინ შური აიღო სოლომონის ცოლმა და სთქვა:

„აბა, რასაკვირველია, სხვას არ გავახარებ ჩემ სოლო-  
მონზედღაო“; დაჰკრა ფეხი, და ვინემ ეს ვაჰარი მწყემსი  
მივიღოდა, ეს ქალი უწინ მივიდა სოლომონთან, მიე-  
სალმა და ერთმანერთს აკოცეს.

მოვიდა მწყემსი, რომელსაც მწყემსურად ჩობანი  
და გულა ექირა ხელში. დაინახა სოლომონმა, შეიყვანა  
ოთახში, გადაეხვია და აკოცა.

მერე ჰკითხა: „კაცო, რად ხარ შენ მაგისტანა,  
როგორ მოახერხე ეგ საქმე?“

მან ყოველივე უამბო.

სოლომონმა უბრძანა: „მე უნდა გაგამდიდროო“.

— არა, შენი ჭირიმე, სიმდიდრე ღვთის ნებაა, არ  
მინდა, ტყვილად შენ ხაზინას დააკლებ და მე კი იმი-  
თი ვერ გამამდიდრებო.

— წადი შენ შინა, უბრძანა სოლომონმა და თან  
ვირის საპალნეები გააყოლა თვალ-მარგალიტით და  
ყოველივე სიმდიდრით დატვირთული. მიდიან ეს მწყემს-  
სი და მეფის გაგზავნილი ვირების წამყვანი კაცები.  
ამოვარდა უცბათ ქარი, დაუშინა წვიმა, მოვარდა ნია-  
ღვარი და ყოველივე სიმდიდრე ვირებიანათ ნიაღვარმა  
წაიღო და დაიღუპა. მწყემსმა ძლივს მოასწრო თავის  
გულა-ჩობანით ხეზედ ასვლა და თავის გადარჩენა. რომ  
გადიღო ავდარი, ჩამოვიდა, სოლომონს იახლა და მო-  
ახსენა: „აკი მოგახსენე, ტყვილად ხაზინას აკლებ-მეთ-  
ქი, შენი ნაბოძები სიმდადრე ნიაღვარმა წამართვაო“.  
გაუკვირდა სოლომონს და უბრძანა: — მიამბე, საიდან იცი  
შენ ეგეები, რა არის მიზეზიო? მწყემსმა მოახსენა: „მე  
და თქვენ ერთ მთვარეზედ ვართ დაბადებულნი. ჰკუა  
ერთი მოგვცა ღმერთმა, მაგრამ როდესაც თქვენ დაი-  
ბადეთ, რომელიც ვერძი უფალს ახლავს, ის ვერძი



მაშინ ღუმას იფხანდა—მიტომ დაგყვით მაგისტანა დოვლათი; მე როცა დავიბადე, მაშინ რქახე წამოიკრა ფეხი, და მე იმისათვის ვარ ლატაკი. სულ წალმა რომ ვიარო, მაინც ასე უკუღმა მომივა საქმეო, და ვერც გავმდიდრდებოი“.

### სოლომონ ბრძენა და ძაღლებას სჩაგარა.

ერთხელ სოლომონ ბრძენთან მოვიდნენ ძაღლები და იჩივლეს: „ღუმა მეცხვარისაა, იქიდგან ჩვენთვის არა გამოიჩჩევა რა ხოლმე, სულ ისინი სჭამენ, ჩვენ თვალეზი გვებრიცება იმათი ცქერით, არას გადმოგვიყრიან, რომ ვსჭამოთ, და შიმშილით ვიხოცებით,—ჩვენც წილი მოგვეც რამეო“. მაშინ სოლომონმა მეცხვარეს ღუმის ქამა აუკვეთა და კისერი დაუწესა. „კისერს ხომ ბევრი ძვალი აქვს და თქვენ, ძაღლებს გადმოგიყრიანო“. ძაღლები არ გახდნენ თანახმანი. „ცოტა მოგვივა, კისერს ბევრი ხორცი არ აკრავს და ძვალსაც არ დაგვიტოვებენ, ან კი ძვლებს რას გამოვრჩეთო“. მაშინ სოლომონმა დაუწესა: „რაც უსულადო, უდანოთ მოკედეს, ის სულ თქვენი იყოს, არავის აღარ ექმევოდესო“. ძაღლები მადლობელი გაუხდნენ და მოახსენეს: „ვერ გენდობით ცარიელა სიტყვით და ქალღი დაგვიწერეო“. დაუწერა წყალობის წიგნი სოლომონმა და მისცა. ძაღლებმა გამოართვეს ეს წყალობის წიგნი და ერთ დაბერებულ ძაღლს მიაბარეს; მანაც ამოიღო კუდ ქვეშ ქალღი, და ყველანი წამოვიდნენ ხელმწიფის წყალობით გახარებულნი. ყველანი თავთავის ბინისაკენ გაეშურნენ და ეს ბებერი ძაღლიც მარტოკა თავის სახლისაკენ გაემართა. ამ დროს გამოცვიდნენ

მგლები, დაეწიენ ამ ძალს, დაიჭირეს, დაფლითეს ლუკმა-ლუკმა საცოდავი ძალდი და წყალობის წიგნიც სულ მთლად დაუფხრიწეს. მას უკანია დაჰკარგეს ძალებმა ის ქალაქი და ეძებენ მას. ამიტომაც ძალდი რომ უცხო ძალს დაინახავს, გამოუდგება ხოლმე და მაშინათვე კუდ-ქვეშ სუნავს, — წყალობის ქალაქი ამას ხომ არ აქვსო!

და ხალხშიდაც ასეა დარჩენილი, როდესაც ძალს თვალს შეავლებენ ამ მოქმედების დროს, ამბობენ: ეს ძალდი სოლომონის საბუთს ეძებსო.

---

### ქართველებას ზოგაერთაა ჩვეულება.

ქართველები ახლად მოფრენილ ფრინველზე იტყვიან ხოლმე: მერცხალმა არ დაგძლიოსო, ამიტომაც პირველად მერცხალს რომ დაინახვენ, ღვინოს გამოივლებენ პირში, — კარგიაო, და პირის სიმყრალე არ ეცოდინებაო. ამ დროს მერცხლის მოკითხვაც იციან: „მერცხალო, მერცხალო! როგორ შენ და შენი ინდოეთი? ფაშკუნჯს თვალი როგორა აქვსო?“...

ფაშკუნჯი მერცხლების დედაა, რომელსაც ერთი თვალი წამხდარი ჰქონია. შეისხავს თურმე მერცხლებს მხრებზედ, და ისე გადაჰ-გადმოჰყავს ზღვაზე, რომელიც გზაში უდევს მერცხლებს.

მერცხლის დანახვაზე, პირველად სამჯერ შემოტრიალდებიან ხოლმე, იტყვიან, ნახშირს თუ იპოვი, ციებისთვის უებარი წამალიაო.

გუგუღმა რომ არ დასძლიოს, აღრიან პურის

ლუკმას შესქამენ, და გუგული რომ დაიძახებს გუგუს, მიიძახებენ: „გუგულო, გუგულო, პურ-მარილი მიჭამია, — გიჯობნია, გიჯობნია“...

არ უნდა უთხრას:— მიჯობნიაო, ცოდვია, დაიწყებ-  
ლებო, იტყვის:— შენც არ გიჯობნია შენი სწორ-ამ-  
ხანაგისთვისაო!

გუგული თურმე წინეთ ქალი ყოფილა, რომ გათ-  
ხოვილა და შვილი მისცემია, მალე ისევ მოჰკდომია;  
ამაზედ ღვთის ძვირი უთქვამს, ღმერთსაც დაუწყევლია:  
იქეც ფრინველად და არა გქონდეს ბინაო! ამის გუ-  
ლისათვის გუგული ბუდეს არ იკეთებს და სხვებს აჩე-  
კინებს ბარტყებს.

გუგულს პატარა ჩიტი დასდევს უკან. ვითომ  
ღმერთმა მისცა საზრდოთ დღეში სამი ჩიტიო. ის საწ-  
ყალი იმდენსა სდევნის უკან, ვინემ გუგული არ გა-  
დაჰყლაპავსო.

ამ დაძლევაზედ ოფოფისასაც იციან: ოფოფი ერთი  
ლამაზი ქალი ყოფილა და შევნიერი თმა ჰქონია. უწინ  
სირცხვილით ვერც ერთი ქალი თავ-შიშველა ვერავის  
გამოუჩნდებოდა. ერთხელ ის ქალი თურმე თავის ლა-  
მაზს თმას ივარცხნიდა. ამ დროს ვილაც უცხო კაცი  
წაადგა თავს, ქალმა სირცხვილით არ იცოდა რა ექნა;  
ისე ითაკილა, რომ ინატრა: ნეტა ფრინველად მაქცია,  
აქედან გაფრინდე, და ვერავინ ახლო ვეღარ მეკარე-  
ბოდესო. იმ ნატვრაზე იქცა ოფოფად, ქოჩორიც გა-  
დავარცხნილი შერჩა ისე, როგორც თმას ივარცხნიდა,  
და ახლოსაც მას ვერავინ ეკარება.

## ხალხური ლექსები.

ღმერთი დიდათ გაისარჯა  
ჩვენი გამოსასვლელით;  
ასლო-ასლო დაგვასახლა,  
ერთმანერთის ნახვისთვის;  
ენა, ზირი გამოგვასწა  
ერთმანერთის ძრახვისთვის.

მანამდის ღმერთმა გაცოცხლეს, —  
სხნამ მთვარე და შზე არა,  
ღმერთმა ხურა გაგვაცოცხლეს  
შენი მარცხი და ზიანი!

კარგი არის კაი კაცი,  
კაი გვარად აკებული,  
ჭყავს ბატონი მწკალობელი,  
ამხანაგი მოკებული.

კაცმა რომ კაცი იწვიოს,  
დასუას და ახადიშოს,  
ატლასის კაბა ჩააცვას,  
ცხენს შესვას, ახადიშოს.

დასეტყვა წითელი ვაშლი,  
თეთრი კი ნახევარზედა,  
წაუწედა დედ-მამის სული,—  
ვინც შინ გაცნავლას სხვაზედა.

—  
რა ჩურჩულებს, ბიჭებო,  
რა ქარავანა დგობთა,  
ამში ნაცადი ბიჭები  
უკან და უკან დგობთა!

—  
ისე ჩამოვთვლი შაირსა,  
როგორც მწირველი მღვდელია;  
წირვა-ლოცვა შეგეწიოს,  
გუშინდელ-დღევანდელია.  
მადლი დმურთი გწესლობდეს,  
მიქელ და კაბრიელია.  
დაგლოცოს წირვა-ლოცვამა,  
ნაწილმა ბარძამისამა,  
ატონის ხატმა და ჭვარმა,  
ქალაქში სიონისამა.  
აი-სოფიოს სუელამა,  
ო მადლ გუმბათისამა!  
მტყუთის ხატმა და ჭვარმა,  
გადმომტკუნადმა მტკვრისამა!

—  
სხვას ვიტყვი, სხვას მოვიკონებ,  
კენახს ჩაუუელი მანასა,  
ვინც ღვინოს დამადგვიხებს,  
იმას მოვუძვი ეახასა!

აგრე ტურფად რამ გავზარდა,  
თუ არ ციდან ჩამოსული,  
ღაღი, წენარი, ზარ-მცინარი,  
ხარ დილა-მზე ამოსული,  
შენს ავად მახსენებულს  
აგრე ამოჟვას სული!

---

ვაშკაცო, უღვას კოკობო,  
ქაზორი შენა მიუვარსო,  
თუ კი შენ ჩემთან არ მოხვად,  
მე შენთან ვინ მამიყვანსო.

---

მელურეკელმა კაცმა იცის,  
კადლებს და გავორდებს,  
რაკინდ ღვინით მთვრალი იყვეს,  
მაინც ღვინო აკონდებს.

---

იმერეთიდან კადმოველ,  
კადმოვიარე რაჭასა,  
შენ რომ ქვევრს მოგახდევინებ,  
შეგ ჩავატანდი ჭაჭასა.

---

ახალი ქვევრი ვიუიდე,  
შეგ ამოვაფლე ხაზირი,  
ჯაჯარსკითხან რომ მიხვიდე,  
შორს გაუარე ხაზირი,  
სამოთხეში რა მიხვიდე,  
შეგ ჩაიმტვრიე თავხირი.

---

ქალაქში მოედანსკდა  
ჭეიდიან სრამულებსაო,  
კაცი რომ კადარბდებს,  
გაჭეიდას მამულებსაო.

---

ქვემო აუკლას დაქერივდა,  
ეუკიას შვერთათ ცოლათა,  
მცხეთა მყრათ გავატანათ,  
დიდამი სეხსსერათა.

---

მცხეთას იუიკლას მამაღმა,  
სამთავისს ვარიამაო,  
მობრუნდი, ქაღო, კაკოცო,  
თვალ-ჟუჟუნ მარიამაო!

---

აუღაბარა და ეუკიას,  
ქალაქის ზირში ეუნტია,  
ხარი მჭლე, ფური მსუქანი,  
კაცი კამოდის ცუღია.

---

დალაქო, თავი მამზარსე,  
ქაჩორი დამიეენო,  
შენ რომ სოფელში წახვადე,—  
მე შესს ცოლს მამიეენო.

---

(ახალ-გორულა თქმულება)

ერთი რამ მხეცა მინახავს  
კორსა თუ ახალ-კორსაო,  
თავისთავის მუტრუკს იკეთებს,  
სხვას გაუკეთებს ჯორსაო!

---







მგლები ეურთბს შენს ჩაკვდომას, მზად არიან ორნი სრთნი,  
ას ოცის წლის გამოვიდა რომ აღვრაცხეთ ქორნიკონი.

მოკვასმეთ და მოვუშზადეთ, გაუშკეთთ სხვაცა ჭერი,  
მის ძაკებს ვერვინ მისთვლის რიტორი და ენა-მჭეური,  
გაწიკბოულს ხორცს ვერ გასჭრის კარგს დანას რომ დაჭკრა  
კპრა,

მასხედ მჯდომლების კაცებს არც ერთს აღარა აქვს ფერი.

მოვრთეთ, მოკვასმეთ, გაგაწკეთ, დავხურეთ ბოქათონა,  
წახდა, გასაგდა, ათროლდა, შიგნით წაუხდა ჭოზნა,  
ახლთს არა ქნათ, იცოდეთ, ადგილს შორს უნდა მოსმინა,  
. . . . . (აქ მთელი სტრიქონი აკლია)

### აქა აწეო ჩახრუხაულა:

მახუქეს ცხენი, ხმელი ვით ხენი, არა აქვს ცმელი, სდის  
ოფლი ცხელი,  
ნახეთ ეს ცხენი, ჭარშიდ შემრცხენი, გამომცემის განსაკიც-  
ხელი.

მკერდი შემხარი, უთრთის წელ-მხარი, სხვაცა ჭირი აქვს ბეკრი  
ნაზრახი,  
კუდ-გაფხეკილს ტყავ-გახრეკილს თეზოეუბი აქვს ამოვარდ-  
ნილი,

. . . . . (მთელი სტრიქონი აკლია).  
გადგამთ უნაგრეს, წედს ვერ უმაგრეს, შეკასმამდის თრთის  
მკერდით უმაღ ძკერს.

ნახს თაქათო, ვერც მან მოათხო, გულზე შემტარდა, მკვდარი  
მოაკდო,

ნახს აუფანდა, დაღნა, დამეაფდა, აუად დაბურდა, აუად დაქამდა.  
ნახს სალი, შექმნა სარსალი, ასე გაჩერდა ვით კლდე რამ სალი,



ნახავს მოსადებს, თავს ზედ მოგვადებს . . . . . (აქლია)

ნახავს ბილახს სულ დაკბინავსა მოღალულსა გავს თვის ნარბინას.

ნახავს მოსართავს, კბენად მომართავს, იმაზედ მჯდომ კაცს რაღა მონათლავს!

ავდეკ სდაკე, არის მანდაკე, აღარ გაირუა, ცხენს ვერ ვადარე.

ავდებთ სამძიეს, თავს მოგვაძულებს . . . . . [აქლია)

ვკარა დეზი და ხალი ვერ ზიდა, ჩვენ არ შეგვეძლო მხართ გვეზიდა.

ვკარა ჭახი და ქვე წაფორხილდა, გაშეშებულს ფეხს რაღა მოხრიდა.

შეკარ ჭირიძით, გასკლდა შირიძით, სისხლის ფისმა იწყო ჩვენ ვსთქვით ძვირი მით

ავდებთ სამკერდეს, აქცევს, აუკედრებს . . . . . (ბოლო აქლია)

—

წელის სასმელად წავიუვანეთ, აუდეკით აღვირია,  
ზარათ ღორბლა წამოყარა ამ წამს გულა აგვირია,  
ბაწრება სულ შეგვატამა, დაგვიდექ: ბავირია,  
ნამეტნავად რომ დავუვასთო, ერთ შაურად საღარია.

საზის სასიქეს თუ აეთაზავთ უსიქესაა ტეემლის ტელაზი,  
თავი აღმა ვერ აილა, შეუუეხეთ ეელში კაზი,  
წელის სასმელად წავიუვანეთ, ვერ დალია ერთი ელაზი,  
ძალით ჩასხმას ვეცადენათ დაგვიმტვირია ორა ხაზი.

გაცვეთავს დავაბრალეთ, დავაკარათ ოთხ-ფეხს ხალი,  
აზნდალდა წასაქცევად, ერწოდდა ვითა მთურალი,  
ჯილდათთა ბეჭებშიგან ძელები უჩანს შავი, მურალი,  
ვაი ვისაც დღემდის ჭყავდა და დღეს ვის ჭყავს მისი ბრალი.

ადმართისკენ ვერ აივლის, დადმართისკენ სულ ვერ ჩავა,  
რუბით\*) ვივასობთ, არ გავიდა ვინც უჩახს ხმელი გავა,

\*) რუბი უდროს 13 ფარას. 2) ფრული-104 ფარას (6 ფარა -1 კაპ.)

გატყავება ვაჭარბანკო, ტყავი ფურულად\*) თუ-კი გავა,  
 . . . . . (აქ მთელი სტრიქონი აკლია)

კარგის მწვანის მოღალატან უფრო შესწავლს ქათმის ბუნტულს,  
 მონელებას ვერ შეიძლებს, სულ გვარს მოსთხრის მისებრ  
 ხუსტს,

არც ჭინვანებს ცხენის მზგავსად, არც ჯდოყინებს ჯორსავითა,  
 მუცელშიგან განსწწნილია, შორს ატრავებს ქარსავითა,  
 მონელებას ვერ შეიძლებს, ეარს დიდის ხნის მძორსავითა.

ჭინვს გარემო სოფო ესხა, ჩვენ გვეგონა ეწრის არუა,  
 ჭკვი ცხენი რომ ვუხუენეთ ეს ზირადმა აიხლავა.

სიბილწითა სრული არის, სიკარგესა მეტად შორავს,  
 ოდეს კეტით ავაუენებთ, ოთხისავე ფეხით ცორავს.

. . . . . (სტრიქონი აკლია)  
 ჩვენ იმედი გადავსწევიტეთ, აღარც . . . \*) და აღარც . . . \*)

უხორცოცა არ ნახულა, თუმცა ედგას მარტო სული,  
 ვკიბნეთ ხორცი არსად ავრავს, ძვლები კი აქვს წამასული,  
 ამან თვისის სიბილწითა გააკვირვა ყოვლი სული.

. . . . . (სტრიქონი აკლია).

აძიგძიგდა, დაეფუთა, შეეცვალა უცნოდ ფერი,  
 გამიკვირდა რა შეექნა, არ ენახა თურმე ქერი,  
 ეუცხოვა, მოიკუტა, დაეხვია ზურგსკედ მწერი,  
 ამისთანა არ მინახავს, გამიბოკორდა ასე წვერი.

სჭირს ფეხში ოფა, უჯობს არ ეოფა,  
 ვერ ავაუენე და მისთვის ვწეველი.

სახურავი დავახურეთ, უფრო მწარეთ გაცნივთ:  
 რაც დალეჭა გამოყარა კოღინდარი ახუ თავა,  
 ცხვირით ველარ დაიფრთხვინა, თვალებს სუჭავს აღარ ხვიავა,  
 თუ როდისმე რამე სჭამა, ასე რამა გააწიავა!

\*) აქ მეტის მეტი უწესო სიტყვებია ნახმარი.



რაც რომ ორი ძაღვი მოუვა, სულ გასცვივდა იგი ძუა,  
 ბუზებითა შეიფარა, ვგანებ რკუა ანუ უა\*),  
 ბაჟი ეკლით გაჟუტუნეთ, მაგრამ ისიც არ იხუა,  
 კბილები სულ აღარა აქვს, აღარც მაკიერი უვა.

**შვიდეულთა დღეთა ცხენთათვის ლექსი:**

ოდეს ვნახეთ ორშაბათსა—სწორედ ჰგავდა მომხრეველ ბატს,  
 ოდეს ვნახეთ სამშაბათსა—ლეკვა იცის, სჭამს ნაბადს,  
 ოდეს ვნახეთ ოთხშაბათსა—წინ წაუსწრო ოთხმა ბახმა,  
 ხმა მოგვესმა ხუთშაბათსა—ქარი უღეწს კუჩხბასს,  
 მოხედვით არის ზარასკევეს—ოთხმოცის მეტს არ არწევეს,  
 მთლად წახანდა შაბათმა, ფესი მოსტეხა საფანგმა,  
 ასე განდგება კვირეს, მნახველსა გააჟვირებეს!

**ეოგველთა თოგეთა ცხენთათვის ლექსი:**

თთვე რომ დადგა იანვარი—კბილ-დაკრეჭილ კდაი მკეღარი,  
 შემოესწრო თებერვალსა—მუცელში იქს შებერვასს,  
 თვე რომ დადგებან მარტა—არ არის შენამატა,  
 თვე რომ დადგებან აპრილი—მუცელშიგან არს გახრწილია,  
 თუ მაწია მანსსა—ვეღარ გააწევეს გაისსა,  
 თვე რომ დადგებან იუნისა—იმედი ნუ გაქვს იმისა,  
 თუ მაწია ივლისსა—ვერც ერთს ბაჯს ვეღარ ივლისა,  
 მთლად ააერთლა აგვისტომ—ეველას შეგვეტულდა ამიტომ,  
 თვე რომ დადგა სექტემბერი, გამოესხა სიგო ბეფრა,  
 თვე რომ დადგა ოქტომბერი . . . 1) . . . 2) ბეფრა,  
 თვე რომ დადგა ნოემბერი . . . 3) . . . 4) . . . 5)  
 ეოგველთათვის დამდეგს დეკემბერს წინლებს მააურის ზეტრე ბერს.

\*) კიბრის სატკივარია.

1 — 5 უწესო სატყვებია

ანბანზედ ოქმულა ლექსება.

I

ამას გეტყვი  
 ბაგე ტკბილსა,  
 ბამითავე  
 ღანაპირი,  
 მართხელ ნახვას  
 ვისგან ველით,  
 ზედ შევაწყობთ  
 ცენა პირი,  
 თვალს მიმზერდე  
 ის მიაგბო,  
 კბილი გიჩნდეს,  
 ლამაზ პირი,  
 მალ ვეცადოთ,  
 ნუ ვიყოფნით,  
 მრთა მივსცეთ  
 პირსა პირი.  
 ჟამი ჩემი  
 რა იცისო,

სიყვარულოდ  
 ტკბილად პირი,  
 უფრო უნდა,  
 შრთხილად ვიყვნეთ,  
 ძალმა მომცეს  
 ღამით პირი,  
 შმაწვილობით  
 შევისწავლე,  
 ჩამიარა  
 ცუდად  
 ძილი,  
 წამებულმან  
 ჭკუა ჩემი  
 ხმით დავჰკარგე  
 კმით კმობილი,  
 ჯავრი ჩემი  
 ჰამ რა იცის  
 ზი ესრეთ ზომითი.

II

ათენს ბნელს  
 გულსა დიასებრ,  
 ვარდ-ზამბახ

ცე თმითიანი,  
 კაზმავს ლალ  
 მინა ნარგისი,

ორ-პირ ჟამ  
რიგით სვიანი,  
ტან უცხო,  
ფერ ქედ  
ლაწვ ყელნი,  
შუბლ ჩენით

ციმციმიანი,  
ძვრა წელ ქელ  
ხან კმობით  
ჯილდოვნობს  
ჰა ზოგ შვენებიანი.

III

ბრს ბრძენ გონებით,  
დავლის ეთერ ვლახეურობს,  
სელვა თნობით  
იალ კმობით  
ლალ მინობით  
ნებივრობით  
პირ ჟირობით  
როს ძრავს ტანსა,

უქს ფერ ქრობით,  
ღია ყელშლით  
ჩაგრავს ცნობით  
ძვრა წელ ქელ  
ხედვა კმობით  
ჯილდოვანობს  
ჰა ზოგებით.

**ქვერივი ქალი და ეშმაკი.**

იყო ერთი გამოცდილი ქვრივი ქალი, ვერავინ ვერას გამოაპარებდა; ყველა ამბობდა, მაგას ეშმაკიც ვერ აჯობებს ვერაფერშიო. ერთ ეშმაკს ეწყინა და სთქვა:—წავალ აბა, მე თუ მაჯობებს რამეშიო! მოვიდა ქვრივთან და უთხრა: შენ ყველაფერში გაქებენ, მოდი, რაზედმე დავჯიბრდეთო და დავნაძღვევდეთო. ქალმა უთხრა: კარგიო, აბა ხვალ დილაზე მზის ამოსვლას ვინ უფრო მალე გაიგებს? და ვინც უწინ გაიგებს იმან მეორეს ერთი კარგი პანღური ამოჰკრასო. დასდევს ეს ნაძღვევი. ეშმაკი საღამოზე შეყუნტდა საბძლის საყვავებზე და დაიწყო აღმოსავლეთისაკენ ყურება, მზის

ამოსვლა არ გამომეპაროსო. იჯდა ასე მთელ ღამეს გაშეშებული. ქალმა კი დაიძინა. მამალმა რომ მესამედ იყივლა, გამოიღვიძა, დაიბანა პირი და გამოვიდა გარეთ, რიჟ-რაჟმაც მოაწია. მივიდა ეშმაკთან, ჩამოსწია კუდს ხელით და უთხრა: ჩამობრძანდი, სანაძლეო მოგიგეო.— აბა რას ამბობ, ჯერ მზე არსადა სჩანსო!— აბა, შე უბედურო, აიმ იალბუზის წვეროს შეხედე, თუ არაო? გაიხედა ეშმაკმა იალბუზისაკენ. მართლაც, იალბუზს მზის პირველი სხივები მისდგომოდნენ.— აი ეშმაკიც შენა ყოფილხარ და ქაჯიცაო, უპასუხა ეშმაკმა. მაშინ ჩამოაგდო საყვავიდან ეშმაკი და ასეთი ჰანღური ამოჰკრა, რომ სულ კუდის რიკი მიაღრიკა.

### ეშმაკების ფერხული.

ერთი მთვრალი კაცი მიდიოდა გზაზედ. გზის პირას ეშმაკებს ფერხული დაებათ და შეექცეოდნენ. ეს მთვრალი კაცი რომ დაინახეს, სწვდნენ და მიათრიეს, მოდი შენც ჩვენთან ფერხულში ჩაებო. არ მიდიოდა, ძალით მიათრიეს, ჩაება ეს კაცი. ეშმაკებმა უთხრეს: წინად ლექსი შენ უნდა სთქვაო. იმ კაცმა უთხრა: არა თქვენ სთქვითო. ამ კაცს რომ ვერ ათქმევინეს, თვითონ დაიწყეს:

შექამადი დავიმზადეთ  
ალიზისა, ფურუკისა,  
საცა მგზავრსა დავინახავთ,  
ასე ვიცით ხუმტრუკისა!

მერე იმ კაცმა დაიწყო და სთქვა:

წინდა მეცვა მეშისაო,  
ქალამანი ფაშვისაო,  
წმინდა გიორგიმ დასწყევლოს  
ეშმაკების ფერხისაო!

სთქვა ესა თუ არა, ეშმაკები წმინდი-გიორგის ხსენებაზე გაქრნენ, და კაცი მშვიდობით გადარჩა განსაცდელს.







კერძო განცხადება ყოველ საგანზე მიიღება ჩვეულებრივზე იაფად და განცხადების ფულის გარდახდაც შეიძლება ნაწილ-ნაწილ.

მადლობას ვუძღვნი მათ, ვინც წასრულს წელში გვეხმარებოდა და, იმედაა, არც მომავალში მოგვაკლებენ თანაგრძნობას.

ადრესი გამომწერლებისათვის: დ. ყვირილა, „კრებულა“-ს რედაქცია და თბილისში წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოება.

«კრებული»-ს რედაქტორი და გამომცემელი  
**აკაკი.**

P. S. ბევრი გვეკითხება, „თავგანდასნავდას“ გაგრძელება იქნება თუ არა. ამ წელში კადეც დაიბეჭდება ეს თხზულება და ბევრი სხვაც, რომელიც უკვე დამზადებულია.

ამ წელშივე გამოვა ცალკე წიგნად ბ-ნა მასე ჯანაშვილას „პალეოგრაფიული ალბომი“, რომელიც „კრებულა“-ს ხელის-მომწერლებს ანუ ფასად დაეთმობათ.

■ ❖ რედაქციაში შეს ძენალ მოიპოვება წარსული წლის „კრებული“-ს თორმეტივე წიგნი, ფასი შვიდი მანეთია.



1899

# „მრამბი“

თეორია ქურნალი

(VI წ.)

გამოვა იმავე პროგრამით

მხოლოდ ქურნალის ვრცელის პროგრამის საუ-  
სებით შესასრულებლად მომავალს წელს რედაქცია  
ეცდება, სხვათა შორის, მკითხველებს მიაწოდოს  
მიმოხილვანი შენაურის ცხოვრებისა და უცხოეთისა,  
აგრეთვე კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. ამ განყოფი-  
ლებათათვის მასალის შეკრება და სტატიების წერა  
იკისრა ახლად შედგენილმა სარედაქციო კომისიამ.  
მომავალს წლიდან ქურნალში დაიბეჭდება ახალი  
ორიგინალური მოთხრობანი და დრამატიული თხზუ-  
ლებანი ჩვენის ცნობილი მწერლებისა.

დეკემბრის ნომერში დაიწყება ბეჭდვა სოფ.  
მგალობლიშვილის დიდის მოთხრობისა ჩვენის ცხოვ-  
რებიდან.

შანი ქურნალსა გავზავნით

| კავკასიისა და რუსეთის<br>ქ-ლაქებში: | სამზღვარ გარეუ:          |
|-------------------------------------|--------------------------|
| 1 წლით . . . . . 10 მან.            | 1 წლით . . . . . 13 მან. |
| 6 თვით . . . . . 6 „                | 6 თვით . . . . . 7 „     |
| 3 თვით . . . . . 4 „                | 3 თვით . . . . . 5 „     |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნე-  
 ლება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე 4 მან.  
 1 აპრილამდე 3 მან. და 1 სექტემბრამდე — 3 მან.

ხელის მიწერა მიიღება თბილისში, ქუჩაზე  
 «მოამბის» რედაქციაში, რომელიც იყოფება ლორის  
 მელიქოვის ქუჩაზე № 13.

წიგნის მალაზიებს, რომელნიც იკისრებენ ქურ-  
 ნალ „მოამბე“-ზე ხელის-მიწერის მიღებას, შეუძ-  
 ლიანთ აიღონ მთელის წლის შემოტანიდან კამი-  
 სიისა და ფულის გამოგზავნისთვის ათა შაური, ხო-  
 ლა თუ ფულს ნაწილ-ნაწილ შემოტანენ, არაფერა  
 დაეთმობათ.

შენაშვნა: 1) ქურნალის თავის დროზე მიღებო-  
 სთვის რედაქცია პაუზებს აკეთებს მხოლოდ იმ შემთხვე-  
 ვაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქ-  
 ნება რედაქციის კანტორაში. 2) ქლაქ არეშე ხელის  
 მოწერით ფულის მიღების კუტანცია გაეგზავნებათ  
 მხოლოდ იმათ, ვინც ქურნალი ფასთან ერთად  
 წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკის ყოველ კუ-  
 ტანციაზე.

ქლაქ გარეთ მსხვერვლათვის ადრესი: В  
 Тифлисе. В редакцію грузинскаго жур-  
 нала «МОАМБЭ».

რედაქციამ მასახრებელადა სენა

სოფლის მღვდლებს, სოფლის მსწავლეებლებს,  
 ხელოსანებს და მოწაფეებს ქურნალი დაეთმობა რვა  
 მანეთად წლაწაღში. ვისაც რვა მანეთის ერთად  
 შემოტანა ეძნელება, შეუძლიან პირველში ოთხი მ.  
 შემოიტანოს და ორ-ორი მანეთიც მარტში და აგეს-  
 ტოში.

ჩვიდვთ ხელის-მოწერა 1899 წლისათვის ორ  
კვირულ გამოცემათა ქართულს

# „მწეპის“-ზე

დ

რუსულ «П А С Т Ы Р Ь»-ზე

ქუ რ ნ ა ლ ი ს ფ ა ს ი :

12 თვით «მწეპისი» 3 მ. | 6 თვით «მწეპისი» 2 მ.  
— ,, რუსული ,, 3 მ. | — ,, რუსული ,, 2 მ.  
— ,, ორივე გამოცემა ნ > | — ,, ორივე გამოცემა 3 მ.


მაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც  
ვერიდალაში, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში  
წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის  
მ.ლაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. ფოთში — დეკა-  
ნოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; საჩხერეში — ყარასან  
ჩხეიძესთან; ახალციხეში — დეკანოზ დ. ხახუტოვთან;  
ახალსენაკში — ბლალაჩინ მან არისტარქ კალანდარი-  
შვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გახეთები დაეთმო-  
ბათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მ ა ნ ე თ ა დ.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილე-  
ბის სახლებში და ვერიდალაში რედაქტორის საკუთარ  
სახლებში,

ბარეშე მცხარებთ ჟურნალის დაბარებზე შეუძლია: თ  
ამ აღრესათ: Вь Квирилы, вь редакцію газеты  
журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

მომავალი წლის სელის მომწერთათვის  
დანიშნულია საჩუქრად **სახსლის ღვთის-**  
**გუგოლის ფოტოგრაფიული ნახატი.**  
და ჩვენი მოღვაწის ბატონის

 **აკაკის სურათი,**

ბრესტოლის ქალაღზე დაბეჭდილი.

შემოდანიშნულ საჩუქრებს სელის მომწერნი  
მიიღებენ ფულის შემოტანისთანავე.

---

1899 წლისათვის მიიღება სელის-მოწერა

გ ა ზ ე თ

**„ცნობის ფურცელზე“**

ფასი წლიურად 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.,  
ერთის თვით 60 კაპ.

# „იპმრიბ“

გამოვა 1899 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინაჲ

ესი გაზეთი :

|                          |                       |
|--------------------------|-----------------------|
| 12 თოვით . . . 1 მ. — ჯ. | 6 » . . . . 6 მ. » ჯ. |
| 11 » . . . . 9 » 50 »    | 5 » . . . . 5 » 50    |
| 10 » . . . . 8 » 75 »    | 4 » . . . . 4 » 75    |
| 9 » . . . . 8 » — »      | 3 » . . . . 3 » 50    |
| 8 » . . . . 7 » 25 »     | 2 » . . . . 2 » 75    |
| 7 » . . . . 6 » 50 »     | 1 » . . . . 1 » 50    |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ედირება 17 მან. მთელის  
წლით.

შედავითა წლიურ ხელის-მომწერთათვის: ვინც  
გაზეთს ამ თავეთვე მთელის წლით დაბარებს, იმას  
შეუძლიან წლის ხელმოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილად  
შემოიტანოს ამგვარად: ხელის-მომწერის დროს 3 მან.,  
ზირველ მარტს—2 მ., ზირველ მაისს—3 მ. და ზირველ  
სექტემბერს—2 მ. სოფლის მასწავლებელთ გაზეთი წე-  
ლაწაღში 8 მან. დაკეთობათ, ნასეგარის წლით 4 მ.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე  
აღრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში  
ერთი მან.: ხოლო თუ ტფილისის გარეშე ხელის მომწერელი  
ერთის ადგილიდგან მეორეში გადავიდა, უნდა წარმოგზავნოს  
ორი აბაზი.



**ფანი განცხადებისა:**

მეოთხე გვ. თითოჯერ სტრიქ.—8 კ., პირველზედ —16 კვ.

**კასეთის დაბრუნება შეიძლება შემდეგის  
ადრესით:**

**თბილისი, «ივერიის» რედაქცია,  
ნიკოლოზის ქუჩა, 21.**

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებ.  
საზოგადოების) კანცელარია სასახლის ქუჩა, ბანკის  
ქარვასლა.

**ბ ე ლ ე ზ ო ნ ი № 227.**

**საფოსტო ადრესი:**

*Tiflis. В редакцию газеты „ИВЕРΙΑ“*

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

„კრებულა“-ს რედაქციის მიერ  
მზადდება გამოსაცემად

**ა კ ა კ ი ს**

**„ბ ა შ ი - ა რ შ ო კ ი“,**

პატარა ლამაზ წიგნაკად,

რომელითაც დაიწეება მის-მიერ განზრახული

**ჯიზით სატარებელ წიგნაკების კოლლექცია.**

ჩ ვ ე ნ ი

# „კრემული“

მეორე წელიწადში გადაღვა.

დღემდი ჩვენ უფლება არა გვქონდა, რომ გარდა ყოველგვარ ჩვენი ნაწერისა, სხვების რამე დაგვებეჭდა ჩვენს «კრემულში», დღეს-კი ნება გვაქვს, რომ სხვებისაც ვბეჭდოთ ხოლმე, და უკეთესმა ჩვენმა მწერლებთანმა კიდევ აღგვიბეჭდოს დახმარება.

**ფასი იზივმ დარჩება:** გაუზაენით ფოსტით 7 მან., გაუზაენელად—6 მან., ნახუარის წლით—4 მან., თვიურად და კერძო №-რი—60 კ.

—(ფულას შემოტანა ნაწილ-ნაწილადც შეიძლება).—

**რედაქცია გადაცანილან დ. ვგარილანში**

კერძო განცხადება ყოველ საგანზე მიიღება ჩვეულებრივზე იათად და განცხადების ფულის გარდახდაც შეიძლება ნაწილ-ნაწილ.

ადრესი გამომწერლებისათვის: დ. ყვირილა, „კრემული“-ს რედაქცია და თბილისში წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოება.

„კრემული“-ს რედაქტორი და გამომც. აბაკი.

P. S. ბევრი გვეკითხება, „თავგადასავადის“ გაგრძელება იქნება თუ არა. ამ წელში კიდევ დაბეჭდება ეს თხზულება და ბევრი სხვაც, რომელიც უკვე დამზადებულია.

ამ წელშივე გამოვა ცალკე წიგნად ბ-ნი მოსე ჯანაშიას „კრემული“-ს ხელის-შომწერლებს იათუფასად დაეთმობათ.

რედაქციაში შესაძენად მოიპოვება წარსული წლის „კრემული“-ს თორმეტივე წიგნი, ფასი შეიღი მანეთია.



